

178 /
1978/3



ՆԱԽԻՄՈՒՄ

ՆԱԽԻՄՈՒՄ



ԺԺՆԸՆՆ - 1978

საქართველო საბჭოთაული

№ 3

მანის
ივნისი
1978 წელი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

უ ი ნ ა ა რ ს ი

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებზე ცხოვრება და მოქმედება დაიწყეს	3
<u>ბანკინთარეზული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია</u>	1
ბ. ერემოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	8
გ. ბაბილაშვილი — სისხლის აღება წარსულის უველაზე მანვე გადმონაშთია	17
ვ. შანიძე — საექიმო შეცდომა და დანაშაული	30
ბ. ნიშნიანიძე — ვიქტიმოლოგია — კრიმინოლოგიის ახალი დარგი	57
ლ. გედევანიშვილი — ფიზიკა და კრიმინალისტიკა	45
ბ. ავაქიანი — გზა, ავტომატოტრანსპორტი, კრიმინალი	50
<u>წერილი რედაქციას</u>	
შ. ბრეგვაძე — ეს საკითხები უნდა მოგვარდეს	52
<u>ილია შავვაშაძის დაბადების 140 წლისთავისათვის</u>	
გ. ნადარეშიძე — ილია ჭავჭავაძის იურიდიული ნაზრევიდან	55
ნარევი	62
<u>პრტიკა და ბიბლიოგრაფია</u>	
რეცენზია ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზე პოლონურ ჟურნალში	
ი. ანდრევი — იურიდიული ძიებანი. მეცნიერული წერილების კრებულში	65
ოფიციალური მასალა	70
ინფორმაცია	83
<u>მეგობართა ხსოვნას</u>	
შირიან მისილის ძე მაჭავარიანი	92
ვახტანგ სიმონის ძე შანიძე	94
ცნობები ავტორთა შესახებ	95

2479

81-



СОДЕРЖАНИЕ

КОНСТИТУЦИИ Абхазской АССР и Аджарской АССР — начали жить и действовать 3

КОНСТИТУЦИЯ РАЗВИТОГО СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

Г. Еремов — Президиум Верховного Совета Союза ССР	8
Д. Бабилашвили — Кровная месть — вреднейший пережиток прошлого	17
В. Шанидзе — Врачебная ошибка и преступление	30
Г. Нишинанидзе — Виктимология — новая отрасль криминологии	37
Г. Гедеванишвили — Физика и криминалистика	45
Г. Авакян — Дорога, автомобильный транспорт, криминал	50

ПИСЬМО В РЕДАКЦИЮ

Ш. Бреговдзе — Вопросы, которые надо урегулировать 52

К 140-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

Г. Надаренишвили — Мысли Ильи Чавчавадзе о праве	55
Смесь	62

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Рецензия в польском журнале на труды грузинских ученых	65
И. Андреев — Юридические исследования. Сборник научных трудов	65
Официальный материал	70
Информация	83

В ПАМЯТЬ О ДРУЗЬЯХ

Мириан Михайлович Мачавариани	92
Вахтанг Семенович Шанидзе	94
Сведения об авторах	96




სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე,
- გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. უვანია, გ. ტყეშელიძე, ვ. ქვარცხელია,
- ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მ მდივანი) თ. წერეთელი,
- ბ. ნოჭოლაძე, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვლემანოვის კრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 21/IV-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-78 წ.,
 ფორმატი 70x108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო თაბახი 8.87
 შეკვ. № 1189 ტირაჟი 20.100, უფ 08572



რა პოვა, გამოიწვია ხალხის ენთუზიზმის მძლავრი მოზღვაება. ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები, რომლებიც სამუდამოდ შევა აფხაზეთისა და აჭარის ისტორიაში როგორც უმნიშვნელოვანესი ნიშანდევები, მშრომელთა უდიდესი მონაპოვარია, რომელიც აღმოცენდა ნაყოფიერ ნიადაგზე და რომელშიც ასახულია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ერთიან და მონოლითურ ოჯახში აფხაზეთისა და აჭარის მშრომელების მიერ მოპოვებული უდიდესი მიღწევები.


აჭარის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიოზე სიამაყით ითქვა ამ წარმატებებზე:

„რანი ვიყავით და რანი ვართ? — აი კითხვა, რომელიც ბუნებრივად ებადება ამ სახეიშო ქამს საბჭოთა აჭარის თითოეულ მკვიდრს, იმათ, ვინც აჭარის წარსულის ცოცხალი მოწმენი არიან, ახალი თაობის წარმომადგენლებს, რომელთათვისაც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, უუფლებობა და სილატაკე მხოლოდ წიგნიერი ცნებებია. დღევანდელი აჭარა თანამედროვე ტიპის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათმშენი, ქიმიური, ელექტროტექნიკური, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკაა. ისტორიისათვის მოკლე დროში არსებული გარდაქმნები მოხდა საბჭოთა აჭარაში. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის ამჟამინდელმა მოცულობამ 124-ჯერ გადააჭარბა 1921 წლის, ხოლო ოთხნახევარჯერ ომამდელ დონეს, დადავ განვითარდა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. სისტემატურად იზრდება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. მარტო 1951-1975 წლებში სახელაწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალურმა დაბანდებამ 534 მილიონი მანეთი შეადგინა. 1960-1977 წლებში აშენდა 2,7 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლი.

არსებითად იცვალა სახე ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ. 1936 წელს არსებული 230 სუსტი კოლმეურნეობის ნაცვლად ამჟამად შექმნილია 69 გამსხვილებული კოლმეურნეობა. თეთქმის ათჯერ გაიზარდა ჩაის ფოთლის, ხუთნახევარჯერ — თამბაქოს, ოთხჯერ ციტრუსების წარმოება. ამალდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. განსაკუთრებული აღმავლობით ვითარდება ავტონომიური რესპუბლიკა უკანასკნელ წლებში. საბჭოთა აჭარას შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ზედიზედ მეხუთედ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა“¹.

ასეთივე შთამბეჭდავია ის მიღწევები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა აფხაზეთა ხალხმა, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელმა ეკონომიკის, კულტურის, ხალხის

¹ გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1978 წ. 29.V. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ვ. რ. პაპუნძის მოხსენებიდან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიოზე.



კეთილდღეობის ამადღებაში, კომუნისტურ მშენებლობაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად იცვალა სახე აფხაზეთის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ. ერთერთი ჩამორჩენილი მხარიდან იგი მაღალგანვითარებული მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, სახელგანთქმული კურორტების რესპუბლიკად იქცა. აყვავდა და არნახულად განვითარდა მეცნიერება, მწერლობა, კულტურა. იზრდება აფხაზეთის წვლილი საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნულ შემოსავლის წარმოებაში. საკმაოდ მაღალია აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი. დღეისათვის აფხაზეთის ასსრ ზვერი მაჩვენებელი საერთო-რესპუბლიკურ და საერთო-საკავშირო მაჩვენებელს აღემატება.

ამჟამად აფხაზეთის მრეწველობის წლიური პროდუქციის ღირებულება 426 მილიონ მანეთს აღემატება. მარტო გასულ, ხუთწლედის მეორე წელს გამოშვებულ იქნა 11,8 მილიონი მანეთის ზეგვემითი სამრეწველო პროდუქცია. აფხაზეთში ყოველწლიურად იღებენ 900 ათას ტონაზე მეტ ქვანახშირს, უშვებენ უზუსტეს ხელსაწყოებსა და გაზის აპარატურას, რკინა-ბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებსა და დეტალებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ავეჯსა და ქიმიურ ნაწარმს, დაფერმენტებულ თამბაქოს, ეთერზეთებს და სხვ.

1977 წელს დამზადებულ იქნა 77 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გაცილებით მეტი ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხუთწლედის დამთავრებელი წლის გეგმით. გასული წელი ასევე სარეკორდო იყო ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის მხრივაც. სოფლის მეურნეობა აღჭურვილია უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.²

აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციები მთელი სისრულით განსაზღვრავენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების ამ უფლებებს, რაც მათ მინიჭებული აქვთ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და დაწესებულებათა მიმართ.

ცნობილია, რომ საბჭოთა კონსტიტუციური მშენებლობის ისტორიაში მხოლოდ სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ გაითვალისწინა სპეციალური თავი, რომელიც განსაზღვრავს ავტონომიური ერთეულების სამართლებრივ სტატუსს. ახალი კონსტიტუციით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები. ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებათა ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად წყვეტენ მის გამგებლობაში შუამავალ საკითხებს, მონაწილეობენ საქართველოს სსრ და სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში საქართველოს სსრ და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მეშვეობით. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მეოთხმოდვე მუხლით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზრუნველყოფენ კომპლექსურ

² ვაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 1978 წ. 8. VI საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ბ. ვ. აღლებას მოხსენებიდან აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს სესიაზე.



ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავიანთ ტერიტორიებზე, ხელს უწყობენ ამ ტერიტორიებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებანოსილების აღსრულებას, ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების სამოცდამეათე მუხლში მოცემულია დიდმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ენებს და დაუშვებლად მიიჩნევენ ავტონომიურ რესპუბლიკებში ამა თუ იმ ენის ხმარებაში რაიმე პრივილეგიას ან შეზღუდვას. ეს მუხლი კიდევ უფრო განამტკიცებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში მცხოვრები ერებისა და ეროვნებათა ურღვევ მეგობრობას და თანამშრომლობას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ახალი კონსტიტუციების მიღება ლენინური ეროვნული პოლიტიკის ახალი ზეიმიია, იმის ნათელი დადასტურებაა თუ რაოდენ ბრძნულად ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ერების განვითარების ობიექტურად მიმდინარე პროცესს. კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს თითოეული ავტონომიურ ეროვნულის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინების გააზრებულ პოლიტიკას. ამის კიდევ ერთი ნათელი და მკაფიო მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება — „აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ახლახან იქნა მიღებული. ეს არის დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომელიც კიდევ ერთხელ მოწმობს თუ რაოდენ ყურადღებით ეკიდება სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საკავშირო მთავრობა ჩვენი რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის, კულტურის, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

როგორც ამ დადგენილებაშია აღნიშნული „უკანასკნელი წლების მანძალზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ამღლების, ადგილობრივი კადრების მომზადების სრულყოფის, მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის“. ამასთან ერთად დადგენილებაში მოცემულია ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების სამართლიანი კრიტიკა და შემუშავებულია კომპლექსური ღონისძიებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად, პოლიტიკური, აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის. პარტიისა და მთავრობის ამ გადაწყვეტილებათა მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათი საერთო ღირებულება შეადგენს ნახევარ მილიარდ მანეთს.

ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მიღება ნათელ

დღესასწაულად იქცა არა მარტო აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში მშრომელებისათვის, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნებისათვის. იგი გადაიქცა ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის მკაფიო დემონსტრაციად.

ამოცანა ახლა ის არის, რომ თანამიმდევრულად და განუხრელად განვახორციელოთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციების თითოეული მუხლი, ყოველი დებულება, ვაქციოთ ისინი ჩვენი შრომისა და ცხოვრების ურყევ კანონად, მოქმედებისა და ბრძოლის პროგრამად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონსტიტუციების პროპაგანდას, მათი შინაარსის გაცნობას ყველა შრომითი კოლექტივისათვის, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრისათვის. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნით რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს, რომლებიც მოვალენი არიან ფართო მონაწილეობა მიიღონ კონსტიტუციის დებულებათა პროპაგანდაში და ამასთან ერთად მტკიცედ იდგნენ საბჭოთა კანონების დაცვის სადარაჯოზე, გადაჭრით აღკვეთონ მათი დარღვევის ყველა ცდა, განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება, დაიცვან მოქალაქეთა კონსტიტუციებით გარანტირებული უფლებები და თავი სუფლებები.

განვითარებული სოციალისტური

ეროვნული
ნიუსპირობა

საზოგადოების კონსტიტუცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

პროფ. ზრ. შარაძე

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში -- მსოფლიოში პირველ საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითად კანონში, ასახულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ნიშნები, ის სიახლეები, რაც ახასიათებს ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია სსრ კავშირის საზოგადოებრივი წეს-წყობილების და პოლიტიკის საფუძვლები, მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები, საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები.

საბჭოთა სახელმწიფო ორგანოთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. იგი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემა უცვლელი არ არის. საბჭოთა ხელისუფლების როგორც უმაღლეს, ისე ადგილობრივ ორგანოთა ერთიანი სისტემა ექვეს ათეული წლის წინათ ჩამოყალიბდა და მისი იურიდიული გაფორმება საბოლოოდ მოხდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ტიპის, რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციით.

ამ კონსტიტუციით რსფსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანო საბჭოების ყრილობა იყო, ყრილობათა შორის პერიოდში კი — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), რომელსაც საბჭოების ყრილობა ირჩევდა. ცაკი იწვევდა თავის სესიებს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო ცაკ-ის პრეზიდიუმი, რომელსაც ცაკი ირჩევდა თავისი შემადგენლობიდან.

ცაკი ქმნიდა აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობას — სახალხო კომისართა საბჭოს — ხელისუფლების უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს. საბჭოების ყრილობის შემადგენლობა ირჩეოდა მრავალსაფეხურიანი გზით, ქვემოდან ზემოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მიერ შემდეგი პროპორციით: ქალაქის საბჭოების წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ყოველ 25.000 ამომრჩეველზე არჩეულიყო ერთი დეპუტატი, ხოლო საბჭოთა საფუბერნო ყრილობების წარმომადგენელთაგან — ყოველ 125 000 მცხოვრებზე ერთი დეპუტატი.

საბჭოების ყრილობას ცაკი წელიწადში ორჯერ მაინც იწვევდა (მუხ. 26). რსფსრ საბჭოების IX ყრილობამ (1921 წ. დეკემბერი) თავისი დადგენილებით შეცვალა ეს წესი და საბჭოების ყრილობას ცაკი ამ დროიდან წელიწადში ერთხელ იწვევდა.¹

¹ რსფსრ პირველი კონსტიტუციის მიღებამდე საბჭოების ყრილობები იწვეოდა გაცილებით ხშირად. როგორც ცნობილია, 1918 წელს ჩატარდა რსფსრ საბჭოების III (ანგარში), IV (მარტში), V (ივლისში) და VI (ნოემბერში) ყრილობები.

საბჭოების საგანგებო ყრილობის მოწვევა შეეძლო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თავისი ინიციატივით ან იმ ადგილობრივი საბჭოების მოთხოვნით, რომელთა მოსახლეობა ერთად მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის ერთ მესამედს მაინც შეადგენდა.

კონსტიტუცია ადგენდა, თუ რა საკითხები შეეძლო გადაწყვიტა მხოლოდ საბჭოების ყრილობას, აგრეთვე საკითხებს, რომელთა გადაჭრა შეეძლო ყრილობასაც და ცაკსაც (მუხ. 51, 52).

კონსტიტუციაში არ იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილების ამომწურავი ჩამოთვლა. 50-ე მუხლის მიხედვით „გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის და სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში შედის ყველა საკითხი, რომლის შესახებაც ისინი სცნობენ, რომ იგი მათ გადაწყვეტილებას ექვემდებარება“.

ამრიგად, ცაკი საბჭოების ყრილობიდან ყრილობამდე ითვლებოდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. იგი იყო უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის გამწევი ორგანო, აძლევდა საერთო მიმართულებას მუშურ-გლეხურ მთავრობას და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ორგანოებს, აერთიანებდა და ათანხმებდა სახელმწიფო ორგანოთა მუშაობას კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობის სფეროში და თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ ზორციელდებოდა საბჭოთა კონსტიტუცია, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობებისა და საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების დადგენილებები. ცაკი განიხილავდა და ამტკიცებდა დეკრეტების პროექტებს და სხვა წინადადებებს, რასაც მას წარუდგენდნენ სახალხო კომისართა საბჭო ან ცალკე უწყებები, აგრეთვე სცემდა საკუთარ დეკრეტებსა და განკარგულებებს.

სრულიად რუსეთის ცაკის სესიათა შორის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო ცაკის პრეზიდიუმი. მის თაობაზე რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციაში არაფერი არ იყო ნათქვამი. ამ ორგანოს ადგილი საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში, მისი როლი და ფუნქციები განსაზღვრა რსფსრ საბჭოების VII ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1919 წლის დეკემბერში.²

ამრიგად, საბჭოების ყრილობა, ცაკი და ცაკის პრეზიდიუმი რსფსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო, სამივე კანონმდებელ ორგანოებად ითვლებოდა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სამრგოლიანი სისტემა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების იმ ეტაპზე უთუოდ გამართლებული იყო. იგი ხელისუფლების ორგანოთა მოქნილი სისტემა იყო კლასობრივ ძალთა თანაფარდობის იმ ეტაპზე. მათს მოღვაწეობაში არ იყო კანონთა სტაბილობის პრინციპი, საკანონმდებლო ფუნქცია ყველა ამ ორგანოს ეკუთვნოდა.

სახელმწიფო ორგანოთა ანალოგიური სისტემა შეიქმნა აგრეთვე სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებში (უკრაინაში, ბელორუსიაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და ა. შ.), სადაც საბჭოთა ხელისუფლება უფრო მოგვიანებით დამყარდა. მაგრამ, ამ სოციალისტურმა რესპუბლიკებმა ბრმად კი არ გადაიღეს რსფსრ სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, არამედ გაიზიარეს მათი გამოცდილება, მიიღეს პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპები, გაითვალის-

² См. Съезды Советов в документах, 1917—1936, 1959 г. т. I, стр. 111—112.

წინეს თავიანთი ქვეყნის თავისებურება და საბჭოთა ხელისუფლების ფორმის ფარგლებში ჩამოაყალიბეს ანალოგიური სახელმწიფო აპარატი.

სახელმწიფო ორგანოთა აგებისა და მოქმედების დემოკრატიული პრინციპები მისაღები აღმოჩნდა ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირისთვისაც. შეიქმნა ერთიანი საკავშირო ორგანოები. ჯერ ამიერკავკასიის სფსრ საბჭოების ყრილობა, ამიერკავკასიის სფსრ ცაკი და ცაკის პრეზიდიუმი, ხოლო შემდეგ — სსრ კავშირის საბჭოების ყრილობა, სსრ კავშირის ცაკი და ცაკის პრეზიდიუმი. სისტემა და ქვემდებარეობის პრინციპი ამ ორგანებისა იგივე იყო, რაც ცალკეულ რესპუბლიკებში. განსხვავება იყო მხოლოდ უფლებრივ მდგომარეობაში. საკავშირო ორგანოებს უფრო მეტი უფლებამოსილება ჰქონდათ, ვიდრე რესპუბლიკურ ორგანოებს. ყოველივე ეს განსაზღვრული იყო სსრ კავშირის შექმნის შესახებ არსებული ხელშეკრულებით.

სსრ კავშირის ცაკი, სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით, შედგებოდა ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის ცაკის კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შექმნის განსხვავებული წესები. პალატები იმთავითვე თანასწორუფლებიანი იყო. თითოეული პალატა თავის პრეზიდიუმს ირჩევდა ჯერ 7-7, ხოლო შემდეგ 9-9 წევრის შემადგენლობით. ორივე პალატის პრეზიდიუმის შემადგენლობა შედიოდა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში. ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობის ერთი მესამედი ნაწილი (7 ან 9 კაცი) კი ირჩეოდა ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. სსრ კავშირის კონსტიტუცია და სსრ კავშირის ცაკის დებულება დეტალურად განსაზღვრავდა სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ფუნქციებს.

ახალ პირობებსა და ვითარებაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის 1936 წლის კონსტიტუციით ჩამოყალიბდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ახალი სისტემა. სამრგოლიანი სისტემა — ყრილობა, ცაკი, ცაკის პრეზიდიუმი, შეცვალა ორრგოლიანმა სისტემამ. შეიქმნა უმაღლესი საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ცვლილებები მოხდა არჩევნების წესშიც. მრავალსაფეხურიანი, არასავსებით თანასწორი და ღია კენჭისყრა შეზღუდული არჩევნების პირობებში შეიცვალა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით. საბჭოების ყრილობების ნაცვლად დაწესდა უმაღლესი საბჭოს სესიების მოწვევა.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ადგილი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში და მისი ფუნქციები. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მუდმივმოქმედი ორგანოა და ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 119-ე მუხლით „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში“.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევს უმაღლესი საბჭო ახალი მოწვევის პირველ სესიაზე. მისი რწმუნების ვადა იგივეა, რაც თვით უმაღ-

ლესი საბჭოსი. რამდენადაც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „თავის წაქმინაობაში ანგარიშვალდებულა“ უმაღლესი საბჭოს წინაშე, იმდენად ამ უკანასკნელს ვადამდეც ყოველთვის აქვს უფლება გადაირჩიოს მისი შემადგენლობა, აირჩიოს ახალი შემადგენლობის პრეზიდიუმი. დღემდე საბჭოთა კავშირში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. რაც შეეხება პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცალკეულ ცვლილებათა შეტანას, ეს დაშვებულია და ხდება კიდევ.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თვით უმაღლესი საბჭოს ორგანული ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ მის შემადგენლობაში შეიძლება არჩეული იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. ეს პრინციპი პრაქტიკაში ხორციელდება სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მოქმედების დროსაც, თუმცა თვით კონსტიტუციაში ამის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. მის 48-ე მუხლში ჩაწერილი იყო, რომ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით“... ამჟამად კი 1977 წლის კონსტიტუციის 120-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევენ დეპუტატებისაგან შემდეგი შემადგენლობით“... (ხაზი ჩვენია — გ. ე.).

ამრიგად, კონსტიტუციაში ახლა მითითებულია, რომ პრეზიდიუმის შემადგენლობაში ირჩევენ მხოლოდ დეპუტატებს. ეს არ არის ნათქვამი ყველა სხვა ორგანოთა შემადგენლობაზე, რომელთაც ირჩევს ან ქმნის იგივე უმაღლესი საბჭო, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაზე, რომელსაც ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით (მუხ. 153), სსრ კავშირის მთავრობაზე, რომელსაც ქმნის უმაღლესი საბჭო (მუხ. 129), ან სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შესახებ (მუხ. 165).

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა ადრეც იყო და ახლაც ზუსტად არის განსაზღვრული მოქმედი კონსტიტუციით. ამ მხრივ ახალ კონსტიტუციაში არის ცვლილება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობას დაემატა პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. ხოლო პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობა 20-დან გაიზარდა 21-მდე. (მუხ. 120).

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ სახელმწიფო ორგანოთა ის მუშაკები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე, (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარენი და ა. შ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საერთო კომპეტენციის მქონე კოლევიალური ორგანოა. მისი შემადგენლობა თავმჯდომარის ჩათვლით ირჩევა უმაღლესი საბჭოს სესიაზე. უშუალოდ მოსახლეობის მიერ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა მას (თავმჯდომარეს) მიანიჭებდა უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას, აღჭურვადა საკანონმდებლო ფუნქციებითაც, ე. ი. იმ უფლებით, რომ დამოუკიდებლევ განეხორციელებინა საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი.

თანამედროვე ეტაპზე ეს ხელს შეუშლიდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დაარღვევდა კანონთა სტაბილობის პრინციპს, შელახავდა

ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს, — უმაღლესი საბჭოს, როლსა და ავტორიტეტს, შეზღუდავდა მის ფუნქციებს.

1977 წლის 17 ივნისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის განხილვისას, მისმა ახალმა თავმჯდომარემ — ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელიც ამ პოსტზე აირჩია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ, განაცხადა, რომ „ამ ორგანოს (ე. ი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის — გ. ე.) ძალაა ჩვენი ერთსულოვანი და შეხმატებული მუშაობა, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, რომელსაც ჩვენი პარტია და სახელმწიფო ახორციელებენ, აქ მაქსიმალური სისრულით უნდა ვლინდებოდეს. აქ, პრეზიდიუმში, მართლაც რომ თავს იყრის საბჭოთა ხელისუფლების ყველა ძარღვი, რომლებიც 50 ათასზე მეტ საბჭოსთან გვაკავშირებს... უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომლითაც ახალი კონსტიტუციის შესაბამისად უთუოდ განვითარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის საქმიანობა, სახალხო დემუკრატების საბჭოებისადმი ხელმძღვანელობაა“.³

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაფართოებას, გაუმჯობესებასა და გაძლიერებას. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით ზუსტად არის ჩამოყალიბებული უმაღლესი საბჭოს „ყოველსომცველი უფლებამოსილება“. ამავე დოკუმენტში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „ამ უფლებამოსილების მნიშვნელოვან ნაწილს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ახორციელებს. ამიტომ პრეზიდიუმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი მუშაობის ორგანიზატორულად გვევლინება“.

რა უფლებამოსილებაა გათვალისწინებული სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის? ანაშ შესახებ ლაპარაკია კონსტიტუციის 121-ე და 122-ე მუხლებში. პირველყოფლისა, აღვნიშნავთ, რომ ამ მუხლების შინაარსი გამომდინარეობს კონსტიტუციის 73-ე მუხლიდან, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობაში შემავალ უფლებებს, ე. ი. იმას, რასაც ბელშეკრულების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკები უთმობენ საკავშირო სახელმწიფოს⁴.

აღრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო სსრ კავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლით. ახალი კონსტიტუციით პრეზიდიუმის უფლებები პირობითად შეიძლება დაეცოთ ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი უფლებებისა მოცემულია კონსტიტუციის 121-ე მუხლში. ეს ის საკითხებია, რასაც პრეზიდიუმი უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის დამოუკიდებელივ გადაწყვეტს და აღარ შეიტანს დასამტკიცებლად უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე. მეორე ჯგუფი უფლებებისა გათვალისწინებულია კონსტიტუციის 122-ე მუხლით. მათი გადაწყვეტა შეუძლია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად შემდგომი წარმოდგენის პირობით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი ჯგუფის უფლებამოსილება მოიცავს ქვეყნის როგორც შინაგან, ისე საგარეო ფუნქციებს.

³ ვაზ. „კომუნისტი“, 18 ივნისი, 1977 წ.

⁴ იხ. სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის პირველი და 1936 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლები.

ამის შესაბამისად, პრეზიდიუმი ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. როგორც ცნობილია, „სახალხო დემუტატთა საბჭოების არჩევნები ინიშნება არაუგვიანეს ორი თვისა შესაბამისი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე“ (მუხ. 90); იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს. კონსტიტუციით სესიები იწვევა წელიწადში ორჯერ. პრეზიდიუმი იწვევს აგრეთვე უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიებს „თავისი ინიციატივით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის ან ერთ-ერთი პალატის დემუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით“ (მუხ. 112); კოორდინაციას უწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა მუდმივი კომისიების საქმიანობას; კონტროლს უწევს სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს; განმარტავს სსრ კავშირის კანონებს, ე. ი. ახდენს სამართლებრივი ნორმების დეტალიზაციას მათი შინაარსის შეუცვლელად; აუქმებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს თუ ისინი არ შეესაბამებოან კანონს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე (მუხ. 130). სსრ კავშირის მთავრობისა, სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ანგარიშგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე ამ უკანასკნელს შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ ჩაერიოს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-კულტურული და სამეურნეო სკიოხების გადაჭრაში;

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი: აწესებს სსრ კავშირის ორდენებს და მედლებს; სპატიო წოდებებს; აჯილდოებს სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით; ანიჭებს სსრ კავშირის სპატიო წოდებებს, აძლევს სსრ კავშირის მოქალაქეობას; წყვეტს სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლისა და სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის, უცხოელე მოქალაქისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკიოხებს; გამოსცემს საერთო-საკავშირო აქტებს ამნისტიის შესახებ, ახორციელებს შეწყალებას;

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ამავე 121-ე მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ფართო უფლებები აქვს ქვეყნის საგარეო საქმიანობისა და თავდაცვის დარგში. ასეთებია: სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის ანუ დამტკიცების და დენონსაციის ანუ გაუქმების უფლება; სამხედრო წოდებების, დიპლომატიური რანგებისა და სხვა სპეციალური წოდებების დაწესება; უმაღლესი სამხედრო წოდებების, დიპლომატიური რანგებისა და სხვა სპეციალური წოდებების მინიჭება; პრეზიდიუმი ასევე ნიშნავს სსრ კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და იწვევს მათ იქიდან; აცხადებს ომის მდგომარეობას სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ან აგრესიისაგან ერთობლივი თავდაცვის საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში; აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას; აცხადებს სამხედრო წესებს ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში სსრ კავშირის დაცვის ინტე-

რესებისათვის; ქმნის სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს და ამტკიცებს მის შემადგენლობას, ნიშნავს და ცვლის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებათა მეორე ჯგუფში, როგორც ითქვა, სსრ კავშირის კონსტიტუციის 122-ე მუხლით, განსაზღვრულია, რომ საჭიროების შემთხვევაში მას შეაქვს ცვლილებები სსრ კავშირის მოქმედ საკანონმდებლო აქტებში; ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლას; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს სსრ კავშირის სამინისტროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს და ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს.

როგორც ვხედავთ, ეს ისეთი უფლებებია, რომელთა საბოლოო დამტკიცებაც მხოლოდ უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება. ამიტომ ასეთი საკითხების შესახებ სესიათა შორის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულებები ან დადგენილებები საბოლოოდ დასამტკიცებლად აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე.

სესიათა შორის მომხდარი ასეთი ცვლილებების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, მოხსენებით ყოველთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გამოდის. ეს თავისებური ანგარიშიც არის პრეზიდიუმისა უმაღლესი საბჭოს წინაშე. ასეთი ანგარიშის ჩაბარება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს თითქმის ყოველ სესიაზე უხდება.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 121-ე მუხლის ბოლო პუნქტით, გარდა ჩამოთვლილი უფლებებისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში „ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებასაც“, ე. ი. ჩამოთვლა უფლებებისა ამომწურავი არ არის.

უმაღლესი საბჭო მომავალში თავისი კანონით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ახალ უფლებებს განუსაზღვრავს. ხოლო პრეზიდიუმის ის უფლებები, რაც, გარდა 121-ე მუხლისა, კონსტიტუციის სხვა მუხლებით არის გათვალისწინებული, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი ჯგუფის უფლებებად უნდა მივიჩნიოთ.

ასეთი უფლებები მრავალია ახალ კონსტიტუციაში:

კონსტიტუციის 113-ე მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, ე. ი. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კანონპროექტის წარდგენის უფლება, რომლის განხილვაც აუცილებელია უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოიტანოს კანონპროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. 114-ე მუხლის მესამე ნაწილში ჩაწერილია, რომ „კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრებას სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია მათი ინიციატივით ან მოკავშირე რესპუბლიკის წინადადებით, შეიძლება გამოტანილ იქნეს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 116-ე მუხლით დადგენილია უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის, დადგენილებების თუ სხვა აქტთა ფორმა, რომლის მიხედვითაც „სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე და მათ ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი“.

იქ, სადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ხელშეუხებლობაზეა ლაპარაკი, კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საამისოდ საჭიროა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თანხმობა, „ხოლო სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა“ (მუხ. 118).

კონსტიტუციის 167-ე მუხლით სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. იგი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

სსრ კავშირის სახელმწიფო პიძნს, სსრ კავშირის კონსტიტუტუციის 171-ე მუხლის შესაბამისად, ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებებზე ლაპარაკია სსრ კავშირის კონსტიტუციის კიდევ სხვა მრავალ (123, 131, 133, 135 და ა. შ.) მუხლში. ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია იმის აღსანიშნავად, თუ რა ფარგლებში შეუძლია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დამოუკიდებელი მოქმედება როგორც უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში ხელისუფლების მუდმივმოქმედ უმაღლეს ორგანოს.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით შეიძლებოდა კანონის დამტკიცებისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა შეუთანხმებლობის ვითარებაში, სათანადო პროცედურის გავლის შედეგად, დაეთხოვათ ორივე პალატა. პალატების დათხოვნა, 47-ე მუხლით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ეკისრებოდა. 1977 წლის კონსტიტუციით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ასეთი მოვალეობა დაკისრებული აღარა აქვს. კონსტიტუცია საერთოდ აღარ ითვალისწინებს პალატათა დათხოვნის შესაძლებლობას. პალატათა შორის უთანხმოებისას, უკიდურეს შემთხვევაში „...საკითხს გადაიტანენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემდგომი სესიის განსახილველად ან უმაღლესი საბჭო გადასცემს ამ საკითხს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის, რეფერენდუმისათვის“ (მუხ. 115).

კანონით დეპუტატთა სტატუსის შესახებ დეპუტატის უფლებამოსილება იწყება საბჭოში მისი არჩევის დღიდან, ხოლო მთავრდება ეს უფლებამოსილება ახალი მოწვევის საბჭოს არჩევის დღეს (მუხ. 4). მაგრამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში მყოფ დეპუტატებს თავიანთი სადეპუტატო უფლებამოსილება უნარჩუნდებათ სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს მიერ ახალი პრეზიდიუმის არჩევამდე. ეს დრო ორი თვით შემოიფარგლება. ეს მითითებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 124-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო უხდა მოიწვიოს არჩევნებიდან არაუგვიანეს ორი თვისა“.

როგორც ითქვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მუდმივ-

მოქმედი ორგანოა. პრეზიდიუმის სხდომები იწვევა არაუმეტეს ორთვეში ერთ-ხელ.⁵ სხდომის დაწყებისათვის აუცილებელია ქვორუმი (შემადგენლობის არა ნაკლები ორი მესამედი), კენჭისყრა სხდომაზე ღიაა, საკითხები მიიღება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან გარდა პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა, თავმჯდომარის თხუთმეტი მოადგილე — თითო-თითო ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისაგან. გარდა ამისა, მის შემადგენლობაში დეპუტატთაგან ირჩევიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების და სხვ. წარმომადგენლები.⁶

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატში შედის სამდივნო (საოქმო და საერთო განყოფილებით, კონტროლის სექტორით, არქივითა და ბიბლიოთეკით), პრეზიდიუმის თავმჯდომარის მისაღები და რიგი განყოფილებები (საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილება, იურიდიული, დაჯილდოების, საერთაშორისო კავშირურთიერთობის, პალატების მუდმივი კომისიების მუშაობის, საფინანსო-სამეურნეო და სხვა განყოფილებანი, სექტორები და ა. შ.).

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმს აქვს სპეციალური ბეჭდვითი ორგანოები: „გაზ. „იზვესტია“, ურნ. „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვ“, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, გამოიცემა აგრეთვე უმაღლესი საბჭოს სესიების სტენოგრაფიული ანგარიშები.

1977 წლის ივნისის თვიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

იმავე წლის 17 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევი თავის სიტყვაში ამის თაობაზე აღნიშნა: „თქვენ, ამხანაგებო, რა თქმა უნდა, კარგად გესმით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტების შეთავსების შესახებ, სრულიადაც არ არის ფორმალური აქტი. პლენუმის გადაწყვეტილებას ღრმა პოლიტიკური აზრი აქვს.

ეს, უშინარეს ყოვლისა, იმის გამოვლინებაა, რომ დღენიადაც იზრდება ხელმძღვანელი როლი კომუნისტური პარტიისა... მოქმედებს რა საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც მმართველი პარტია, კვლავაც განსაზღვრავს პოლიტიკურ ხაზს სახელმწიფო ცნობრების ყველა საკვანძო საკითხის გადაწყვეტაში“.⁷

ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მეტად იზრდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის როლი და ავტორიტეტი.

⁵ Василенков П. Т. Правовое положение и компетенция Президиума Верховного Совета СССР (журн. «Вестник Московского университета», 1967 г. № 1, стр. 12—22). ზოგიერთ ნაშრომში გვხვდება სხვა მონაცემი, მაგ. А. П. Косицын, Е. М. Чехарин, Демократия страны Советов. 1974 г. стр. 38.

⁶ იხ. მ. ა. სუსლოვის გამოსვლა სსრკ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესიაზე (გაზ. „კომუნისტი“, 15/XII, 1977 წ.).

⁷ გაზ. „კომუნისტი“, 18 ივნისი, 1977 წ.

სისხლის აღება წარსულის ყველაზე მკაცრ კადროსთან

ჯ. ბაბილაშვილი

„უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გუარი შვილთ შვილამდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა, და მკლველი მოკლულსა მათთვის გუარსა ჩასძახებს საფლავსა შინა „მოკვალო მკლველი შენი“, და რწამთ ესე საცხონებლად მისად, არამედ უკეთუ დაზავდნენ ბრჭეთაგან და მისცეს სისხლი, გარნა კუალადცა მოჰკლავს და უკუნსცემს სისხლსა, შინაცემსა თვისსა“ (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. — ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 639—640).

წარსულის მკაცრ გადმონაშთებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს რესპუბლიკაში ახალ ფაზაში შევიდა. იგი გეგმაზომიერი და ეფექტური გახდა. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი საპროგრამო დოკუმენტია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „მკაცრ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“¹. გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადა წარსულის იმ მკაცრ ტრადიციებს, რომლებიც დღეს „ანაქრონიზმად იქცნენ და შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას“².

წარსულის მკაცრ გადმონაშთებიდან ყველაზე მძიმეა სისხლის აღების ჩვეულება. იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ თემური წყობილების პირობებში. მისი ძირითადი დანიშნულება იყო გვარის წევრთა ხელშეუხებლობის, მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების უზრუნველყოფა. „ცალკეული ინდივიდი, — წერს ფ. ენგელსი, — თავისი პირადი უშიშროების დაცვის საქმეს გვარს ანდობდა და შეეძლო კიდევ მას დანდობოდა; ვინც მას შეურაცხყოფდა, ის მთელ გვარს აყენებდა შეურაცხყოფას. აქედან, გვარის სისხლით ნათესაობიდან წარმოიშვა სისხლის აღების ვალდებულება. თუ ვინმე უცხო გვარიდან რომელიმე თანამოგვარეს მოკლავდა, მოკლულის მთელი გვარი ვალდებული იყო სისხლი აეღო“³.

გვაროვნული საზოგადოების განვითარების გვიანდელ პერიოდში სისხლის აღების ტრადიციამ ერთგვარი ცვლილება განიცადა. გამონაკლისის სახით ადამიანებს იძლევა ვარკვეული მატერიალური საზღაურის ვალდებით გამოსყიდული იქნას, დამნაშავეს მიერ დაღვრილი სისხლი, შერიგდნენ დამნაშავესა და დაზარალებულის გვარები. ეს საზღაური, რომელიც „კომპოზიციის“ სახელწოდებითაა ცნობილი, „სისხლის აღების შერბილების საყოველთაო ფორმად გვევლინება“⁴.

პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევას, რასაც ხელი შეუწ-

1 გაზ. „კომუნისტი“. 1975, 25 ნოემბერი.

2 იქვე.

3 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1964, გვ. 293.

4 ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, თბ., 1953,

ყო საწარმოო ძალთა განვითარებამ, შედეგად მოჰყვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა. გვარის ყოფილი წევრი ამჯერად უკვე სახელმწიფოს მოქალაქედ იქცა. მისი პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა სახელმწიფო პრეროგატივა გახდა — თუ ვინმე ხელყოფს მოქალაქის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პატივს, მას ამისათვის დევნის სახელმწიფო, თავისი საჯარო ხელი სუფლებით. ამჯერად თვით სახელმწიფოა დაინტერესებული, რომ აღკვეთოს სისხლის აღების ტრადიცია, დაიცვას მოქალაქენი და განამტკიცოს საზოგადოებრივი წესრიგი.

სისხლის აღება, როგორც წარსულის ყველაზე მავნე ტრადიცია დღეისათვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია შემორჩენილი გადმონაშთის სახით. მაგალითად, საბერძნეთში, იტალიაში, ალბანეთში, იუგოსლავიაში; საბჭოთა კავშირის ხალხებიდან მას ვხვდებით — ლეკებში, ჩაჩან-ინგუშებში, შუა აზიის ხალხებში და სხვ. ეს ტრადიცია შემორჩენილია აგრეთვე საქართველოს მაღალმთიან რაიონების მოსახლეობაში: მთიულებში, ფშავ-ხევსურებში, თუშებში, სვანებში, აჭარაში, პანკისის ხეობაში დასახლებულ ეროვნულ უმცირესობაში⁵ და ა. შ., ესე იგი, იმ რეგიონებში, სადაც შემორჩენილია პირველყოფილი გვაროვნული წყობილების ელემენტები.

სისხლის აღების წესი რიტუალით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თორემ ისე, პრინციპში ყველგან ერთნაირი ბუნებისაა — მოითხოვს შურისძიებას დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ.

თვით ქართველ ტომებშიც კი სისხლის აღების ტრადიცია სხვადასხვა ნიუანსებით ხასიათდება. მაგალითად, სვანეთში არსებული სისხლის აღების წესები განსხვავდება ფშავ-ხევსურეთში არსებული წესებისაგან და სხვ.

მაინც როგორია სისხლის აღების ანუ შურისძიების წეს-ჩვეულება, როგორ წარმოგვიდგება იგი საქართველოს სინამდვილეში, როგორია მისი გენეზისი, განვითარება და ტრანსფორმაცია?

სისხლის აღების ტრადიცია საქართველოში არ ხასიათდება რაიმე წმინდა ეროვნული თავისებურებით. იგი იმავე სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენდა, როგორც სხვაგან, ყველა ცივილიზებულ ხალხებში.

ხევსურული ჩვეულების მიხედვით, მოკლულის პატრონი მკვლელობის ამბის გაგებისთანავე მიდიოდა სისხლის ასაღებად. დამით ძმა ან ბიძაშვილები მკვლელის (მეხელის) სახლისაკენ გაეშურებოდნენ. შორიახლოს მისულნი მკვლელს ზვერავდნენ. პირველი თოფი ძმას უნდა გაესროლა, შემდეგ კი, თუ იგი ვერ მოახვედრებდა, ბიძაშვილები ესროდნენ. თუ მოკლულს ძმა არ ჰყავდა, მაშინ-მამას ეკუთვნოდა პირველი გასროლა. თუ მამა მოხუცე იყო, მაშინ მოკლულის თოფს სხვას გაატანდნენ და პირველად ეს თოფი უნდა გავარდნილიყო. თუ მკვლელს მოჰკლავდნენ ხომ კარგი, თუ არა და მისი ძმა უნდა მოეკლათ. მოკვლის შიში მხოლოდ ძმას უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება ბიძაშვილს, მას მოკვლით არ მოჰკლავდნენ, მაგრამ დაკეჭნიდნენ⁶.

⁵ ა. ბორჩაშვილი, გ. აღდამოვი წიგნში — რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბ., 1973, გვ. 172—173.

⁶ რუსუდან ხარაძე, ხევსურული რჯული, სისხლ-მესისხლეობა, ანალები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1947, გვ. 166—167.

ქართველი მთიელების ზოგიერთი ტომის ადათი შურისძიებას, მკვლელობის გარდა, დაქრისთვისაც ითვალისწინებდა. ეს წეს-ჩვეულება ხევსურებში იყო გავრცელებული და ასეთ დაჭრას „კეჭნობას“ უწოდებდნენ; იგი გამოიხატება ფარიკაობაში, რაც მსუბუქი ქრისტიანობის

მეთავე (შურისმაძიებელი), როგორც კი სისხლს აიღებდა. (მოკლულს) მაშინვე თავის მკვდარს შესწირავდა შემდეგი სიტყვებით: „უნცროსიმე ხარ ჩემის ძმისაი. წყალსამც უზიდავ, ჯღანსამც უბანდავ, რაც დასპირდების მსახურადაც ხეყიხარ, სისხლი ამილია“⁷.

აღათი აწესრიგებდა მკვლელობის შემდეგ დამნაშავეს ქცევას. კერძოდ, იგი თავისი ოჯახით მაშინვე უნდა გაიხიზნულიყო⁸. მაგრამ იმისათვის, რომ მოკლულის პატრონს დამნაშავეს სახლ-კარი არ დაერბია, ირჩევდნენ შუაყაცებს, რომლებიც დასარბევად წამოსულებს წინ მიაგებებდნენ: კურატს, ცხვარს, სამ „ჩარექ რვალს“ (სპილენძს) და ეტყოდნენ „შუაყაცები გეახელით, რაც ვალია ინებეთო“. ცხვარს იქვე დაკლავდნენ განსვენებულის სულის მოსახსენიებლად, მაგრამ ხორცს არ შესჭამდნენ, ვინმე იქ დამსწრეს აჩუქებდნენ, ტყავი შუაყაცებს მიჰქონდათ. ხარს მეშუღლეები წაიყვანდნენ. ამის შემდეგ რჯულით მეშუღლეს ნება აღარ ჰქონდა მეხელის სახლ-კარი დაერბია.

ხევსურული რჯული ითვალისწინებდა დამნაშავე გვარის მიერ სხვა ვალდებულებების შესრულებასაც დაზარალებულის ოჯახის წინაშე. სახელდობრ, დაზარალებულის დასაფლავების დღეს დამნაშავე შუაყაცების ხელით ჭირისუფალს უგზავნიდა „მიწად შავლის საკლავს“, რომელსაც მიცვალებულის ოჯახში კლავდნენ და შენდობას ეტყოდნენ. ამას მოჰყვებოდა „საგვარო“, რომელიც მეხელეს ფულით ან საკლავით უნდა გადაეხადა. ამით მეხელისა და მოკლულის

ბის მიყენებით უნდა დამთავრდეს. მძიმედ დაკეჭნა სირცხვილია. იტყვიან შეეშინდა, მკლავი ვერ დამორჩილა და მეშუღლეს იმიტომ გასწირა — მძიმედ დაჭრაო. კეჭნაობის სისხლი გვარზე და თემზე გადადის და სანამ შერიგება არ მოხდება. შუღლი მე-4 — მე-5 თაობამდე გრძელდება, ამიტომ მეშუღლენი ფარ-ხმალით არიან შეიარაღებულნი და სადაც კი ერთმანეთს შეეყრებიან, იქვე კეჭნაობას იწყებენ. კეჭნაობა ხდება მიცვალებულის რიგებში, ქორწილში, ხატში და სხვ. მიზეზი ამისა მრავალია: პირადი შეტურაცხყოფა, შური, სიმთვრალე, დედისა და მამის სულის შეგინება და სხვ. კეჭნაობა ვაჟკაცობად ითვლება და ქალებში კარგი მოკეჭნავე დიდ მოწონებაშია.

ზოგჯერ შეიძლება კეჭნაობაში მიღებული ჭრილობა იმდენად სერიოზული აღმოჩნდეს, რომ მან სიკვდილი გამოიწვიოს. თუ ასეთ შემთხვევაში დაკეჭნილი „გაგრილდა“ (მიიცვალა) შუაყაცებმა და ბქეებმა უნდა გამოარკვიონ ჭრილობით მოკვდა იგი თუ სნეულებით. თუ აღმოჩნდება რომ სიკვდილი გამოწვეული იყო ჭრილობით, მაშინ დამჭრელს სრული სისხლი ემართება და მის მიმართ მოქმედებას იწყებს სისხლის აღების ინსტიტუტი (ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფ., 1935, გვ. 92-96).

7 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 168. სისხლის აღების მსგავს რელიგიურ-ფანატიკურ რიტუალს ცხვრებით დაღესტნის ტომთა ადათებშიც, სადაც ეს უკანასკნელი უფრო მეტი სისასტიკით სრულდებოდა და მოითხოვდა, რომ შურისმაძიებელი მტერს საფლავზე ან მომხდარი მკვლელობის ადგილზე გასწორებოდა. აი რას წერს ამის შესახებ ა. კომაროვი: «Кровомщение в Дагестане принимало часто громадные размеры и сопровождалось необыкновенною жестокостью. Исполнители его старались поймать убийцу и зарезывали его на могиле убитого или на том самом месте, где он был убит; если же это не удавалось, то отрезали голову канлы или уши, которые показывали своим родственникам и потом клали их на могилу убитого». См. А. В. Комаров, «Адаты и судопроизводство по ним». Сб. свод. о кавк. горцах, I, стр. 44.

⁸ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“. კერძოდ, აღნიშნული კანონის თანახმად, მკვლეელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს სახლ-კარი და გაიხიზნოს. მან ხიზნად უნდა დაჰყოს 2-დან სამ წლამდე. ანალოგიური წესი არსებობს მთელი კავკასიის მთიელებში, რასაც ცნობლი რევოლუციამდელი იურისტ-ეთნოგრაფი მ. კოვალევსკი გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების შეგავლენით ხსნის. იხ. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, М., 1890, стр. 166.

გვარი რიგდებოდა, რის შემდეგ მკვლრის პატრონს საქმე ჰქონდა მეხელესთან, მის ძმასთან ან ბიძასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დამნაშავე ვალდებული იყო დაზარალებულის ნათესავებისათვის სხვადასხვა გადასახადი გადაეხადა. თვითეულ გამოსადებს ეწოდებოდა იმის სახელი, ვისაც იგი ეძლეოდა. მაგალითად, „სადაო“ (გადასახადი, რომელიც ეძლეოდა განსვენებულის დას), „სამიშადაო“, „საძმო“ და სხვ. დამნაშავეს უნდა გადაეხადა აგრეთვე „წყალ-წისკვილის“, „საქმის ამხსნელო“, „საფლავი-სამარხის ამხსნელო“ და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნული ეკონომიური სანქციებისა, ჩვეულება ითვალისწინებდა სხვა სანქციითა მთელ კომპლექსს, რომელთა გამო დამნაშავე დასჯილის პირობებში იყო ჩაყენებული. სახელდობრ, მკვლელს ეკრძალებოდა სიმღერა, დაკვრა, ხატში და ქორწილ-ტირილში წასვლა და სხვ. დაწესებული იყო სხვა შეზღუდვებიც. მაგალითად, მკვლელს არ შეეძლო მოკლულის სოფელში უსაქმოდ გავლა და თუ რაიმე საქმისათვის მაინც უნდა გაეყო, ვალდებული იყო ცხენიდან ჩამოსულიყო და ფეხით წასულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში „ჯურთუმაღ“ (ჯარიმად) ერთი კურატი უნდა გადაეხადა.

მკვლედი დაზარალებულის ოჯახის ყმად ითვლებოდა, თემში ის დამცირებული და უფლება-აყრილი იყო. მას მემუდლისაგან მუდმივი საფრთხე მოელოდა და უშიშრად მგზავრობა არ შეეძლო.

ჩვეულება მოითხოვდა აგრეთვე, რომ მოსისხლე გვარის წარმომადგენლები შერიგებამდე მორიდებოდნენ ერთმანეთს საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში (ქორწილში, ხატში, ქელეხში და სხვ.) მაგალითად, ჩვეულების სწორედ ამ მოთხოვნის დარღვევა იქცა საბაზად 1972 წლის 21 სექტემბერს დუშეთის რაიონის სოფელ მლაშეში მომხდარი მკვლელობისა. ამ დღეს, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე შ. ჭ.-ი იმყოფებოდა დაკრძალვაზე, სადაც მოსული იყო აგრეთვე ს. წ.-ი, რომელიც მის მოსისხლედ ითვლებოდა (მისმა შვილმა 1970 წელს ქ. წითელწყაროში მოკლა შ. ჭ.-ის ბიძაშვილი). ვინაიდან ხევსურული ადათის თანახმად შესაძლო იყო უსიამოვნება მომხდარიყო, იქვე მყოფმა ო.-მ, რომელმაც იცოდა ამ პირთა ურთიერთობის შესახებ, გააფრთხილა ს. წ.-ი, რომ დაკრძალვაზე მოსული იყო მისი მემუდლე შ. ჭ.-ი და მორიდებოდა მას. ს. წ.-ი, როგორც ხანდაზმული კაცი, არ მოელოდა მე-10 კლასის მოსწავლისაგან თავდასხმას და ო.-ს უთხრა, რომ არ წავიდოდა იქიდან.

დაკრძალვის შემდეგ, ქელეხში, სადაც ს. წ.-ც იღებდა მონაწილეობას, მასთან მივიდა ჭ.-ი და განუცხადა, რომ მათი სუფრაზე ერთად ყოფნა ადათის თანახმად მიუღებელი იყო, ვინაიდან მათ გვარებს შორის მტრობა იყო ჩამოვარდნილი. მიუხედავად ამისა ს. წ.-ი მაინც იჯდა სუფრასთან.

ქელეხის დაწყებიდან დაახლოებით ოცი წუთის გასვლის შემდეგ ჭ.-ი ადგა მაგიდიდან, მივიდა ს. წ.-თან და მოითხოვა მისი იქიდან წასვლა. ს. წ.-მ ისევ უარი თქვა. მაშინ შ. ჭ.-მ ბიჯაკის შიგნითა ჯიბიდან ამოიღო ბეჭუთი და ს. წ.-ს ორი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა⁹.

თუ მკვლელობიდან სამი წლის განმავლობაში მოსისხლე ვერ შეხვდებოდა მკვლელს და ეს უკანასკნელი გადაურჩებოდა შურისძიებას, მაშინ მკვლელს ახლო ნათესავეები ფრთხილად და დიდი მოკრძალებით იწყებდნენ დაზარალებულის ოჯახთან მოლაპარაკებას შერიგების თაობაზე¹⁰.

⁹ ჭაქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 83, 1973.

¹⁰ გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, გვ. 114-116.

ჩვეულების თანახმად შუაქაცების მიგზავნა სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ დაზარალებული მხარე უეჭველად შეურიგდებოდა მკვლელს. იმის გამო, რომ სისხლის აღება უფრო სასახელო იყო, ხშირად მიცვალებულის პატრონები თავს იკავებდნენ შერიგებისაგან და ცდილობდნენ შური ეძიათ.

თუ დაზარალებული მხარე დათანხმდებოდა მკვლელთან შერიგებაზე, ირჩევდნენ ე. წ. „ბჭეებს“ (ხევსურეთში), „მორგებს“ (სვანეთში), რომლებიც ერკვეოდნენ შესაბამის ადათ-წესებში. აღნიშნული პირები გამოიძახებდნენ მოწოდლებებს, გამოიკვლევდნენ საქმის გარემოებებს და დამნაშავეს დააკისრებდნენ გარკვეული მატერიალური საზღაურის გადახდას, რასაც სისხლის ფასი ეწოდებოდა. სრული სისხლი, ე. ი. გამოსასყიდი ჩადენილი მკვლელობისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იქ სადაც სისხლის აღება იყო გავრცელებული) სხვადასხვა იყო. მაგალითად, ხევსურული რაჯულით კაცის სრული სისხლი ფასობდა 80 ძროხად¹¹. ქალისა — 30 ძროხად. მაგრამ რიგის გადახდის შემდეგ მკვლელი იხდიდა 16 ძროხის საფასურს, რადგან დანარჩენს რიგის ყენებაში¹² უბრძიდნენ¹³.

თუშეთში კაცის სისხლი 60 ძროხა ღირდა, ღედაკაცისა — 30¹⁴.

სისხლის ფასი განსხვავებულად იყო განსაზღვრული თავისუფალ სვანეთში. მას „წორი“ ეწოდებოდა და მისი ოდენობა სხვადასხვა თემში სხვადასხვა იყო. მაგალითად, უშგულის საზოგადოებაში იგი უთანაბრდებოდა „ეჭქეს სისხლის ნალჯომს“ (ნაჯომ) სახნავ ყანებს. ყანები უნდა იყვნენ საუკეთესონი, — წერს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფი ბ. ნიჟარაძე, — სოფლის ახლო, რომელნიც მომეტებულად ფასობენ, თვითონ ამგვარი ნალჯომი, — აღნიშნავს იგი, — ღირს ეჭქის ცალი ხარი. თუ მკვლელს მაგნაირი საგვარო (ლაგვარ) ყანები არ ჰქონდა, მაშინ მათ მაგიერ უნდა მიეცა სახლკარობა, რომელიც სამს სისხლის ნალჯომად გადიოდა და კალო თავისი კარაპანიოთ. კალო-კარაპანი სჭრიდა ორ სისხლის ნალჯომს. მეეჭქსე ნალჯომის მაგიერ მკვლელს მოძრავი ქონება უნდა მიეცა. ამათ გარდა მკვლელს უნდა მიეცა კარგი თოფი და მოკლულის ოჯახის წევრებისათვის თვითეულად ხარი ან ძროხა საჩუქრად. შერიგების დროს მკვლელს მიცვალებულის ოჯახისათვის და მასთან ერთად მორგებისათვის ან ლუბხულებისათვის უნდა ეჭმია ხარჯი“¹⁵.

11 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

12 ძროხების აღნიშნული რაოდენობა სამად იყოფოდა, რომლიდანაც ერთ ნაწილს დამნაშავე იხდიდა უშუალოდ საქონლით, მეორეს — სპილენძით, ხოლო მესამეს ფულით. სისხლის ფასის გადახდაში, რა თქმა უნდა, მთელი გვარი ეხმარებოდა დამნაშავეს.

13 იგულისხმება იმ სხვადასხვა გამოსაღებთა გადახდა რასაც მკვლელი იხდიდა მოკლულის სულის მოსახსენებლად ან საწესიების სახით აძლევდა დაზარალებულის ახლობლებს.

14 ა. ხახანაშვილი, მგზავრის დიოფრიდამ, გაზ. „ივერია“, № 185, 1888 წ.

15 ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962, გვ. 117. ადათის თანახმად სისხლის ფასი იყო ის საორიენტაციო ქონებრივი საზღაური, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა საერთოდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის-ასანაზღაურებელი თანხა. ეს პრინციპი თავის დროზე, ოფიციალური სამართლის ნორმებშიც კი იყო დაცვნილებული. კერძოდ, „ძეგლის დადებამი“ მითითებული იყო, რომ „მარჯვენა ხელი ვისაც მოეკვეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობითა, სისხლის მესამედი დაუურგოს (მუხ. 32) და სხვ.

ფშავ-ხევსურთა ადათი პირდაპირ ითვალისწინებდა, თუ კონკრეტულად რა ღირებულება უნდა გადაეხადა დამნაშავეს მეორე პირისათვის სხეულის დაზიანების შემთხვევაში. „ყველა ასო კაცის სხეულისა, გარდა პირისახისა, იყო დაფასებული გადაჭრილი ფასით. ღირებულებას, გვაროვნობას, ჩამომავლობას ჩვეულებითი სამართალი არ მიჰმართავდა. მთელი ხელი

აღათი ითვალისწინებდა გამონაკლისსაც. მაგალითად, ფშავ-ხევსურთა და თუშთა ჩვეულებით დამნაშავე შეიძლება განთავისუფლებულიყო სისხლის ფასის გადახდისაგან იმ შემთხვევაში, თუ ხატობაში ქადაგი დაარწმუნებდა ხალხს იმაში, რომ ლაშარის ჯვარი არ მოითხოვდა ამას. აღნიშნულ შემთხვევაში დამნაშავე ხატს მიაართმევდა ერთ ქვებ ლულს, ხარსა და ცხვარს; ამით იგი იწმინდებოდა თავისი დანაშაულისაგან¹⁶.

დაზარალებულის გვართან დამნაშავეს შერიგება იმას არ ნიშნავდა, რომ შურისძიება აღარ იყო მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში, ე. ი. თუ დაზარალებულის ოჯახის წარმომადგენელი სისხლს აიღებდა (მოკლავდა დამნაშავეს), იგი უკან აბრუნებდა ამ უკანასკნელისაგან მიღებულ სისხლის ფასს. საყურადღებოა ისიც, რომ დამნაშავეს ოფიციალური დასჯა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, ჩვეულების თანახმად, სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ დაზარალებული მხარე ამით დაკმაყოფილებულიყო და სისხლი აღარ აეღო ან სისხლის ფასის მიღებაზე უარი ეთქვა¹⁷. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ სისხლის აღების ერთ-ერთ საქმეში დაზარალებულად ცნობილი მხარის წარმომადგენლის (მოკლულის მეუღლის) განცხადებას სასამართლო პროცესზე. „მე, როგორც დაზარალებული, — თქვა მან, — მოვიტხოვ რაც შეიძლება შედეგადად გაუწიონ დამნაშავეს, რადგან თუ იგი პატიმრობაში დაიღუპება ან დახვრეტენ, ჩვენ ორ გვარს შორის სისხლის აღება გავრძელებდა და მერე აუცილებლად შვილს მომიკლავენ“; დაზარალებული მხარის მეორე წარმომადგენელმა კი (მოკლულის ვაჟიშვილმა) განაცხადა, რომ „თუ დამნაშავე დაიღუპება სისხლის აღება დაუხტრავი დარჩება და, დამნაშავეს გვარის რომელიმე წარმომადგენელი მოკლავს ჩვენი გვარის კაცს. ამიტომ, გთხოვთ დამნაშავე გაათავისუფლოთ პატიმრობიდან, ჩვენ მას არაფერს ვერჩით, რადგან ხევსურული ათად-წესება ამას გვავალდებენ“¹⁸.

სისხლის აღების, ამ საზოგადოებრივად საშიში ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც სახელმწიფოს წარმოშობისთანავე იწყება. სახელმწიფო ხელისუფლება აქაც იმთავითვე ცდილობს თავის ხელში აიღოს ქვეშევრდომის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. მართალია გარკვეული კლასობრივი შეფერილობით, მაგრამ მაინც ძველი ქართული სამართლის მიერ მკვლელობა ცხადდება ანტისაზოგადოებრივ ქმედობად და მის ჩადენას გარკვეული სანქციები უკავშირდება.

ოფიციალური სამართალი ებრძვის შურისძიებას, როგორც სამართალწარმოების კერძო ხასიათის ინსტიტუტს. თავდაპირველად ის ცდილობს შეარბილოს შურისძიება, შეზღუდოს მისი ფარგლები. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში — „ძეგლის დადებაში“, ჩვეულებითი სამართლის

იყო დაფასებული 15 ძროხად. ნეკი ღირდა ერთი ძროხა, იმისი მიყოლება ორი ძროხა, საშუალო თითი სამი ძროხა, საჩვენებელი — ოთხი, ცერი—5 ძროხა, ნეკიდან დაწყებულ რიგზე თითოეულის თითს თითო ძროხა ემატებოდა. სახეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება სხვა წესით ხდებოდა. სახელდობრ, ქერის მარცვლებით იზომებოდა: ერთი მარცვალი დაედებოდა სივრძივ, სხვა გარდიგარდმო. დანარჩენი მარცვლებიც ამრიგად. მარცვლების რიცხვი (ერთის გამოკლებით) და ძროხებისა, რამდენიც დამკრეს უნდა მიეცა დაპირლისათვის, სწორი უნდა ყოფილიყო (ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1937, გვ. 126).

16 ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან, ვაზ. „ივერია“, № 185, 1888 წ.

17 ყოფილა შემთხვევები, რომ სასჯელის მოსახდელად გაგზავნილ დამნაშავეს თავს დასხმინ მოსისხლეები და მოუკლავთ იგი — სისხლი აუღიათ.

18 იბ. ვაზ. „კომუნისტი“, 1972, 11 ნოემბერი.

ზოგიერთ ინსტიტუტთან ერთად შურისძიებაცაა დაკანონებული (მუხ. 22, 25, 28—29, 44). იგი აღიარებულია, როგორც დაზარალებულის უფლება მისი შელახული ინტერესების აღსადგენად. მაგრამ, „ძეგლის დადების“ შურისძიების მოქმედების არე შეზღუდულია გარკვეული ვადით, დავიწროებულია შურისმაძიებელთა წრე (დაზარალებული და მისი მემკვიდრე), შემოფარგლულია შურისძიების გავრცელების ობიექტები (დამნაშავე და მისი ქონება) და დადგენილია შურისძიების კანონიერი საფუძვლები, ანუ აღნიშნულია ის დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა ჩადენით გამოწვეული შურისმაძიებელთა რეაქცია დაუსჯელი რჩება¹⁹.

შემდგომ, დროთა ვითარებაში, სისხლის აღების ტრადიცია გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის, იცვლება საზოგადოებრივი აზრიც მის შესახებ, სახელმწიფო ხელისუფლება სულ უფრო აქტიურად ცდილობს წესრიგი დაამყაროს აღნიშნულ ურთიერთობაში. ამ მხრივ საყურადღებოა „განჩინება ბარცა და მთიულთა ადგილთა“, რომელიც შედგენილია ლევან ბატონიშვილის მიერ არაგვის საერისთავოსათვის. მასში ვკითხულობთ: „ღმერთმა ნუ ქნას, თუ ვისმე კაცი შემოაკვდეს, იმ მკვდრის ბატონი თავის თავად ლაშქარს ნუ შეყაროს და მკვლელს ნუ დალაშქრავს, და ნურც თვითონ ეცდება იმის სიკვდილს, ჩვენს სამართალში მოვიდეს და სამართალი მიეცემა“.

„თუ ჯარით დალაშქრავს და ან სხვა რიგით მოინდომებს რასმე იმის გადახდევინებას, — აღნიშნულია განჩინებაში, — იმ მკვდრის სისხლსაც ჩაუტარებთ, და რომელი კაცი იმას ლაშქრად მოჰყვება, იმასაც ჯარიმას წავართმევთ, და უჩვენოდ იმასთან საქმის გასარიგებლად ბჭებიც ნუ დასხდებიან, თორემ ბჭებსაც დიდად ავად მოვეპყრობით“²⁰.

საქართველოში სისხლის აღების მავნე ტრადიციის გადმონაშთების წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ დაიწყო. ფართოდ გაიშალა ამ ტრადიციის საწინააღმდეგო განმარტებითი მუშაობა. რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების ის მოსახლეობა, სადაც ეს ადათი იყო შემორჩენილი ყოველწლიურად რწმუნდებოდა, თუ რაოდენ მავნე იყო მისი დაცვა, ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აჭარის საბჭოების I ყრილობაზე 1922 წლის 10 იანვარს მიღებული დადგენილება, რომლის მე-3 პუნქტში აღინიშნა, რომ: აჭარისტანის ხალხი ახალი მთავრობისაგან მოითხოვს უმკაცრესი ზომების მიღებას ისეთი მავნე ადათის წინააღმდეგ, როგორცაა სისხლის აღება წარმოადგენს²¹.

ეს მოთხოვნა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი ნაკარნახევი იყო იმ მძიმე ვითარებით, რასაც ადგილი ჰქონდა ამ მხრივ აჭარაში. კერძოდ, ამ დროისათვის 178 გვარში ჩამოვარდნილი იყო შუღლი მოსისხლეობის გამო; ყოველ 100 ათას მოსახლეზე წელიწადში მოდიოდა 303 დანაშაული, ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე²².

საყურადღებო იყო ასევე ხევსურეთის ერთ-ერთი თემის — არხოტის თემის ყრილობა, რომელიც 1927 წლის 18 ივნისს შესდგა თავ-მოსისხლეობის შესახებ. ყრილობამ დაადგინა: აღკვეთილიყო ყოველგვარი დევნა და სისხლის

19 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 31—32.

20 საქართველოს სიძველენი, ტ. 1, გამ. 2, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1920, გვ. 192.

21 Съезды Советов Аджарии. Сборник документов и материалов, 1921—1937 гг., г. Ватуми, 1971, стр. 131.

22 Г. Н. Диасамидзе, Убийство на почве кровной мести по советскому уголовному праву (Автореф, кандидатской диссерт. Свердловск, 1974, стр. 21).

აღება მკვლელის მამისა და გვარეულობის წევრების მიმართ. მკვლელის ძმა ვალდებული ხდებოდა ერთი წლის განმავლობაში მორიდებოდა მოსისხლეს და არ ეტარებინა იარაღი.

ნახევარი წლით უნდა მორიდებოდნენ დაზარალებულ მხარეს ბიძაშვილებიც; რაც შეეხებოდა გარეშე ბიძაშვილებს, ისინი პასუხს არ აგებდნენ მკვლელობისათვის, ოღონდ სასურველი იყო მალე გაეღოთ „პირმესამყრელი“; ყრილობის დადგენილებით მოისპო ყოველგვარი ჯარიმები და გადასახადი. ისპობოდა როგორც მკვლელის, ისე ბიძაშვილების ხიზნის რაიმე სახით დევნა, ძველი წესი მთელი თავისი სიმკაცრით შეიძლება შესრულებულიყო მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე დასჯილი არ იქნებოდა ხელისუფლების მიერ. მოსისხლეობის წესების შესრულება ისპობოდა მთლიანად მკვლელის სიკვდილის შემდეგ; თუნდაც ეს უკანასკნელი შურისძიების მსხვერპლი არ ყოფილიყო.

აღნიშნული დადგენილების დამრღვევი თავისი ხიზნით იღვენებოდა ან ხოტისა და ხევსურეთის არეზარედან²³.

აჭარისა და ფშავ-ხევსურეთის გარდა სისხლის აღების მავნე ტრადიციის წინააღმდეგ ხმა აღიმართეს აგრეთვე საქართველოს მთიანი რაიონების სხვა მცხოვრებლებმაც: სვანებმა, თუშებმა, მთიულეებმა და სხვ. ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს, დარაზმეს აქტივი დაიწყო დიდი მოძრაობა სისხლის აღებისა და წარსულის სხვა მავნე ტრადიციების შეზღუდვისა და საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

სისხლის აღების ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლებრივ ღონისძიებებს. საბჭოთა სახელმწიფომ იმთავითვე დანაშაულად ცნო სისხლის აღება და საკმაოდ მკაცრი სასჯელიც დააწესა მისთვის.

სპეციალური კანონი სისხლის აღების დასჯადობის შესახებ საქართველოში მიღებულ იქნა 1929 წლის 13 თებერვალს და იგი პირველ მუხლად იქნა გათვალისწინებული²⁴ „ღებულებაში იმ დანაშაულთა შესახებ, რაც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთს წარმოადგენს“. ეს ღებულება მთლიანად იქნა შეტანილი საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში²⁵.

სისხლის აღების დასჯადობა გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობითაც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (რომელიც 1961 წელს იქნა მიღებული) 104-ე მუხლში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობის ერთ-ერთ სახედ (მე-8 პუნქტი) ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას, ჩადენილს სისხლის აღების ნიადაგზე. იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ან ისჯება სასჯელის უმაღლესი ზომით — სიკვდილით. ანალოგიურ ნორმებს ითვალისწინებენ რსფსრ-ის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები. დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების — სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვითის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ყირგიზეთისა²⁶ და ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს მკვლელობას სისხლის აღების ნიადაგზე.

²³ ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფ., 1935 წ., გვ. 89—92.

²⁴ ანალოგიური კანონები მიიღეს იმ მოკავშირე რესპუბლიკებშიც, სადაც სისხლის აღების ტრადიცია იყო შემორჩენილი.

²⁵ მანამდე სისხლის აღება ისჯებოდა განზრახი მკვლელობის მუხლით.

რატომ გამოჰყოფს კანონი ცალკე სისხლის აღებას, როგორც მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებას? რაშია მისი საზოგადოებრივი საშიშროება?

მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე, გარდა იმისა, რომ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს, იმითაცაა საშიში, რომ იგი წარმოადგენს თვითგასამართლების აქტს: დამნაშავე ითვისებს სახელმწიფოს პრეროგატივას — გაასამართლოს მოქალაქე და გამოიტანოს შესაბამისი სასჯელი. დაბოლოს სისხლის აღება წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციას გვარებს შორის და ფიზიკური განადგურებით ემუქრება მათ. არაერთი ფაქტის მოყვანა შეიძლება, როდესაც მთელი გვარები ამოწყვეტილა მოსისხლეობის შედეგად.

სისხლის აღება გამოიხატება შურისძიებაში მიყენებული წყენისათვის. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ახლობლის ან მოგვარის მკვლელობით, ოჯახის ღირსების შელახვით (ცოლის შეცდენა, მოტაცება, გაუბატოება), საოჯახო კულტისადმი უპატივცემულობით, (წინაპართა საფლავის შებილწვა) და სხვ.²⁶

ოჯახის ღირსების შელახვად იქნა მიჩნეული მაგალითად, ზემო სვანეთის ერთ-ერთ სოფელში მოქ. გ.ს მიერ ს-ს ეზოში ამ უკანასკნელის ძაღლის მოკვლა. მოსალოდნელი სისხლის აღების ასაცილებლად გ.-ს დედამ იმ დღესვე მიუგზავნა შუაქაცები ს-ს ოჯახს, გაატანა მათ საკუთარი ძაღლი და სთხოვა — ძაღლის სისხლი ძაღლზე აეღოთ. ს. დათანხმდა და მოკლა ძაღლი, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ს-მ ველარ გაუძლო შურისძიების შესახებ საზოგადოებრივი აზრის დაწოლას, დახვდა სოფელში შემთხვევით ჩამოსულ გ-ს გაუს, რომელმაც ამ ინციდენტის შესახებ არაფერი იცოდა და მოკლა იგი.

ზემოაღნიშნულის გამო, ბუნებრივია, სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობად არ ჩაითვლება მკვლელობა ისეთი წყენის მიყენებისათვის, რომლისთვისაც ადათი არ მოითხოვს სისხლის აღებას. მაგალითად, საქონლის მოპარვისათვის. ამ შემთხვევაში, ადათი სისხლის აღების მაგივრად მოითხოვს, რომ ქურდმა შეიძმაგად გადაიხადოს ნაქურდალი. ვთქვათ, ერთი ცხვრის მოპარვაში შვიდი ცხვარი და ა. შ.²⁷ ასე, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ სისხლის აღება მოცემული წყენისათვის ადათიდან გამომდინარეობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება არა სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობასთან, არამედ განზრახ მკვლელობასთან დამამძიმებელი გარემოების გარეშე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 105-ე მუხლით.

ადათი განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს შურისძიების მსხვერპლი. მაგალითად, ხევსურთა ჩვეულების თანახმად „მეშუღლე ხევსური ცდილობს თავის მტერს მოუკლას სახელოვანი და გულის საყვარელი პირი, რაც თემშიც სა-

²⁶ აღსანიშნავია, რომ თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცალკე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქალის მკვლელობისათვის წარსულის აღმშენებლების ნიადაგზე.

²⁷ მაგალითად, სვანური ადათ-წესებისთვის ცნობილია საცოლის გამოსყიდვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოლის თხოვნის მსურველი საცოლის მშობლებს ან მის სხვა ახლობლებს აძლევს გარკვეულ საფასურს: პირუტყვის, ფულის ან სხვა რაიმე ქონების სახით. ამ საფასურის (ნაჰვალაშის) ამღები პირი ვალდებულია უცილობლად მიათხოვოს ქალი სასიძოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი სისხლს აიღებს.

²⁸ ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან, გაზ. „ივერია“, № 185, 1888 წ.

სახელოა. ბეჩავზე და სნეულზე შურისძიება აქ სირცხვილია. ქალებზე და 60 წელს გადაცილებულ მამაკაცებზე შურისძიება სირცხვილად ითვლება. არც „უნიფხო“, ე. ი. 12 წელს ქვემო ასაკის ვაჟზე შეიძლება სისხლის აღება“²⁹.

ასე რომ, მოსისხლე დაინტერესებულია თავის მტერს მოუკლას გვარში წარჩინებული, გამოჩენილი პიროვნება — კაცი. შურისძიება ვრცელდება: თვით მკვლელზე, მის ძმაზე, შვილებზე და შვილისშვილებზე, აგრეთვე ბიძაშვილებზე. ამასთან შურისძიების მსხვერპლი შეიძლება იყოს ზოგიერთი მათგანი ისე, რომ პირვანდელი წყენის მომენტში ჯერაც არ იყოს დაბადებული³⁰.

მოკლული შეიძლება იყოს მხოლოდ მოსისხლე გვარის წარმომადგენელი. საკუთარი მოგვარის მოკლა, ადათის თანახმად, სისხლის აღებას არ იწვევს. ასეთი პირის მიმართ გვარი იყენებს შესაბამის სანქციებს: მოიკვეთს მკვლელს, გააძევებს გვარიდან, რაც სასჯელის უმაღლეს ზომად ითვლებოდა წინათ. დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც აღიარებს სისხლის აღების ტრადიციას, ისე პირი, რომლისთვისაც სისხლის აღება ტრადიციად არ ითვლება.

მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე, კანონის თანახმად, შეიძლება ჩადენილი იქნეს ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით, როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. საყურადღებოა, რომ წინათ, ჩვეულების თანახმად, შურისძიება ხდებოდა მხოლოდ აქტიური მოქმედებით, ცივი ან ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენებით³¹. მთიელისათვის სამარცხვინო და მიუღებელია იყო შურისძიების ისეთი ხერხი, როგორცაა მოწამვლა. იგი შურისძიების აქტს უმთავრესად ვაჟკაცურ ორთაბრძოლაში ანხორციელებდა. უფრო მეტიც. ხევსურული ჩვეულების თანახმად „თუ მოსისხლენი შემთხვევით შეხვდებოდნენ ერთმანეთს გზაში; მაშინ მკვლელი მოიხდის ქუდს, დააგდებს გზაზე და თვითონ გაიქცევა. მოკლულის ახლობელი თუ პატიოსანია, ქუდს აიღებს, გაბერტყავს და იქვე გზის ნაპირზე შემოდებს. თუ ქუდის დაგდების შემდეგ მტერმა ვერ მოითმინა და მოსისხლეს დაედევნა, ეს დიდი სირცხვილია და მას, როგორც არა-ვაჟკაცს ნათესაობა და მეზობლობა საშინლად გაკიცხავს“³².

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობისათვის პასუხს აგებს ნებისმიერი შერაცხადი პირი (როგორც მამაკაცი, ისე ქალი), რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი. ჩვეულების თანახმად, როგორც ზემოთ ითქვა, სისხლს იღებენ, როგორც წესი, მოკლულის ახლო ნათესავები: ძმა, მამა, ბიძაშვილები, გამონაკლის შემთხვევაში (თუ დაზარალებულს ასეთი პირები არა ჰყავს) შურს იძიებენ მოგვარეები.


იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა განსახილველი დანაშაულის სუბიექტის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობას ჩადის იმ ეროვნების ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომლისთვისაც უცნობია სისხლის აღების ტრადიცია.

²⁹ ს. მაკალათია, დასახ. ნაშ., გვ. 83—89.

³⁰ გ. დიასამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

³¹ ხევსურული ჩვეულების თანახმად, თუ მკვლელობა სხვისი იარაღით მოხდა, მაშინ იარაღის პატრონს ჯარიმად 5 ძროხა უნდა გადახდეს (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 84).

³² ვ. თედორაძე, დასახ. ნაშ. გვ. 115.



ავტორთა ერთი ჯგუფის მოსაზრებით, ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება აღნიშნულმა პირმა პასუხი აგოს სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმედობა ერთი შეხედვით შეესაბამება 104-ე მუხლის მე-8 პუნქტში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. ამ კრიმინალისტთა აზრით, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს შურისძიებით ჩადენილი მკვლელობისათვის³³ (მუხ. 105).

სხვა ავტორთა აზრით, ასეთი შეზღუდვა არ გამოიმდინარეობს კანონის დედააზრიდან. განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც, მართალია, არ ეკუთვნის მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელიც ცნობს სისხლის აღების ადათს, მაგრამ იგი პირადად იზიარებს მას ამ ხალხთან ნათესაური თუ საქორწინო კავშირის გამო, ან ასეთ მკვლელობას ჩადის იმ პირის წაქეზებით, რომელიც ეკუთვნის მოსახლეობის ზემოაღნიშნულ ჯგუფს³⁴.

ეს საკითხი არაერთგვაროვნად წყდება სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძმები გ-ები, რომლებიც ეროვნებით იყვნენ სომხები, დამნაშავედ სცნო სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობის ჩადენის მცდელობაში იმისდამიუხედავად, რომ სისხლის აღება არაა დამახასიათებელი ამ ეროვნებისათვის, თავისი პოზიცია სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ დამნაშავენი ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს ნორმა, რომელიც კრძალავს სისხლის აღებას³⁵.

სხვანაირად წყვეტს ამ საკითხს რსფსრ-ის სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, ტიუმენის საოლქო სასამართლომ რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „კ“ პუნქტით გაასამართლა ა., რომელმაც სისხლის აღების ნიადაგზე მოკლა ბოშა ქალი ს., რომლის ბიძამაც რამდენიმე თვის წინათ მოკლა მსჯავრდებულის მამინაცვალი.

ამ საქმეზე იმსჯელა რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა და ა-ს მოქმედება 102-ე მუხლის „კ“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა 103-ე მუხლზე (განზრახი მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე). პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ იგი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც მკვლელობა, ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე, ვინაიდან ბოშები არ ეკუთვნიან მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელიც მისდევს სისხლის აღების ადათს³⁶.

ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია ის შეხედულება, რომლის თანახმადაც განსახილველი დანაშაულის სუბიექტად უნდა ჩათვალოს მხოლოდ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომლისთვისაც სისხლის აღების ტრადიციაა დამახასიათებელი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა პირდაპირ გამოიმდინარეობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-8 პუნქტიდან (მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებიდან). ამ ნორმით სახელმწიფომ აკრძალა და დასასჯელად გამოაცხადა სისხლის აღება, რომელიც ჯერ კიდევ გავრცელებულია ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფებში. სასჯელის მუქარით კანონ-

³³ М. И. Янубович, Советское уголовное право, часть особ., М., 1965, стр. 159; П. С. Ромашкин, Курс советского уголовного права, т. V, М., 1971, стр. 55 и др.

³⁴ Н. Д. Дурманов, Советское уголовное право, особ. часть, МГУ, 1971, стр. 154—155 и др.

³⁵ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 71, 1962.

³⁶ См. С. В. Вородин, Квалификация убийства по действующему законодательству, М., 1966, стр. 154—155.

მდებელს სურს ზეგავლენა მოახდინოს ასეთი ჯგუფის იმ წარმომადგენელზე რომელსაც ჩვეულების თანახმად ევალება სისხლი აიღოს კონკრეტული წყენისათვის. ამასთან კანონს უნდა წინ აღუდგეს იმ საშიშ რეაქციას, რაც სისხლის აღებას მოსდევს ხოლმე შედეგად. ვინაიდან ეს საშიშროება გამორიცხულია იმ პირის მიერ შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის დროს, რომელიც არ ეკუთვნის ზემოაღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფს, ამდენად არასწორი იქნება მისი პასუხისმგებლობაში მიცემა 104-ე მუხლის მე-8 პუნქტით სისხლის აღებისათვის. იგი უნდა დაისაჯოს 105-ე მუხლით, დამამძიმებელი გარემოების გარეშე ჩადენილი განზრახ-მკვლელობისათვის.

მკვლელობა, ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე, განზრახი დანაშაულია. მისი ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება (იცის რომ, ვთქვათ, თოფს ესვრის მოშუღლეს), ითვალისწინებს შესაძლო მავნე შედეგს (რომ თოფის გასროლას მოჰყვება მისი სიკვდილი) და სურს ეს შედეგი.

სისხლის აღების საზოგადოებრივი საშიშროება, გარდა ამ მომენტებისა, გამოიხატება იმაშიც, რომ ადათი მოითხოვს სისხლის აღებას იმისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა პირს ბრალი განხორციელებული შედეგის მიმართ. ჩვეულება სისხლის აღებას მოითხოვს არა მარტო განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის, არამედ ისეთ მკვლელობისათვისაც, რომელიც ჩადენილია შემთხვევით ან აუცილებელი მოგერიების პირობებში, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში სისხლის აღების რეაქცია უფრო შერბილებულია (ადვილია შერიგება, შემცირებულია სისხლის ფასი და ა. შ.)³⁷.

სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის განზრახვის შინაარსის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა სასამართლომ გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობა. კერძოდ, დანაშაულის ხერხები და საშუალებანი, ჭრილობათა და სხეულის სხვა დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და ლოკალიზაცია (მაგალითად, ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები), დამნაშავეს დანაშაულებრივ ქმედებათა შეწყვეტის მიზეზები და ა. შ. აგრეთვე დამნაშავესა და დაზარალებულის ქცევა დანაშაულის წინ, მათი ურთიერთობა და სხვ.³⁸.

სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი განზრახი მკვლელობის საქმის განხილვის დროს, არსებული წესის თანახმად, სასამართლო ვალდებულია დაადგინოს, რომ დამნაშავემ მკვლელობა ჩაიდინა სისხლის აღების მოტივით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს არ შეიძლება პასუხი მოეთხოვოს განსახილველი დანაშაულისათვის. „იმის გათვალისწინებით, რომ მკვლელობის მოტივს, მიზანსა და ხერხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სწორი შეფასებისა და სასჯელის დანიშვნისათვის, — აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში, — სასამართლოებმა ყველა

³⁷ ხეცსურული რჭული ერთმანეთისაგან ანსხვავებს მკვლელობის ორ სახეს: იშობრად მოკლულს და გიზამობით მოკლულს. პირველი უცაბედად, წინასწარი განზრახვის გარეშე მოკვლას გულისხმობს. იშობრად მომხდარი მკვლელობის დროს შერიგება უფრო ადვილია გიზამობით მომხდარი მკვლელობა კი უეჭველად სისხლის აღებას მოითხოვს (რ. ხარაძე, დასახელებული ნაშრომის გვ. 187).

³⁸ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილება „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი № 3, 1975, გვ. 3—4.

შემთხვევაში უნდა გამოიკვლიონ ეს გარემოებანი და განაჩენში მოიყვანონ კონკრეტული მტკიცებულებანი, რომლებიც ასაბუთებენ სასამართლოს დასკვნებს“.

განსახილველი დანაშაული, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხლის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ ან ისჯება სიკვდილით. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებსა და თვით დამნაშავეს პიროვნებას. კერძოდ, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ის მონაცემები, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებენ დამნაშავეს, მათ შორის მუშაობისადმი ზისი დამოკიდებულება, ქცევა, მისი წარსული და სხვ. ასევე აუცილებელია დაზარალებულის პიროვნების, დამნაშავესთან მისი ურთიერთობის, აგრეთვე მკვლელობის დროს მისი ქცევის შესახებ მონაცემების გამოკვლევა.

როდესაც მკვლელობა ჩადენილია არა ერთი პირის, არამედ პირთა ჯგუფის მიერ, საჭიროა სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს გამოიკვლიოს დანაშაულში თითოეული განსასჯელის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი. ამასთან დანაშაულის ამსრულებლად მიჩნეული უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ერთად, მკვლელობის ჩასადენად მიმართული განზარხვით და უშუალოდ მონაწილეობდნენ მის შესრულებაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-8 პუნქტით პირი პასუხს აგებს როგორც დამთავრებული დანაშაულისათვის ისე მისი მომზადებისა და მცდელობისათვის.

აღნიშნული მკვლელობის მომზადებად ჩაითვლება: ცეცხლმსროლელი იარაღის მომარჯვება, ამ იარაღით ჩასაფრება და სხვ.

მცდელობა იქნება მოსისხლესათვის ტყვიის სროლა, მაგრამ აცილება, მოკვლის მაგივრად სხეულის დაზიანება და სხვ.²⁹ ორივე შემთხვევაში პირი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-8 პუნქტით, ოღონდ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო გაითვალისწინებს მის მიერ ჩადენილი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს და სხვა შესაბამის გარემოებებს.

²⁹ ქართველ ტომებში არსებული სისხლის აღების ჩვეულებით არაერთგვაროვნად წყდებოდა მკვლელობის ე. წ. უშუდგო მცდელობის დასჯადობის საკითხი. მაგალითად. „თოფის სროლა მტრისადმი მიმართული, მაგრამ აცილებული, ჩახმახის დაცემინება გატენილი თოფისა ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში არაფრად ითვლებოდა, ე. ი. ასეთი მოქმედება საზღაურს არ თხოვლობდა. ცხენის წყლის ხეობაში კი არც არაფრად ჩაივლებოდა. ჩახმახის დაცემინება კი ნახევარს სისხლს თხოვლობდა. დაქადნებას, დამუქრებას ჩვეულებითი მართლიერება უყურადღებოდ სტოვებდა“ (ბესარიონ ნიჟარაძე, დასახ. ნაშ. გვ. 120).

აღნიშნულ შემთხვევებს სვანები თავისებურ დასაბუთებას აძლევენ. მათი აზრით, იმ პირს რომელმაც მოწინააღმდეგეს თოფი ესროლა და ააციდინა, მოკვლა კი არ უნდოდა, არამედ შეშინება — შესაშინებლად გააკეთა მან ეს. რაც შეეხება ჩახმახის დაცემინებას, ადათის აზრით, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ სიკვდილი ან სხეულის დაზიანება არ დადვა ამ უკანასკნელის მიზეზით და არა დამნაშავეს ნების გარეშე (იხ. მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშ., გვ. 32).

საექიმო შეხედობა და დანაშაული

პროფ. ვ. შანიძე

საექიმო დანაშაულის საქმეთა გამოძიების დროს მტკიცებულებათა შორის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საექიმო დასკვნას.

საექიმო საქმეთა გამოძიებისას ხშირად საჭიროა გავერკვეთ ზოგიერთ ისეთ ბიოლოგიურ-სამედიცინო, უფრო სწორად სასამართლო სამედიცინო ტერმინში, როგორცაა: საექიმო შეცდომა, უბედური შემთხვევა სამედიცინო პრაქტიკაში, გადაცდომა და ბოლოს სამედიცინო მუშაკთა დანაშაული. ამ წერილში შევეცდებით მოკლედ განვმარტოთ საექიმო შეცდომის არსი და მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზები.

ლათინური გამოთქმა: *Errare humanu est*— „შეცდომა ყველა ადამიანის თვისებაა“. მართლაც შეუძლებელია მოინახოს პიროვნება, რომელსაც თავის პროფესიული მოღვაწეობის პროცესში შეცდომა არ დაეშვას. ტექნიკურ დარგში დაშვებულ შეცდომას ძირითადად მოსდევს უმნიშვნელო ან აურაცხელი მატერიალური ზარალი, რომლის განოსწორება შესაძლებელია. სამედიცინო დარგში დაშვებული შეცდომა კი დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან და სიცოცხლესთან. ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული დასახიჩრება (მძიმე ინვალიდობა) და სიკვდილი კი გამოუსწორებელია. ამიტომ საექიმო შეცდომა სხვა დარგში დაშვებული პროფესიული შეცდომისაგან განსხვავებით ცალკეულ მოქალაქეთა და საზოგადოებრიობის გამახვილებულ ყურადღებას იპყრობს. საექიმო შეცდომა პირველ რიგში სამედიცინო მუშაკთა განვაშს იწვევს. ყველა ასეთი შემთხვევა სპეციალური სამედიცინო შესწავლის და სამედიცინო დაწესებულებათა განხილვის საგანია. სამედიცინო დაწესებულებები შინა სამეცნიერო და ე. წ. კლინიკურ-ანატომიურ კონფერენციებზე ახდენენ დაშვებულ შეცდომათა მეცნიერულ ანალიზს, ავლენენ შეცდომის კონკრეტულ მიზეზებს და ნომავლისათვის სახავენ შესაფერის ღონისძიებებს მსგავსი შეცდომის თავიდან აცილების მიზნით. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ გამდიდრდა თანამედროვე მედიცინა საექიმო შეცდომათა ასეთი გაანალიზების საფუძველზე.

სამედიცინო პრაქტიკაში ავადმყოფის მკურნალობის არასასურველი გამოსავლის შეფასებას სჭირდება შესაფერისი სასამართლო-სამედიცინო და იურიდიული განმარტება. ავადმყოფი, მისი ნათესავები, ექიმები, სამედიცინო დარგის ყველა მუშაკი, დაინტერესებულია, რომ ავადმყოფი დროულად და მთლიანად განკურნოს. ამასთან ცნობილია ისიც, რომ, არაერთი დაავადებისაგან განკურნება შეუძლებელია. დაავადების არასასურველი გამოსავალი დამოკიდებულია ბევრ ობიექტურ და სუბიექტურ პირობებზე. ზოგჯერ ამის მიზეზია სამედიცინო მუშაკის დანაშაულებრივი მოქმედება ან უმოქმედობა. ყველა ამ მიზეზების ანალიზის მიხედვით უნდა მოხდეს შემთხვევის სწორი კვალიფიკაცია, მისი ბიოლოგიური და იურიდიული ანუ სასამართლო-სამედიცინო შეფასება. ეს ნეტად რთული საკითხია, რადგან ყველა ცალკეულ შემთხ-

ვევას სპეციალური შესწავლა ესაჭიროება. მხედველობაშია მისაღები რომ დაავადების მიმდინარეობა და გამოსავალი დამოკიდებულია შინაგან და გარეგან ფაქტორებზე. პირველს მიეკუთვნება ავადმყოფის ორგანიზმის თავისებურებანი (განვითარების ანომალია, იდიოსინკრაზია, დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი და სხვ.) მეორეს, სამედიცინო მუშაკთა მიერ გაწეული დახმარება (დაავადების დიაგნოზის სწორი დადგენა, დროული და კვალიფიციური ოპერაციული თუ მედიკამენტოზური მკურნალობა, ავადმყოფის მოვლა და სხვ.). დაავადების არასასურველი გამოსავლის სწორ, ობიექტურ შეფასებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ასეთ შემთხვევაში სამკურნალო დაწესებულებაში შექმნილი დაძაბული ატმოსფერო და ნათესავების მიერ ექიმის მიმართ საჩივარი.

ავადმყოფის ნათესავები მძიმედ განიცდიან თავისი ახლობლის დაკარგვას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საავადმყოფოში პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანი ან მშობიარეა წიყვანილი და ქირურგიული ოპერაციის, ან მშობიარობის პროცესში იღუპება. ასეთი არასასურველი გამოსავლის მიზეზად მიაჩნიათ ექიმი, რადგან სიკვდილი მისი მოქმედების შემდეგ განვითარდა.

სამედიცინო პრაქტიკაში პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოწვეული სიკვდილის ბიოლოგიური და იურიდიული შეფასება მეტად რთულია, ზოლო სხვა პროფესიის ადამიანთა, მაგალითად, ავტომანქანის მძღოლის, მფრინავის, მშენებლისა და სხვათა მიერ დაშვებული დარღვევით დამდგარი სიკვდილის იურიდიული შეფასება შედარებით ადვილია: ავტომანქანის დაჯახებით, ან მშენებლობაზე დამდგარი სიკვდილის დროს უნდა გაირკვეს ავტომანქანის მძღოლს, თუ მშენებელს, უშიშროების დაცვის წესების რომელი მუხლი ჰქონდა დარღვეული, ან როგორია დაზარალებულის (ქუჩაში მოსიარულე და მშენებლობაზე მომუშავეს) მოქმედება, ან უმოქმედება—ხომ არ გამოიწვია სიკვდილი მათ დაუდევრობამ და სხვ.

მართალია, სამედიცინო მუშაკის ყოველი მოქმედება მოწესრიგებულია მრავალი ინსტრუქციით, მეთოდური წერილით, შინაგანაწესით, დადგენილებით და ბრძანებით, მაგრამ ამ პროფესიის მუშაკთა მოღვაწეობის დეტალებს ეს ნორმები სრულყოფილად მაინც ვერ განსაზღვრავს, რადგან ყველა ავადმყოფს თავისებური ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. მართალია თანამედროვე მედიცინა საგრძნობლად განდიდრდა ავადმყოფის გამოკვლევის და მკურნალობის ახალი მეთოდებით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დაავადების შესწავლა და მკურნალობა ძველი აპარატურითა და მეთოდებით სწარმოებს. ამასთან, მედიცინაში სტანდარტი არ შეიძლება — ერთი და იგივე დაავადება სხვადასხვა ინდივიდში განსხვავებულ კლინიკურ მიმდინარეობას იძლევა. ამიტომ ყველა ამასთან ერთად ავადმყოფობის მკურნალობის სწორად წარმართვაში ექიმის ნორალი, ზნეობა და საერთოდ სამედიცინო დეონტოლოგიის პრინციპების დაცვა გვეხმარება.

მედიცინაში ავადმყოფებთან მიდგომა, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების არჩევა სტანდარტული არ შეიძლება იყოს, რადგან ექიმი მკურნალობს ავადმყოფს და არა ავადმყოფობას (ა. პ. გრომოვი).

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების და იურისტების უმრავლესობა სამედიცინო მუშაკის მოქმედების თუ უმოქმედების შედეგად დამდგარ არა-



სასურველ შედეგს სამ ჯგუფად ყოფს: 1) საექიმო შეცდომა, 2) უბედური შემთხვევა, და 3) პროფესიული დანაშაული.

ჩვენ აქ შევეცდებით განვსაზღვროთ საექიმო — კერძოდ, დიაგნოსტიკური შეცდომის არსი და მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზები.

ტერმინი „საექიმო შეცდომა“ იურიდიული ცნება არ არის, სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი ტერმინი არ მოიძებნება. საექიმო შეცდომა ექიმის უნებლიე შეცდომაა, რომელიც გამოწვეულია სპეციალისტის არაგულგრილი, ზერელე ან დაუდევარი მოქმედებით თუ უმოქმედობით, არამედ მედიცინის თანამედროვე განვითარების საფეხურზე გამოკვლევის მეთოდების არასრულყოფით.

საექიმო შეცდომის მედიკო-იურიდიული შეფასება საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა, თუნდაც იმიტომ, რომ საექიმო შეცდომასა და საექიმო მოღვაწეობის დროს ჩადენილ დანაშაულს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის. საკითხს ისიც ართულებს, რომ სამედიცინო მუშაკთა შორის საექიმო შეცდომის განსაზღვრის ერთიანი კლასიფიკაცია არ არსებობს.

ნ. ი. კრაკოვსკი და ი. ი. გრიცმანი იძლევიან ქირურგიულ პრაქტიკაში მოსალოდნელ შეცდომებს. ასეთებია: 1) დიაგნოსტიკური; 2) სამკურნალო-ტაქტიკური; 3) სამკურნალო ტექნიკური; 4) ორგანიზაციული; 5) სამედიცინო დოკუმენტაციის შედგენისა და 6) სამკურნალო დაწესებულებაში სამედიცინო მუშაკთა ქცევაში დაშვებული შეცდომები.

სასამართლო მედიკი ი. ფ. აგარკოვი საექიმო შეცდომებს ორ ჯგუფად ჰყოფს: 1) შეცდომები დაავადების დიაგნოსტიკაში და 2) შეცდომები სამკურნალო ღონისძიების დანიშვნაში შესრულებაში.

იურისტი ი. თ. კრილოვი საექიმო შეცდომას სამ ჯგუფად ჰყოფს: 1) დიაგნოსტიკური შეცდომა, რომელშიც შედის დაავადების ამოუცნობლობა ან მცდარი ამოცნობა; 2) ტაქტიკური შეცდომა, რომელშიც შედის ოპერაციის არასწორი ჩვენებები, ოპერაციის გაკეთების დროის შერჩევა, მისი მოცულობა და სხვ. და 3) ტექნიკური შეცდომა, რომელშიც შედის სამედიცინო ტექნიკის არასწორი გამოყენება, არა შესაფერისი მედიკამენტების და სადიაგნოსტიკო საშუალებათა გამოყენება და სხვა.

ა. პ. გრომოვის აზრით საექიმო შეცდომის კრილოვისებური კლასიფიკაცია მისაღებია, მხოლოდ უნდა გამოიყოს ე. წ. „დენტოლოგიური შეცდომა“ რომელიც არაპირდაპირად უკავშირდება დიაგნოსტიკურ, ტაქტიკურ და ტექნიკურ შეცდომებს.

„საექიმო შეცდომის“ საკითხის დადგენისას სავსებით უნდა გამოირიცხოს სამედიცინო მუშაკთა მოქმედებაში თუ უმოქმედობაში დაუდევრობის, გულგრილობის, პროფესიული უყურადღებობის და დანაშაულებრივი თვითმედროვნების ნიშნები. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული და დამნაშავეს მიმართ უნდა გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი.


ი. აგარკოვი საექიმო შეცდომას ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით ხსნის. ასეთი დაყოფა არ გამოირიცხავს „საექიმო შეცდომის“ მისეულ ან სხვა ავტორების (ი. თ. კრილოვის, ნ. ი. კრაკოვსკის და ი. ი. გრიცმანის) მიერ მოწოდებულ კლასიფიკაციებში მოცემულ განსაზღვრებას. საექიმო შეცდომა

მართლაც ძირითადად განპირობებულია ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

საქიმიო და დიაგნოსტიკური შეცდომა სხვადასხვა ცნება არაა: დიაგნოსტიკური შეცდომა საქიმიო შეცდომათა ჯგუფში შემავალი კომპონენტია. დიაგნოსტიკური შეცდომების ობიექტურ მიზეზებიდან პირველ რიგში ავადმყოფის გამოკვლევის, მისი სრული შესწავლის რეგლამენტია. ასეთი შეცდომის ხშირი მიზეზია დროის სიმცირე. ექიმს არა აქვს საშუალება გამოიყენოს სწორი დიაგნოზის დასმის ყველა საშუალება და ავადმყოფი კვდება უდიაგნოზოდ, ან მცდარი დიაგნოზით. ჭეშმარიტება შემდეგ დგინდება გვამის გამოკვლევით (გაკვეთით). სხვა შემთხვევაში დიაგნოსტიკური შეცდომების მიზეზია დაავადების ატიპურად ან ფარულად მიმდინარეობა, რაც ზოგჯერ განპირობებულია თანდართული შემთხვევითი გარემოებით, ალკოჰოლური სიმთვრალით, ეჭვით საკვებით მოწამვლაზე და სხვა.

მოქ. მ. 27 წლის მამაკაცი, 22 საათზე ქუჩაში ავტომანქანის სავალი გზის გვერდულა ხაზთან ნახეს უგონო მდგომარეობაში. ადგილზე გამოცხადებულმა სასწრაფო საქიმიო დახმარების ექიმმა გასინჯვით სხეულზე რაიმე დაზიანების ნიშნები ვერ ნახა. აღინიშნებოდა აქტიური მოძრაობის მოშლა, ლაბარაკობდა ლუღლუღით, კითხვებზე პასუხს ვერ იძლეოდა, ჰქონდა პირღებინება, ალკოჰოლის სუნი. მაჯისცემა წუთში 60. ექიმმა დასვა ალკოჰოლური სიმთვრალის დიაგნოზი და მოათავსა სამედიცინო გამოსათხიზლებელში, იგი საქიმიო გასინჯვის გარეშე დააწინეს ლოგინზე. დილის 9 საათზე შემოვლის დროს მოქ. გ. მკვდარი დახვდათ. გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით კეფის მიდამოში ნახული იქნა შესივება 3X4 სმ ფართობისა, მარჯვენა იდაყვის და თეძოს მიდამოში ვრცელი ნაჭდევები. შინაგანი დათვალიერებით კეფის ძვალი და ქალას ფუძე მოტეხილი. თავის ტვინის რბილი გარსების ქვეშე დიფუზური სისხლჩაქცევა. სისხლში ალკოჰოლი 1,5 პროცენტი, შარდში 2 პროცენტი. გამოძიებით დადგინდა, რომ მოქ. მ. ნასვამი იყო და ქუჩაში ავტომანქანის გაჩერების ცდის დროს სხეულის მარჯვენა გვერდზე დაეჯახა ავტომანქანა, იგი დაეცა ავტომანქანის სავალი გზის ასფალტზე, მიიღო ქალას ძვლების მოტეხილობა და ქალას ღრუში სისხლჩაქცევა. საქიმიო შეცდომა დაშვებული იქნა ალკოჰოლური სიმთვრალის კლინიკური ნიშნების არსებობისა და სხეულის გარეგნულად უმნიშვნელო დაზიანებას გამო. საყურადღებოა ისიც, რომ სამედიცინო გამოსათხიზლებელში იმ ხანებში არ მუშაობდა არც ექიმი და არც ექიმის თანაშემწე, რომელთაც შეეძლოთ დეტალურად გაესინჯათ ავადმყოფი და დაკვირვებოდნენ დაზარალებულს. შემთხვევა შეფასებული იქნა, როგორც საქიმიო შეცდომა, რომელიც განპირობდა ქალას ტრავმასთან დართულმა შემთხვევითმა გარემოებამ — სიმთვრალემ.

1973 წლის 19 ოქტომბერს აბაშის რაიონის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში სოფლის საქიმიო უზნის ექიმის მიმართვით, საკვებით მოწამვლის დიაგნოზით მოათავსეს მოქ. გო-ლი 25 წლის ქალი, რომელსაც დაავადება დაეწყო 19 ოქტომბერს თევზის ჭამის შემდეგ. მას უეცრად დაეწყო გულის რევვა, პირღებინებით და მუცლის მწვავე ტკივილები. ინფექციური განყოფილებას მორიგე ექიმმა დასვა საკვებით მოწამვლის დიაგნოზი და დაუნიშნა შესაბამისი მკურნალობა. (კუჭის ამორეცხვა, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიცემა და სხვა). მეორე დღეს ავადმყოფის მდგომარეობა არ გამოს-



წორებულა. კონსულტაციის მიზნით გამოძახებულმა მორიგე ქირურგმა ი. კი-
ამ სწორი დიაგნოზის დასმის მიზნით მოითხოვა შარდისა და სისხლის გამოკე-
ლვის ჩატარება, რაც დროულად ვერ მოხერხდა ლაბორანტის ბინაზე არ
ყოფნის გამო, ხოლო ინფექციური განყოფილების გამგე ადგილზე არ იყო.
20 ოქტომბერს ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა. მას დაეწყო ძლიერი
ტკივილები მუცლის არეში. განმეორებითი გასინჯვით ქირურგმა ი. კ-ამ დას-
ვა მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი და საჭიროდ ჩათვალა სასწრაფო ოპერაცი-
ის გაკეთება, მაგრამ მისი გაკეთება დაგვიანდა 5 საათით და 30 წუთით, რად-
გან ქირურგიული განყოფილების გამგე წასული იყო თბილისში. ოპერაცია 21
ოქტომბერს 07 საათზე და 30 წუთზე გაკეთეს ექიმმა ი. კი— ამ და თბილი-
სიდან დაბრუნებულმა განყოფილების გამგემ ექიმმა ა-ქემ, რომელიც რკინიგ-
ზის სადგურიდან პირდაპირ მიიყვანეს სავადმყოფოში. მუცლის ღრუს გახს-
ნისას აღმოჩნდა მწვავე განგრენოზული აპენდიციტი, რომლის პერიტონიტის
შედეგად განვითარებული იყო მწვავე დიფუზიური სეროზული პერიტონიტი.
ოპერაცია და მედიკამენტოზური მკურნალობა ჩატარდა თანამედროვე მედი-
ცინაში მიღებული წესების დაცვით. მუცლის ღრუ ყრუდ დაიხურა. შემდეგ-
ში ავადმყოფს განუვითარდა ნაწლავთა შორის დაჩირქება. მდგომარეობა დამ-
ძიმდა და ჩანოყალიბდა მსხვილ-ნაწლავ-შარდის ბუშტის ფისტულა. 28 ნოემ-
ბერს მკურნალობის გასაგრძელებლად ავადმყოფი გადაიყვანეს თბილისის მე-
ცხრე კლინიკური სავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც მკურნა-
ლობის და ორჯერადი ოპერაციის შემდეგ მდგომარეობა არ გამოსწორდა და
20 დეკემბერს ავადმყოფი გარდაიცვალა.

ამ საქმის წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების პროცესში მეტად კომ-
პენტენტური მალაქვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით რამდენ-
ჯერმე ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. მეცნიერული და ყო-
ველმხრივი შესწავლის შემდეგ ეს შემთხვევა „საექიმო შეცდომა“ ჩაითვალა.
მწვავე აპენდიციტის დიაგნოზის დროულად დასმას ხელი შეუშალა საკვებით
მოწამვლის მცდარმა დიაგნოზმა და ამ დაავადების იმ კლინიკურმა მოვლენებ-
ბმა (ნიშნებმა), რომელიც მოწამვლისათვის არის დამახასიათებელი. მცდარი
დიაგნოზის დასმის და აქედან გამომდინარე დროული სწორი მკურნალობის
ჩაუტარებლობის მიზეზი აბაშის სავადმყოფოში ორგანიზაციული ხასიათის
საკითხების მოუვლარებლობის შედეგიც იყო, რასაც აწესრიგებენ რაიონის ჯან-
მრთელობის დაცვის განყოფილების გამგე და სავადმყოფოს მთავარი ექიმი.
ამიტომ ამისათვის პასუხისმგებლობა ეკითხება არა მკურნალ ექიმს (ამ შემთ-
ხვევაში ექ. კი-იას) არამედ ჯანმრთელობის დაცვის საქმეთა ორგანიზატო-
რებს.

ამ საქმეზე განაჩენის გამოტანა ვაჭიანურდა. ცხაკაიას და შემდეგ სამტ-
რედიის რაიონის სახალხო სასამართლოთა განაჩენი ვერ შევიდა კანონიერ ძა-
ლაში. საბოლოოდ საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, ექიმი კი-ა დამნაშავედ იქნა ცნობილი
საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მეორე ნაწი-
ლით და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა სასამართლო სა-
მედიცინო-ექსპერტიზის დასკვნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
70-ე მუხლში გათვალისწინებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად არ ყოფილა
უარყოფილი.

ეს შემთხვევა უთუოდ „საექიმო შეცდომათა“ ჯგუფს მიეკუთვნება, დაავადების (ჭია ნაწლავის მწვავე ანთების) ატიპიური მიმდინარეობის და სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში მუცლის ტიფის წინასწარი დიაგნოზით მოათავსეს 17 წლის ვაჟი. კლინიკური გამოკვლევით საგნებით დადასტურდა მუცლის ტიფის დიაგნოზი, რაც შემდეგში სეროლოგიური-ვიდალის დადებითი რეაქციითაც იქნა დადასტურებული. ავადმყოფს უტარდებოდა მუცლის ტიფის საწინააღმდეგო მკურნალობა, მაგრამ მდგომარეობა გართულდა და საავადმყოფოში შესვლიდან მეთორმეტე დღეზე იგი გარდაიცვალა. გვამის პათოლოგანატომიურმა გაკვეთამ დაადგინა მილიარული ტუბერკულოზით დაავადება.

დიაგნოსტიკური შეცდომა ამ დაავადებათა დამახასიათებელი ერთნაირი კლინიკური მიმდინარეობის შედეგი იყო. მასთან მუცლის ტიფისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური, ვიდალის რეაქცია მილიარულ ტუბერკულოზის დროსაც შეიძლება იყოს დადებითი. მხედველობაშია მისაღები, რომ ამ დაავადებათა მკურნალობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რის გამოც ავადმყოფი მალე მოკვდა. ექიმებს რომ არ გამოეყენებინათ ყველა სადიაგნოზო საშუალება, თუნდაც ვიდალის რეაქცია, დიაგნოსტიკური შეცდომა საექიმო დანაშაულად ჩაითვლებოდა. ამრიგად, როცა ექიმი სრულყოფილად და კეთილსინდისიერად იყენებს თანამედროვე მედიცინაში მიღებული გამოკვლევის ყველა მეთოდს, მაგრამ მაინც მოსდის შეცდომა, ეს ტიპური „საექიმო შეცდომაა“.

საექიმო შეცდომის სუბიექტური მიზეზებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია ექიმის სამედიცინო განათლების დაბალი დონე. და მცირე გამოცდილება, თუმცა საექიმო შეცდომისაგან მაღალკვალიფიციური სპეციალისტიც არ არის დაზღვეული. ამასთან დაკავშირებით გამოჩენილი კლინიცისტი ი. ა. კასირსკი (1972) ამბობს: „საექიმო შეცდომები მკურნალის სერიოზული და მუდამ აქტუალური პრობლემაა. უნდა ვაღიაროთ, რომ რა რიგ კარგადაც უნდა იყოს დაყენებული სამედიცინო საქმე, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ექიმი, რომელსაც წარსულში ბრწყინვალე კლინიკური სკოლით მოპოვებული აქვს დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება, ძალიან ყურადღებიანი და სერიოზულია, მაგრამ თავის მოღვაწეობის პერიოდში ყოველთვის უშეცდომოდ დაედგინოს ყველა დაავადება და ასევე უშეცდომოდ ემკურნალოს და ეკეთებინოს იდეალური ოპერაციები“.

მცირე სამედიცინო განათლებით, ან გამოუცდლობით გამოწვეული შეცდომები არც თუ იხე იშვიათია. ოთხ ათეულ წელზე მეტმა საექსპერტო პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ საექიმო შეცდომების მეტად დიდი პროცენტი ექიმის უცოდინარობის შედეგია. ექიმის პროფესიის სრულყოფილი დაუფლებისათვის არ არის საკმარისი მარტოდენ სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით სწავლა. უმაღლესი სასწავლებელი იძლევა საერთო სამედიცინო განათლებას, დახელოვნებას კი სჭირდება ყოველდღიური ენერგიული შრომა, დაკვირვება, საქმის სიყვარული და ერთგულება, ცოდნის მუდმივი გაღრმავება და ამოღობა. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში რამდენიმე თვე სწავლაც არაა საკმარისი კარგი მკურნალობის სახელის მოსახვეჭად. ასეთი სახელი შეიძლება შეიძინოს იმ პირმა, რომელიც მოწოდებითაა ექიმი, ხანგრძლივი შრომის და

მონდომების შედეგად. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ კარგი ექიმი ახლა არც თუ ისე ბევრი გვყავს.

ექიმს შეიძლება უნებლიე შეცდომა მოუვიდეს დაავადების დიაგნოზის დასმის და საექიმო დახმარების პროცესში, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით სწრაფად ჩატარებული გამოკვლევების, თუ ოპერაციის დროს.

ოპერაციის დროს ორგანიზმის ღრუებში დარჩენილი უცხო სხეული (მარლის ნაჭერი, ქირურგიული იარაღი და სხვ.) ჩვეულებრივ ექიმის დაუდევრობის შედეგია. ორგანიზმის ღრუში უცხო სხეულის ჩარჩენა „საექიმო შეცდომა“ არ ჩაითვლება, თუ მისი მიმდინარეობის პროცესში არ წარმოიშვა რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მძიმე ვართულება ან სხვა ხასიათის ობიექტიური (ტექნიკური ბიოლოგიური) დამაბრკოლებელი მიზეზი.

ზოგჯერ „საექიმო შეცდომას“ იწვევს თვით ავადმყოფის ან მისი ნათესავების ჭირვეულობა, როცა უარს აცხადებენ რთულ კლინიკურ-ლაბორატორულ გამოკვლევებზე (თავზურტვინის სითხის აღება, ქსოვილის ანოქრა მიკროსკოპული გამოკვლევისათვის და სხვ.) არის შემთხვევები, როცა მცდარი დიაგნოზი შედეგია ყალბი ანამნეზური ცნობებისა, რასაც განზრახ მალავს ავადმყოფი ან მისი ახლობელი:

ხშირად დიაგნოზის დასწინათვის და მკურნალობის პროცესში შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებანი. ზოგჯერ ასეთი იარაღების გამოყენებისას მოსალოდნელია დაშვებული იქნეს ე. წ. „ტექნიკური შეცდომა“, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს, რათა დადგინდეს ექიმის მოქმედებაში ადგილი ჰქონდა „საექიმო (ტექნიკურ) შეცდომას“ თუ დანაშაულს (დაუდევრობას, გულგრილობას).

ქირურგიული, განსაკუთრებით მძიმე, რთული და სასწრაფო ოპერაციის დროს ზედნეტ ფსიქიკურ და ფიზიკურ დატვირთვას, ზოგჯერ თან სდევს ექიმის დაბნეულობა და გადაღლა, ამასთან დაკავშირებით ირღვევა მოქმედების კანონზომიერება, რასაც თან სდევს არასასურველი შედეგი. ხშირად გადაღლის და დაბნეულობის მიზეზი ექიმის არასაკმაოდ დახელოვნებაა, რადგან ოპერაციულ ტექნიკაში დახელოვნებული ექიმი თავის საქმეს თითქმის ავტომატურად ასრულებს, რის გამოც იგი არ დაიბნევა და არ გადაიღლება. თუმცა ზოგჯერ ამისგან მეტად გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტიც არ არის დაზღვეული.

ვიქტიმოლოგია — კრიმინოლოგიის ახალი დარგი

პ. ნიშენაძე

თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის თანაშრომელი

კრიმინოლოგიის უახლეს დარგს ვიქტიმოლოგიას არა მარტო ზოგად-თე-
მედებამ განსაზღვროს ამა თუ იმ დანაშაულებრივი აქტის ჩადენა¹.

ვიქტიმოლოგია — ლათინურ-ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშ-
ნავს — Victim! მსხვერპლს, ხოლო „Iogos“ — მოძღვრებას, ე. ი. მოძ-
ღვრებას მსხვერპლის შესახებ. პირველად ეს ტერმინი იხმარა ფრანგმა კრი-
მინოლოგმა ფ. ვ. მენდელსონმა ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო სიმ-
პოზიუმზე 1947 წელს.

„ვიქტიმოლოგიის მამად“ აღიარებულია ამერიკელი კრიმინოლოგია ჰანს
ფონ ჰენტინგი. 1948 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „დამნაშავე და მისი მსხვერ-
პლი“, რომელშიც დასაბუთებულია, თუ როგორ შეიძლება „მსხვერპლის მოქ-
მედებამ განსაზღვროს ამა თუ იმ დანაშაულებრივი აქტის ჩადენა“¹.

1949 წელს ამერიკელი ფსიქიატრი ფ. ვერტჰემი კატეგორიულად აცხა-
დებს, რომ შეუძლებელია მკვლელის ფსიქოლოგიის გაგება მსხვერპლის ფსი-
ქოლოგიის გაუგებლად, ხოლო ამისათვის აუცილებელია დავეუფლოთ იმ
მეცნიერებას, რომელსაც ვიქტიმოლოგია ეწოდება.

ამრიგად, ტრიადას „დანაშაული — დამნაშავე — დანაშაულებრიობა“ —
უნდად ავმატოს არნაკლებმნიშვნელოვანი ერთი ელემენტი — მსხვერპლი,
რომლის შესწავლაც ვიქტიმოლოგიას ევალება.

ვიქტიმოლოგია თავის საწყისს ანტიკური ეპოქიდან იღებს. ესქილეს, სო-
ფოკლეს, დემოსთენეს ტრაგედიების მიხედვით დაზარალებულის ბრალს მნიშ-
ვნელოვანწილად ამსუბუქებდა, ზოგჯერ კი ხელმყოფი სრულიადაც თავისუფ-
დებოდა პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც დამნაშავეს მოქმედება განპი-
რობებული იყო მსხვერპლის მოქმედებით.

დემოსთენე მოგვითხრობს: ტანტის მპყრობელის აგამემნონის ცოლმა
კლიტემნესტრამ, სანამ მეფე ომობდა, შეიყვარა უღირსი ეგისთი და შემდეგ
მუხანათურად მოკლე მეუღლე, რისთვისაც მეფის შვილებმა ორესტმა და ელექ-
ტრამ შური იძიეს საკუთარ დედაზე.


საზოგადოებრივი აზრი ორესტის მხარეზეა. მას მხარს უჭერს უხუცესთა
სასამართლო არეობაც, რომელშიც შედიოდნენ შურისძიების და მართლმსა-
ჯულების ქალღმერთები ერინია და ათინა — პალადა. ორესტი გაამართლეს
იმ მოტივით, რომ მან შური იძია დედაზე მამის მკვლელობისათვის.

ჩვენი თემისათვის საინტერესო აღგვლია XII ტაბულის კანონში: თუ ერ-
თი პირი მიაგებს მეორეს ასოთდაზიანებას და არ შეურიგდება (დაზარალე-
ბულს), დაე, მასვე მიეგოს იმავე სახის ზიანი (ტაბულა VII, § 2)²

ამავე საფუძველს ეყარება ტალიონის საქვეყნოდ გავრცელებული ფორ-
მულა — კბილი კბილისა წილ, სისხლი სისხლისა წილ.

¹ Л. В. Франк «Виктимология и виктимность», Душанбе, 1972 г. стр. 9.

² ძველი რომის ისტორიის ქრესტომათია, III ნაწ. მოსკოვი, 1950 წ. (რუსულად).



დიგესტებში — იურიდიულ მეცნიერების კლასიკოსთა თხზულებებში, რომლებიც ძველ რომში გამოიციემოდა, სრულიად ცხადად არის წარმოდგენილი რომაული მართლმსაჯულების პოზიცია ამ პრობლემის მიმართ.

ერთ-ერთ დიგესტში ვადმოცემულია, თუ როგორ წყვეტდნენ ძველი რომის იურისტები ჩხუბის მონაწილეთა ბრალეულობას. კინკლაობა იმით დაიწყო, რომ ერთმა მოქალაქემ მეორეს რაღაც ნივთი წართვა. ეს უკანასკნელი შეეცადა დაებრუნებინა თავისი საკუთრება. მოძალადემ არა თუ დაუბრუნა ნივთი, კვლავ განაგრძო უხეშობა და ხელი შემოჰკრა უდანაშაულო კაცს. როგორ განვითარდებოდა დრამა ლოგიკურად ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. შეურაცხყოფილმა პირმამ დარტყმას დარტყმითვე უპასუხა და მოწინააღმდეგეს თვალი დაუზიანა.

რომაელმა იურისტმა ალფენმა ეს კაზუსი ასე დააკვალიფიცირა: დამნაშავეა ის, ვინც პირველმა მიაყენა დარტყმა, ე. ი. ვინც დაიწყო დანაშაული.

თანამედროვე მკვლევართაგან ამ პოზიციაზე ბევრი დგას. ერთერთმა, კერძოდ, ანგრიკელმა კრიმინოლოგმა ფ. ტ. ჯასმა მოგვცა ამ საკითხის, ერთი შეხედვით პარადოქსალური განსაზღვრა. თავის ნაშრომში „მკვლელობა და მისი მოტივები“, მან წამოაყენა ორიგინალური მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არსებობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, „გვთავაზობენ თავიანთ თავს მოსაკლავად!“ ჩვენ ეს იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ გარკვეული კატეგორია ადამიანებისა თავისი ფსიქიკის, ხასიათის, თვისების მიხედვით განწყობილი არიან, მეტი „შანსი“, აქვთ იქნენ დანაშაულის გამომწვევად და საბოლოოდ მის მსხვერპლად.

ვიქტიმურობის სუბსტანციას, მის არსს მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრავს საბჭოთა მკვლევარი ლ. ვ. ფრანკი. თავის ნაშრომში „ვიქტიმოლოგია და ვიქტიმურობა“, იგი მიუთითებს: „ვიქტიმურობის, როგორც დანაშაულებრიობის გაგებას, შესაძლოა ჰქონდეს ორმაგი აზრი. ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ დანაშაულებრივი, არამედ ვიქტიმურიც, ე. ი. დაუკვირვებელი, სარისკო, ვანუსჯელი, პროვოკაციული ე. ი. საშიში საკუთარი თავის მიმართ“³.

ვიქტიმურობის ნიშნით ლ. ვ. ფრანკი გამოჰყოფს ადამიანთა ე. წ. ოთხ ქვესტრუქტურას. პირველში მოაქცევს მხოლოდ პიროვნების განმსაზღვრელ სპეციფიკურ დამახასიათებელ თვისებებს; (ვთქვათ, მორალურს: სიხარბე, უსაზღვრო მიდრეკილება მომხვეჭელობისაკენ, მოგებისაკენ).

ასეთი ადამიანები ადვილად ადგებიან მოლიპულ გზას და ხშირად თვითონვე ხდებიან თაღლითობის, სიხარბის მსხვერპლნი. ამის მაგალითები ჩვენს დღევანდელობაში არც თუ იშვიათია.

მეორე სტრუქტურაში გათვალისწინებულია ადამიანის მიერ შეძენილი საკუთარი, ინდივიდუალური გამოცდილება (ცოდნა, მოხერხება, ხელის გატეხვა, გაწაფულობა, ჩვევა... დიდ როლს თამაშობს აგრეთვე არჩეული პროფესია).

მესამე ქვესტრუქტურა მოიცავს ცალკეული ფსიქიკური პროცესების ინდივიდუალურ თავისებურებებს, იგი საშუალებას იძლევა დრამად შევისწავლოთ

³ Л. В. Франк. «Виктимология и виктимность». Душанбе. 1972, стр. 21.

შეგრძნებასთან, გრძნობად სამყაროსთან, ემოციებთან დაკავშირებული ფსიქიკური პროცესების გავლენა პიროვნების ვიქტიმურობაზე.

მეოთხე ქვესტრუქტურის შესწავლის საგანია პიროვნების თვისებათა ბიოლოგიური განსაზღვრულობა, რაც ითვალისწინებს ადამიანის ტემპერამენტს, ინსტიქტებს.

ვიქტიმოლოგიისათვის ასევე აუცილებელია მოეწყოს გამოკვლევები სქესობრივი და ასაკობრივი მომწიფების სფეროსთან, ნერვული სისტემის სტრუქტურასთან და მის ანომალიებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ვიქტიმოლოგიაში, სულ რაღაც, სამი ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ. თუნდაც ის რად ღირს, რომ მოხდა დანაშაულის ვიქტიმოლოგიური კლასიფიკაცია.

ცნობილია, რომ „დაზარალებული“ სისხლის სამართლებრივ-პროცესუალური ტერმინია.

არის შემთხვევები, როდესაც პირი შეიძლება დაზარალებულად ვცნოთ სამართლს ორ ან რამდენიმე დარგში. ვთქვათ, მაგალითად, როცა შელახულია ადამიანის ღირსება, მისი დაცვა ხდება არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის ნორმებითაც.

ლ. ვ. ფრანკი თავის წიგნში ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის ნიშნების მიხედვით დაზარალებულთა კლასიფიკაციაზე.

ვიქტიმოლოგიური კვლევისათვის უფრო საინტერესოა ისეთი გამოკვეთილი დანაშაული, რომლის ჩადენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დაზარალებულისა და დამნაშავეს ურთიერთობას. ასეთ ურთიერთობებს განეკუთვნებიან ნათესაური, ცოლ-ქმრული, მეზობლური, სამსახურებრივი ურთიერთობები, თანაცხოვრება ქორწინების გარეშე, სიყვარული, სიძულვილი, მტრობა და ა. შ.

დაზარალებულთა კლასიფიკაციისათვის არც თუ უმნიშვნელო როლი ეკუთვნის დემოგრაფიულ ნიშნებს, მაგ.: პროფესიას, ასაკს, სქესს და ა. შ. თვითეულ მათგანს თავისთავად საკუთარი სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს. მაგალითად, ლ. ვ. ფრანკის მტკიცებით, პროფესიათა ჯგუფს, ვიქტიმოლოგიური თვალსაზრისით, განეკუთვნებიან სამიში პროფესიის ადამიანებ (მეხანძრეები, სახალხო რაზმელები, მილიციის თანამშრომლები და ა. შ.)

ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. პ. ს. დაგელი წერს, რომ ლ. ვ. ფრანკის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ვიქტიმურობის ცნების დამკვიდრება ვიქტიმოლოგიაში, მაგრამ ზოგჯერ იგი გაუმართლებლად აზვიადებს ამ ცნებას. ვთქვათ, მაშინ, როცა მიუთითებს, რომ ცალკეული პირი, დანაშაულის ყოველგვარი საბაბის მიუცემლად შეიძლება გახდეს ვიქტიმური, მარტოდონ იმიტომ, რომ იგი საზოგადოებაში გარკვეულ სოციალურ როლს ასრულებს. ვთქვათ, ინკასატორის, დარაჯის, ან სახალხო რაზმელის მოვალეობას⁴.

ასეთი ლოგიკით, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. პ. ს. დაგელი, ვიქტიმურად ხელაღებით შეიძლება ჩავთვალოთ ყველა ქალი, „როგორც საბაბი“ გაუპატიურებისა და სქესობრივ სფეროში სხვა დანაშაულის ჩადენისა; ასევე პრაქტიკულად ყველა ფეხით მოსიარულე დაზარალებულად ავტო-საგზაო შემთხვევებში.

⁴ Л. В. Франк «Виктимология и виктимность», Душанбе, 1972 г. стр. 19.

აქედან გამომდინარე, ჩვენც გაუმართლებლად გვეჩვენება მეხანძრეების, ინკასატორებისა, სახალხო რაზმელების და სხვა. სამსახურებრივ მოვალეობის (რა სახისაც არ უნდა იყოს იგი) შემსრულებელთა ვიქტიმურობის მტკიცება.

ვიქტიმოლოგიური შესწავლის ცალკე ობიექტებს წარმოადგენენ ე. წ. „ატაბიური“ დაზარალებულნი, რომელთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ვთქვათ, სიმულიანტები. ეს ტიპი უცხო არ არის არც ძველი და არც ახალი საზოგადოებისათვის. მას კარგად იცნობს კანონი. იგი, როგორც ცნობილია, თვითვე აყენებს თავის თავს ზიანს, ქმნის დანაშაულის ცრუ სურათს, ილუზიას. ასეთ შემთხვევებს ვაწყდებით სავალდებულო სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის თავის არიდების ფაქტების დადგენისას, სადაც წვევამდელი გვევლინება სწორედ ასეთ „ატაბიურ“ დაზარალებულად.

დაზარალებულთა ვიქტიმოლოგიური კლასიფიკაცია, ცხადია ამით არ ამოიწურება. მათი დაყოფა შეიძლება მიყენებული ზიანის ხარისხითაც. ვიქტიმოლოგიური გამოკვლევებისათვის უაღრესად პრაქტიკული და არსებითი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის დაჯვრეებას დანაშაულის სიმძიმის ხარისხის მიხედვით. საჭიროა განვასხვავოთ მძიმე და ნაკლებამძიმე დანაშაული, მისგან გამომდინარე შედეგებით. ასევე საჭიროა ვიქტიმოლოგიური კლასიფიკაცია მაყენებული ზიანის მიხედვითაც. კანონმდებელი განასხვავებს თუ რა სახის ზიანი მიადგა დაზარალებულს: მორალური, ფიზიკური, ქონებრივი. გათვალისწინებულია აგრეთვე დაზიანების ჯერადობა, რომელიც თავის მხრივ განასხვავებს ეპიზოდურ მსხვერპლს (ერთი დანაშაულის შედეგს) და ე. წ. მსხვერპლ-„რეციდივისტს“ ე. ი. მსხვერპლს, რომლის მიმართ დანაშაული რამდენჯერმე განმეორდა, დაზარალებულს, რომელსაც ჩადენილი დანაშაულით არა ერთხელ მიაყენეს ზიანი.

ვინაიდან ვიქტიმოლოგია, ეს-ეს არის იდგამს ფეხს, ცხადია, რომ მოცემული კლასიფიკაცია სრულყოფილი არ არის. ლ. ვ. ფრანკმა თავისი ნაშრომით „ვიქტიმოლოგია და ვიქტიმურობა“, განახორციელა მხოლოდ პირველი საყურადღებო ცდა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ურთულესი და მრავალწახნაგოვანი მიმართულების დასაფუძნებლად.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავცნოთ თუ როგორია ამ საკითხზე კაპიტალისტური ქვეყნების კრიმინოლოგების პოზიცია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ვიქტიმოლოგიურ კვლევებს ჰყოფენ ორ ჯგუფად: 1) კონცეპტუალური ხასიათის (შრომები) იგი ამუშავებს კრიმინოლოგიის საჭირო პრობლემებს და 2) შრომები, რომლებიც იკვლევენ გარკვეული კატეგორიის მსხვერპლს.

როგორც ზემოთ ითქვა, ცნობილია ამერიკელმა კრიმინოლოგმა ჰანს ჰენტინგმა ნაშრომში „დამნაშავე და მისი მსხვერპლი“, განსაკუთრებით კი განგსტერიზმისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში შედარებით სრულად და ობიექტურად ასახა დანაშაულის სამყარო მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს.

წიგნში „დამნაშავე და მისი მსხვერპლი“ ჰანს ფონ ჰენტინგი ასახელებს, მისი შეხედულებით ვიქტიმოლოგიური კვლევის სამ ძირითად კატეგორიას: 1) ხელმყოფი — მსხვერპლი, 2) ლატენტური (ე. ი. ფარული) მსხვერპლი, 3) ხელმყოფისა და მსხვერპლის ურთიერთობა.

ჰენტინგის მოძღვრების ზოგიერთმა მხარემ შემდგომი დამუშავება, დახვეწა და განვითარება ჰპოვა ა. ე. ელენბერგის შრომებში. მაგალითად, განიხილავს რა ცნებას „დამნაშავე“ (ხელმყოფი) — „მსხვერპლი“, იგი ანსხვავებ-

და — 1. სუბიექტს, რომელიც გარემოების მიხედვით ხდება ან დამნაშავე, ან მსხვერპლი, 2) როცა მას თანდათანობით შეუძლია გახდეს დამნაშავე შემდეგ კი მსხვერპლი (და პირიქით), 3) როცა სუბიექტი ერთდროულად დამნაშავეცაა და დაზარალებულიც, ასეთ ფაქტებთან ხშირად გვაქვს საქმე ავტოსაგზაო შემთხვევების დროს.

საინტერესო წარმოდგენას იძლევა ვიქტიმოლოგიის საგანზე ფრანგი კრიმინოლოგი ფ. მენდელსონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ვიქტიმოლოგიური კვლევა მოიცავს არა მარტო დანაშაულს, არამედ იმ მსხვერპლსაც, რომელიც განიცდის ზიანს „პარტნიორის დაზარების“ გარეშე, თავისივე დანაშაულით. ასეთ კატეგორიებს ვხვდებით უბედური შემთხვევების დროს.

ფრანგი მეცნიერი მსხვერპლის ხუთ ჯგუფს გამოჰყოფს: 1) სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი, 2) ნაწილობრივ დამნაშავე, 3) მსხვერპლი, რომლის დანაშაული ზუსტად იმდენივეა, რამდენიც თვით დამნაშავეს, 4) მსხვერპლი, რომლის დანაშაული სჭარბობს დამნაშავესას, ასე ვთქვათ, დამნაშავეზე უფრო დამნაშავენი, 5) მსხვერპლი, რომელიც თვით არის დამნაშავე მის მიმართ ჩადენილ დანაშაულში.

3. ფ. ჰენტინგი, ა. ე. ელენბერგი, ფ. ე. მენდელსონი ესენი არიან გამოჩენილი მეცნიერი-კრიმინოლოგები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ვიქტიმოლოგიას, ამდენად, კრიმინოლოგიის ამ ახალ დარგში მათი ნაშრომების ღრძაღ შესწავლასა და გაანალიზებას, დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამოციან წლებში უკვე დისერტაციაც კი იქნა დაცული ვიქტიმოლოგიაში. ა. კ. ფატახმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „რა არის ვიქტიმოლოგია?“ დისერტაცია ეძღვნება: 1) ვიქტიმოლოგიის ობიექტის პრობლემას, 2) მსხვერპლის კლასიფიკაციას და 3) ვიქტიმოლოგიის თეორიას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სხვა რომ არაფერი, იგი გვაძლევს პასუხს კითხვაზე — რატომღა, რომ ზოგიერთი სუბიექტა, ასე ვთქვათ, სხვაზე უფრო ხშირად ეგება დანაშაულის ანკესზე, სხვაზე ხშირად ხდება დანაშაულის მსხვერპლი?

დისერტაციაში დასმული კითხვა — „რა არის ვიქტიმოლოგია?“ — უკვე კარგა ხანია აღეგებთ სწავლულ იურისტებსა და პრაქტიკოსებს.

ამ კითხვამ ზემოხსენებული მეცნიერები ჯგუფებად დაჰყო. ჰენტინგსა და ელენბერგს მიაჩნიათ, რომ ვიქტიმოლოგია უნდა მოთავსდეს კრიმინოლოგიის ჩარჩოებში. მენდელსონი არ იზიარებს ამ აზრს და სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს — ვიქტიმოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

ჩვენი აზრით, არის უფრო სწორი შეხედულება, რომ ვიქტიმოლოგიას შეუძლია წარმატებით განვითარდეს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებს შორის, როგორც დამხმარე სამეცნიერო დისციპლინა, შეპირისპირებული სისხლის სამართალთან, სისხლის სამართლის პროცესთან, კრიმინოლოგიასთან და სხვა. სამართლის ზემოხსენებული ინსტიტუტი სწავლობენ დანაშაულს მთლიანობაში, მაგრამ მათ საქმიანობაში დანაშაულის გაფრთხილების მომენტი ნაკლებადაა გათვალისწინებული. მათი ინტერესების სფეროში დღემდე არ შესულა საკითხი მსხვერპლის შესახებ.

ამიტომ, მართებულად გვეჩვენება, ის, რაც თქვა ა. ფატახმა თავის დისერტაციაში „რა არის ვიქტიმოლოგია?“. „სავსებით მოსალოდნელია... ..ჩვენი წარუმატებლობანი დანაშაულის გაფრთხილების დარგში გაპირობებული იყოს იმით, რომ ასეული წლების მანძილზე მთელი ყურადღება თავმოყრილი იყო

თვითონ დამნაშავეზე ან დანაშაულზე და უყურადღებოდ გვრჩებოდა მსხვერპლი“.

დასავლეთის მეცნიერ-კრიმინოლოგთა გამოკვლევების მიმოხილვიდან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კრიმინოლოგია კაპიტალისტურ ქვეყნებში ვითარდება ერთიანი მეთოდოლოგიის გარეშე. ამის გამო არის, რომ ვიქტიმოლოგიაზე ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებია.

ვიქტიმოლოგიის ბურჟუაზიულ თეორიას სხვა დამახასიათებელი უარყოფითი ტენდენციებიც აქვს. უპირველესად თვალში საცემია ბიოლოგიური ფაქტორების როლის გადაჭარბებით შეფასება, იმის მტკიცება, თითქოს ვიქტიმურობისაგან მიღრეკილებაზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდეს მემკვიდრეობითობას.

ასეთ გავებას შეუძლია მიგვიყვანოს უძველეს და უკვე დაგმობილ, ძარ-შავე მცდარ მსჯელობასთან. ამ აზრს არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერებასთან, თუმცა მას სხვადასხვა „საწებლით“, როგორც წესი, ხშირად გვთავაზობენ დასავლელი თეორეტიკოსები, რომლებიც ამასთან ერთად, ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად, ცდილობენ დაფარონ ვიქტიმურობის და საერთოდ დამნაშავეობის კლასობრივი არსი კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ორიოდე სიტყვა ვიქტიმოლოგიური კვლევის მდგომარეობის შესახებ სოციალისტურ ქვეყნებში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მას არც სსრ კავშირში და არც სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყანაში, როგორც ცალკე მიმართულებას დამნაშავეობის შესწავლაში აღიარება ჯერ კიდევ არ მოუპოვებია. სამეცნიერო შრომებში აქა-იქ კი გაივლებს ეს ტერმინი, მაგრამ იგი ჯერჯერობით სერიოზულ კვალს ვერ ტოვებს. ზოგი მკვლევარი კი, მაგალითად, იუგოსლაველი დოქტორი ლანკი, მას საერთოდ არ მიიჩნევს საჭირო საქმედ.

სოციალისტური ქვეყნების ვიქტიმოლოგთა ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობს პოლონელი მეცნიერების ბახჩახის და პოლისტის შრომები. პირველი ავტორი წერაღში „ავტოსაგზაო შემთხვევების კრიმინოლოგიური და ვიქტიმოლოგიური ასპექტები“ აღნიშნავს ამ შემთხვევების კვლევის სირთულეებს, რაც გაპირობებულია მათი ელვისებურობით. ამასთან მსხვერპლების კანდიდატთათვის შემუშავებულია პროფილაქტიკური ღონისძიებები, თუმცა არ არის მითითებული მათი კონკრეტული ფორმები.

მკვლევლობის გენეზისში დაზარალებულის როლის შესახებ საყურადღებო გამოკვლევა მოგვცა მეორეპოლონელმა ავტორმა პოლისტმა. იგი ყურადღებას პირითადად ამახვილებს იმაზე, რომ მთავარი მნიშვნელობა აქვს იმ პრობლემის დადგენას და გადაწყვეტას, თუ რმდენად უწყობდა ხელს დანაშაულის ჩადენას თვით დაზარალებული.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში კარგა ხანია ყურადღება ექცევა იმ კავშირების დადგენას, რაც რეალურად არსებობს დაზარალებულის ქმედობასა და დამნაშავეის რეაქციას შორის. თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით ასეთსავე ასახვას ვერ პოულობს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

ვიქტიმოლოგიური კვლევის საკითხებით დაინტერესებული არიან უნგრელი იურისტებიც. მათ რამდენადმე თავისებური შეხედულებები აქვთ ამ პრობლემაზე. მაგალითად, დოქტორი ე. კაროლი სტატიამი „ვიქტიმოლოგია—ახალი მიმართულება თანამედროვე კრიმინოლოგიაში“ აღნიშნავს რომ „ვიქტიმოლოგია მხოლოდ ობიექტის მიხედვით სცილდება კრიმინოლოგიურ კვლევას“. სხვა მხრივ იგი თვლის, რომ მათი მეთოდები სავსებით ემთხვევიან

ერთმანეთს და ამდენად არ არსებობს საფუძველი განვასხვავოთ ერთმანეთისაგან კრიმინოლოგია და ვიქტიმოლოგია.

საყურადღებოა „უნგრული ეროვნული მოხსენება“ წარდგენილი კრიმინოლოგთა მადრიდის VI საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1970 წელს გამართა.

ე. კაროლი და ი. ვაიჩი კონგრესზე წარდგენ ნაშრომით: „ვიქტიმოლოგიის როლი და მნიშვნელობა იმ კრიმინოლოგიური კვლევის სისტემაში, რაც ტარდება უნგრეთში, სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში“.

მოხსენებებში აღნიშნულია, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ვიქტიმოლოგია ჩამოყალიბების პროცესშია, ეს-ეს არის იდგამს ფეხს. უნგრელი მეცნიერები გამოყოფენ ოთხ ძირითად მიმართულებას, რომელთა მიხედვითაც წარმოებს კვლევა-ძიება. მათი მიზანია ვიქტიმოლოგიის ცნების, ვიქტიმოლოგიისა და კრიმინოლოგიის თანაფარდობის დადგენა, დაზარალებულის კრიმინოლოგიური გაგების განსაზღვრა, დაზარალებულთა კლასიფიკაციის ფორმირება.

საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში ბოლო დრომდე არ ტარდებოდა ვიქტიმოლოგიური ხასიათის მუშაობა. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც, სადაც ვიქტიმოლოგიურ კვლევას ყურადღება მიექცა სულ უკანასკნელ ხანს. ავიღოთ თუნდაც თბილისის სახ. უნივერსიტეტი. აქ ვიქტიმოლოგიური გამოკვლევები დაიწყო თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტ-თაშორისო ლაბორატორიაში, რომელიც სულ რამდენიმე წელია არსებობს, მაგრამ უკვე მრავალი საყურადღებო გამოკვლევის ინიციატორია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოიცა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ისეთი ნაშრომები, როგორიცაა პროფ. პ. ს. დაგელის „დანაშაულის სუბიექტური მხარე და მისი დადგენა“, პროფ. დაგელისა და მიხევეის „დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენა“, კვამის „პასუხისმგებლობა ავტორტრანსპორტზე სამართალდარღვევისათვის“ და სხვა.

სპეციალისტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ლ. ვ. ფრანკის ნაშრომი „ვიქტიმოლოგია და ვიქტიმურობა“, რომელიც ძალზე საინტერესო მასალებს შეიცავს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მასში არის საკმაოდ დებულებები.

ავტორი ავითარებს აზრს, რომ ვიქტიმოლოგია ისეთივე დამოუკიდებელი დისციპლინაა, როგორც კრიმინოლოგია. ამასთან ამ აზრს ამყარებს ასეთ მსჯელობაზე — თუ კრიმინოლოგია განიხილავს დანაშაულის ჩადენისა და მისი მიზეზის მექანიზმს დამნაშავეის მხრივ, ვიქტიმოლოგია იგივეს ეძებს მსხვერპლის მხრივ.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით აღიარებულია, რომ დამნაშავესა და დაზარალებულის მოქმედება კრიმინოგენური სიტუაციის ელემენტია.

ამრიგად, კრიმინოლოგია მოიცავს ვიქტიმოლოგიის საგანს. სპეციალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ არსებობს კრიმინოლოგიის ორ დისციპლინად გაყოფის საბაბი.

კრიმინოლოგიის საგანია არა მარტო დანაშაულის, არამედ იმის შესწავლა, თუ რამ განაპირობა, რამ შეამზადა, რა უძღოდა წინ დანაშაულს. ამ ამოსავალი წერტილიდან ვიქტიმოლოგიური ასპექტი „დანაშაული — მსხვერპ-“

ლი“ უფრო მიზანშეწონილია მოექცეს კრიმინოლოგიაში, როგორც მასი შე-
 მადგენელი ნაწილი.

საპოლემიკოდ იქცა ლ. ვ. ფრანკის სხვა დებულებაც, რომლის მიხედვი-
 თაც ვიქტიმოლოგია კომპლექსურ სამეცნიერო დისციპლინად არის წარმოდგე-
 ნილი, რომელიც მოიცავს დაზარალებულთან დაკავშირებულ ყველა პრობ-
 ლემას — სისხლის სამართლებრივ, პროცესუალურ, კრიმინოლოგიურ და სხვა
 საკითხებს.

საეჭვოა, აგრეთვე დაზარალებულთა ფრანკისეული კლასიფიკაცია. ვაცი-
 ლებით უფრო გონივრულად გამოიყურება დაზარალებულთა კლასიფიკაცია
 განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულობების მიხედვით.

დისკუსიისათვის დიხაც, არის საბაზი, მაგრამ ეს შენიშვნები სრულია-
 დაც არ ამცირებს წიგნის მნიშვნელობას, რომელიც ერთერთი პირველი გზამ-
 კვლევა ამ ახალ მიმართულებაში.

სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ვაკეთებულია არც ისე ცოტა
 და არც თუ ბევრი. ვადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ პრინციპში
 ვიქტიმოლოგია, როგორც კრიმინოლოგიის ახალი მიმართულება, ეს-ეს არის
 იწყებს ფორმირებას და მას მართლმსაჯულება ვეღარ აუვლის გვერდს, როგორც
 შებრკოლების ლოდს, რომლის გაუთვალისწინებლობამ ვინ იცის, რამდენი ზი-
 ანი მოუტანა ქვემარტების დადგენის საერთო — საკაცობრიო საქმეს, ვინ
 იცის, რამდენჯერ შეგვიშალა ხელი იმ ხალხური სიბრძნის აღსრულებაში,
 რომელიც უბრალოდ ამბობს — სამართალმა პური ჭამაო.

მოკლედ შევეჩხოთ ვიქტიმოლოგიის პერსპექტივებს. სპეციალისტების
 აზრით, საბჭოთა ვიქტიმოლოგიის უახლოესი მიზანი უნდა იყოს დანაშაულის
 მსხვერპლთან დაკავშირებული კანონზომიერებების გამოკვლევა, რაც დაზ-
 მარებას ვაგვიწვევს სისხლისა და საპროცესო სამართლის ცალკეული ნორმე-
 ბის სრულქმნაში, კანონის სწორ შეფარდებაში, ამასთან საქმეთა გამოძიებასა
 და დამნაშავეობის ვაფრთხილების შემდგომ სრულყოფაში.

საბჭოთა ვიქტიმოლოგიის მორალურ საფუძვლად უნდა იქცეს საზოგადოდ
 ცნობილი საერთო კანონი, რომელიც დადებს, რომ ერთის მხრივ საბჭოთა
 მოქალაქეს და მთლიანად ჩვენს საზოგადოებას აქვს სრულიად საკმარისი მა-
 ტერიალური თუ ფიზიკური რესურსები, რათა კონკრეტულ შემთხვევაში, აქ-
 ტიური წინააღმდეგობა ვაუწიოს დანაშაულებრივ ხელყოფას, ხოლო მეორეს
 მხრივ, საბჭოთა ადამიანს შესწევს უნარი, ვამოიჩინოს აუცილებელი წინდა-
 ხედულობა, სიფრთხილე, რათა არ ვამოიწვიოს მის მიმართ კანონსწინააღმდე-
 გო მოქმედება.

ვიქტიმოლოგია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული რანგის
 დისციპლინაა, რომელიც მოგვცემს კონკრეტულ რეკომენდაციებს, როგორ ვა-
 მოვიყენოთ ვიქტიმოლოგიური მონაცემები სასამართლოს, პროკურატურის,
 შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციისა და სხვა ადმინისტრაციული ორ-
 განიების ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ვიქტიმოლოგია მჭიდრო ურთიერთობაშია ისეთ დისციპლინებთან, რო-
 გორიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია და სხვა. ეს კი ამ დარგის
 სპეციალისტებს ავალდებულობს ნაყოფიერად ითანაშრომლონ კვლევის ამ
 ახალ სფეროში, რასაც აუცილებლად ექნება არა მარტო თეორიული, არამედ
 დიდი პრაქტიკული ღირებულება.

ზოგადი და კრიმინალისტიკა

დოც. ლ. ვაღპანიშვილი

ჩვენს საკუთეს ატომური ენერჯის, ელექტრონიკისა და კოსმოსის ათვისების საუკუნეს უწოდებენ და თითოეულ ამ ცნებას ფიზიკის მიღწევები უღვეს საფუძვლად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერების განვითარებას და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ ფუნდამენტური მეცნიერული დარგები — ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და კიბერნეტიკა. ამ მეცნიერებიდან ძირითადად ფიზიკა სცვლის ჩვენს შეხედულებებს სამყაროს შესახებ, რადგან სწორედ იგი ადგენს იმ ძირითად კანონებს, რომელთაც ყოველი ფიზიკური პროცესი, მოვლენა ემორჩილება. ამიტომ არის, რომ ფიზიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერების სხვა დარგებთან, ყოველთვის იწვევს მათი განვითარების სტიმულირებას, ვაგლენას ახდენს მათზე.

ფიზიკური მეთოდები ფართოდ გამოიყენება ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, თვით ისეთ თითქოსდა „მორეულ“ დარგებშიც კი, როგორიცაა ისტორია, არქეოლოგია, იურისპრუდენცია და სხვა.

ფართოდ იყენებს ფიზიკურ მეთოდებს კერძოდ თანამედროვე კრიმინალისტიკა. ფიზიკა ეფექტურად ეხმარება მართლმსაჯულების ორგანოებს დანაშაულის დადგენაში. კრიმინალისტიკაში დიდი ხანია გამოიყენებულია ფიზიკის კლასიკური მეთოდები — ოპტიკური მიკროსკოპია და ფოტოგრაფია.

ისტორიულად მიკროსკოპი ყველაზე ძველი ფიზიკური მეთოდია კრიმინალისტიკაში და ამჟამადაც ყველაზე ფართოდ გამოიყენება ისეთი მიკრონაწილაკების კვლევისათვის, რომლებიც შეუმჩნეველია შეუიარაღებელი თვალისათვის, რის გამოც დამნაშავე ხშირად ვერ ამჩნევს მათ თავის ტანსაცმელსა და სხეულზე.

მაგრამ, ხშირად გამოძიებისათვის საჭირო ხდება ადამიანის ბუნებრივი შეგრძნების საზღვრების გადალახვა, რაც მოითხოვს თანამედროვე ფიზიკის ზუსტი მეთოდების გამოყენებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თვალისათვის უხილავი სხივების გამოყენება. ცნობილია, რომ ადამიანის თვალი სინათლის ელექტრომაგნიტური ტალღების სპექტრის მხოლოდ უმნიშვნელო, ვიწრო უბანს აღიქვამს, უხილავი ნაწილი სპექტრისა კი შეუიარაღებელი თვალისათვის ვიზუალურად მიუწვდომელია. საგნების ოპტიკური თვისებებია კი უხილავ სხივებში სრულიად განსხვავებულია მათი თვისებებისაგან ხილულ სხივებში, ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ და ფოტოგრაფიულ კვლევას უხილავი სხივების დახმარებით. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ინფრაწითელი-სითბური სხივები, რომლებსაც დიდი შეღწევის უნარიანობა ახასიათებებთ ხილულ სხივებთან შედარებით. ისინი თავისუფლად გადიან ბურუსსა და ბოლის გარემოში, რის გამოც მათი დახმარებით შესაძლებელია ფოტოგრაფირება და დაკვირვება ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი. ქაღალდი, ებონიტის თხელი ფენა, საღებავები გამჭვირვალვა ინფრაწითელი სხივებისათვის. ამიტომ თუ მაგალითად ტექსტის წაკითხვას ხელს უშლის მელნის ან სისხლის ლაქა, ანდა ზემოდან დაკრული ქაღალდი, აქ თავი-

სუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ფოტოგრაფია ინფრაწითელი სხივების დახმარებით.

ინფრაწითელი სხივებით დაკვირვებისას ფართოდ გამოიყენება სპეციალური ხელსაწყო-ელექტრონულიობტიკური გაზდაქმნელი, რომელიც სპეციალურად იძლევა უხილავი გამოსახულება ინფრაწითელ სხივებში ხილული გვიხილავი ჩვეულებრივი თვალისათვის. ე. ი. დაკვირვებისას აქ თავიდან იცილებულია შრომატევადი ფოტოგრაფიული პროცესი. ასეთი ხელსაწყოების დახმარებით შესაძლებელია საგანი სიბნელეში დაინახოთ და საჭირო შემთხვევაში ვაწარმოოთ დამნაშავეს ოპერატიული დაკვირვება სიბნელეში.

თუ საჭიროება მოითხოვს კიდევ უფრო მეტ შედარებით უსაზღვროდ მაშინ უკვე რენტგენისა და რადიოაქტიური იზოტოპების გამოსხივები გამოიყენება. მათი დახმარებით თავისუფლად შეიძლება გავსინჯოთ „გავამუქოთ“ მასიური ნივთები, მაგალითად კლიტები, ცეცხლგამძლე კარადები, სასროლი იარაღი, კედლები სამალავების აღმოსაჩენად და სხვა.

ამისათვის საკმარისია გასასინჯი ნივთი დავასხივოთ რენტგენის სხივებით, ან მის ზევით მოვთავსოთ რადიოაქტიური კობალტის გამა-წყარო. საგნის ქვეშ მოთავსებულ სინათლისმგრძობიარე ფირზე მივიღებთ რენტგენის ან გამა-სურათს.

უხილავ კვალსა და ტექსტზე დაკვირვებისათვის გამოიყენება აგრეთვე ლუმინესცენციის ეფექტი. მისი არსი მდგომარეობს საგნის ცივ ნათებაში, როცა მასზე სინათლის, ან სხვა სახის ენერჯის ნაკადით ვიმოქმედებთ.

ყველაზე ხშირად გამოიყენება ულტრაიისფერი სხივებით აღძრული ლუმინესცენცია, საგნები, რომლებიც ერთი შეხედვით ერთგვაროვანი და განურჩეველია, შესაძლებელია სრულიად განსხვავებული ლუმინესცენციით ხასიათდებოდეს, რის გამოც შესაძლებელი ხდება მათი ურთიერთგარჩევა. მაგალითად, დოკუმენტში, სადაც ტექსტი გადასწორებული ან გადაშლილია, ჩვეულებრივ განათებისას ეს თითქმის არ შეიმჩნევა, მაგრამ თუ მას სიბნელეში ხელოვნურად ულტრაიისფერ განათებისას გავსინჯავთ, მაშინვე შევამჩნევთ ხარვეზებს მნათი ლაქების სახით. ასეთივე ხერხით შეიძლება აღმოჩენილ იქნას წებოს, ამორეცხილი სისხლის ლაქების კვალი და სხვა. ეს მეთოდი გამოიყენება აგრეთვე დანაშაულის დადგენისათვის საგნების, ფულის ნიშნების „დანიშვნისას“.

სასამართლო ექსპერტიზის მძლავრი იარაღია ისეთი თანმედროვე ფიზიკური მეთოდები, როგორცაა ელექტრონული მიკროსკოპია და სპექტრული ანალიზი.

ელექტრონული მიკროსკოპია გამოიყენება ულტრაამიკრო ნაწილაკების შესასწავლად, როცა საჭიროა ათი ათასი და ასი ათასი რიგის გამაღიღებლობა, რაც ოპტიკური მიკროსკოპიისათვის მიუწვდომელია.

სპექტრული ანალიზი ატომური ფიზიკის უნივერსალური მეთოდია. იგი დამყარებულია ნივთიერების იმ თვისებაზე, რომელიც ცალკეული ქიმიურ ელემენტების ატომების მიერ ენერჯის შთანთქმისა და გამოსხივებას ახასიათებს. ყველაზე ათვის ცნობილია, რომ თუ რაიმე ელემენტის ატომებს გვახურობთ ე. ი. მათ ენერჯას გადავცემთ, ისინი მხოლოდ ამ ელემენტისათვის დამახასიათებელ გამოსხივებას, სპექტრს იძლევიან. ე. ი. აქ ლაპარაკია მოლეკულურ და ატომურ დონეზე ანალიზის ჩატარების შესახებ. ამა თუ იმ ნივთიერებების აღმოსაჩენად საკმარისია სინჯში იყოს პროცენტის ერთი მემილიონე

ნაწილი მაინც. განსაკუთრებით ხშირად ეს მეთოდი გამოიყენება ლითონებისა და მათი შენაერთების უმნიშვნელო რაოდენობის აღმოსაჩენად, მაგალითად იმის დასადგენად ნახმარია თუ არა დანაშაულის დროს ცეცხლსროლელი იარაღი, ტყვიის შესვლისა და გამოსვლის ადგილი, რა მანძილიდან მოხდა გასროლა და სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამნაშავეს წინააღმდეგ ყველაზე დამაჯერებელი მტკიცება არის მისი თითების ანაბეჭდები. ანაბეჭდების შესწავლის ტექნიკა-დაქტილოსკოპია საშუალებას იძლევა ჩავატაროთ ანალიზი, როგორც ხილული, ასევე უხილავი, წაშლილი, ანდა უხეშ ზედაპირზე დატოვილი ანაბეჭდისა.

ამჟამად დიდი კრიმინოლოგიური ცენტრები უკვე აღჭურვილია ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით, რომელთა მეხსიერებაში „ჩაწერილია“ მოცემული რაიონის ცნობილ დამნაშავეთა „ხელწერა“. ასეთ მანქანებში სპეციალური პროგრამით შეყავთ დანაშაულის ადგილზე შეგროვილი სამხილი და მანქანა სწრაფად იძლევა იმ პირთა სიას, რომელთაც შეეძლოთ ეს დანაშაული ჩაედინათ.

მაგრამ დაქტილოსკოპიასაც სერიოზული ხარვეზები აქვს. გამოცდილი დამნაშავე იშვიათად სტოვებს დანაშაულის ადგილზე ასეთი სახის სამხილებს. მაგრამ დამნაშავეს კვალი მაინც ყოველთვის რჩება. თუმცა ეს კვალი ზოგჯერ ისეთი უმნიშვნელოა, რომ მისი გამოყენება გამოცდილ გამომძიებელსაც კი უჭირს. აქ მხედველობაშია რაიმე ნივთიერების უმნიშვნელო რაოდენობა, რომელსაც დამნაშავე უნებლიეთ სტოვებს დანაშაულის ადგილზე და რომლის იდენტიფიკაცია გაძნელებულია წინა აღწერილი მეთოდებით.

თანამედროვე ფიზიკური ანალიზისათვის საკმარისია მტვრის უმნიშვნელო ნაწილაკიც კი, რომლის წონა თუნდაც მეათათასედრი ნაწილია მიკროგრამისა, ე. ი. ათ მილიონჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ერთი პატარა თმას ღეროს წონა. ცხადია, რომ შეუძლებელია ისეთი დამნაშავეს წარმოდგენა, რომელიც ასეთ უმცირეს სამხილსაც კი არ დასტოვებს დანაშაულის ადგილას.

ამ მეთოდს აქტივაციური ანალიზი ეწოდება. ეს ფაქტიურად ხელოვნური რადიოაქტივობის გამოყენებაა. მისი არსი იმაშია, რომ თუ რაიმე მიკროობიექტს დამუხტული ნაწილაკებით, ან ნეიტრონების ნაკადით დავასხივებთ, მაშინ ამ მიკროობიექტში შემავალი ნივთიერება რადიოაქტიური ხდება, ე. ი. ასხივებს სრულიად გარკვეულ, მისთვის დამახასიათებელი ენერგიის გამა-სხივებს. ამრიგად თვითეული ქიმიური ელემენტის ბირთვისათვის ასეთი გამოსხივება მისი „პასპორტი“, „თითის ანაბეჭდია“.

ჩვეულებრივ გამოსაკვლევ ნივთიერებას რთული შემადგენლობა აქვს, რის გამოც მისი გამა — გამოსხივების სპექტრი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება და თვითეულ ელემენტს სრულად გარკვეული ენერგიის მნიშვნელობის მაქსიმუმი ეთანადება.

ამ მაქსიმუმების შორის თანაფარდობა იძლევა სწორედ რთულ ნივთიერებაში შემავალ ელემენტების პროცენტულ შეფარდებას. ასეთი მეთოდის მაღალი მგრძობიარობის გამო კარგად შეიძლება გავარჩიოთ ერთმანეთისაგან სპექტრები მაშინაც კი, თუ ამა თუ იმ ნივთიერების რაოდენობა მკირედ იცვლება.

ამის გამო ცხადია, რომ დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი რაიმე უმცირესი მტკიცების ნარჩენის გამა-სპექტრს ისეთი ინდივიდუალური სპეციფიკა ახა-

ნიათებს, რომ იგი მხოლოდ იმ ნივთიერებას დაემთხვევა, რომელიც შეიძლება დამნაშავეს აღმოაჩნდეს.

მაგალითად, თუმცა სხვადასხვა ადამიანის თმას ერთიდაიგივე თვისებრივი შემადგენლობა აქვს, სავსებით დადგენილია, რომ ისინი მაინც განსხვავდება სხვადასხვა კომპონენტების რაოდენობრივი შემადგენლობით. ასეთი შემოწმება ჩატარებული იყო ათასი კაცისათვის და ამ შემოწმებამ სავსებით დაადასტურა ამ მეთოდის საიმედოობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის თმის შემადგენლობაც ისეთივე ინდივიდუალური მახასიათებელია, როგორც თითის ანაბეჭდი. აქ მნიშვნელოვანი ისიც არის, რომ ადამიანის თმის გამა-სპექტრი, ისევე, როგორც დაქტილოსკოპიური ანაბეჭდი, არ იცვლება ასაკის მიხედვით, ცხადია, თუკი ორგანიზმი ჯანმრთელი და ნორმალურია.

მსგავსი დასკვნა სამართლიანია ნებისმიერი ნიმუშის შემთხვევაშიც. ასე მაგალითად: საღებავის გამა-სპექტრი დამოკიდებულია საღებავის შემადგენელი ნივთიერებათა გვარობასა და რაოდენობაზე, მის დამზადების დროზე, ნედლეულის მოპოვების ადგილზე და სხვა. ამის გამო საღებავის უმნიშვნელო კვალიც კი დამნაშავეს ტანსაცმელზე, ან ფეხსაცმელზე ისეთივე გამა-სპექტრს იძლევა, როგორც დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი მტკიცება და პირიქით. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ განსაკუთრებით მგრძნობარე და ზუსტი მეთოდის გამოყენების შესახებ.

ძიების პროცესში საქმის ვითარების დასადგენად ხშირად მეტად მნიშვნელოვანია სისხლის ნიმუშების გამოყენება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სისხლის ოთხი ძირითადი ჯგუფი არსებობს, მაგრამ ამას გარდა, თუ გავითვალისწინებთ სისხლის სხვა დამახასიათებელ ნიშნებსაც — ანტიგენებს, ერიტროციტებს, ლეიკოციტებს, ტრომბოციტებსა და სხვას, მაშინ ადამიანთა შორის სისხლის მიჩედვით თურმე შესაძლებელია მილიონნახევრამდე სახესხვაობა არსებობდეს. განსაკუთრებით სპეციფიურია სისხლში შემავალი მიკროფლემენტების კომბინაცია ცალკეული ადამიანისათვის. ეს დამატებით საშუალებას იძლევა აქტივაციური ანალიზის მეთოდით დაზუსტდეს მისი პატრონის ვინაობა

ბოლო დროს სამუშაო პრაქტიკაში კრიმინალისტურ იდენტიფიკაციისათვის სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება ე. წ. ხმის ჩაწერის ან აკუსტიკური მეთოდი. გამოირკვა, რომ თითის ანაბეჭდების მსგავსად ხმის ბგერითი სპექტროგრამაც ინდივიდუალურად დამახასიათებელია ადამიანისათვის. ადრე სასამართლო პრაქტიკაში პიროვნების დადგენა ხმის მიხედვით არ იყო მიჩნეული საიმედოდ. ხმის ჩაწერისა და ბგერითი ანალიზის თანამედროვე ფიზიკური მეთოდები კი საშუალებას იძლევა ხმის ფირზე ჩაწერისას ჩატარდეს მისი დაწვრილებითი სიხშირული და ამპლიტუდური ელექტრო-მაგნიტური ანალიზი. ასეთი ანალიზის შედეგად მიღებული სპექტროგრამა სავსებით თავისებური გამოდგა ცალკეული ადამიანის ხმისათვის. ამასთანავე ხმის ხელოვნური ცვლილება — მისი ანაღლება, ან დადაბლება, ბუტბუტი, აქცენტი და სხვა. თითქმის სრულიად არა ცვლის სპექტროგრამას და მისი იდენტიფიკაციის საშუალებას. ასეთი სპექტროგრამები ადვილად გამოიყენება ფიზიკური ანალიზისათვის და მათემატიკური დამუშავებისათვის; ასე რომ, ისინი მეცნიერულად სავსებით დასაბუთებული მტკიცებებია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ შეიძლება დამნაშავეს მიერ ძიებისათვის საჭირო დოკუმენტების დამახინჯების, გაყალბება-გადასწორების ფაქტების დადგენა ფიზიკური მეთოდებით.

ძალიან ხშირად გამოძიებელი მტკიცების სახით იყენებს ფოტოსურათებს, რომლებიც ზოგჯერ აგრეთვე დამახინჯებული ან დაქვლებულია, ცნობილია, რომ ასეთი ფოტოსურათების აღდგენა ხშირად შეუძლებელია ახალი მეტად კონკრეტული ფოტო ასლის დამზადებითაც კი. ამ შემთხვევაშიც კვლავ ბირთვული ფიზიკა გვეხმარება. კერძოდ სავსებით მოძველებული, გახუნებული სურათის აღდგენა შესაძლებელია რადიოაქტივობის მოვლენის დახმარებით. ამ მეთოდის არსი შემდეგია: ყოველი ფოტოგრაფია, მისი ემულსია ვერცხლის ატომების უმნიშვნელო რაოდენობას მაინც აუცილებლად შეიცავს. ამ ატომების კონცენტრაცია უფრო მეტია ფოტოსურათის „შავ“ ადგილებში, ვიდრე უფრო ღია, ბაც ადგილებში. თუ ასეთ ფოტოს ნეიტრონების ნაკადით დავასხივებთ მაშინ ვერცხლის სტაბილური იზოტოპების ბირთვები რადიოაქტიურ იზოტოპებად გარდაიქმნება, ისე, რომ ფოტოსურათის ცალკეული ადგილების აქტივობა პროპორციული იქნება მასში შემავალ ვერცხლის ატომების რაოდენობისა, ე. ი. გაშვების ხარისხისა. თუ კი ასეთ „აქტიურ“ ფოტოსურათს რენტგენის ფირზე მოვათავსებთ, მაშინ პირდაპირ მივიღებთ მის ასლს — „ავტოგრაფს“, რომელიც სათანადო გამჟღავნების შემდეგ დაზიანებული დედნის ზუსტი და მკვეთრი ასლი იქნება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბირთვული ფიზიკა საშუალებას იძლევა აგრეთვე დავადგინოთ და აღმოვაჩინოთ წარსულში, დიდი ხნის წინათ ჩადენილი დანაშაულიც კი. ასეთი მაგალითია ცნობილი ფაქტი ნაპოლეონის თმის შემადგენლობაში, მისი სიკვდილის თითქმის ასი წლის შემდეგ დარიშხანის აღმოჩენისა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ გვირგვინისა და ტუსაღის მისი ცხოვრების უკანასკნელ თვეებში მოწამვლის მიზნით საკვებში სისტემატურად დარიშხანს ურევდენ.

ფიზიკური მეთოდები გვეხმარება არა მარტო დავადგინოთ ჭეშმარიტება ძიების პროცესში, გამოვააშკარაოთ უკვე ჩადენილი დანაშაული, არამედ ხშირად თავიდანაც ავიცილოთ ბოროტი განზრახვის შესრულება მომავალში. ამის მაგალითია თვითმფრინავის მგზავრთა ბარგის გასინჯვის ჩქარი და მარტივი ხერხი ასაფეთქებელ ნივთიერებათა აღმოჩენის მიზნით, რომლის პატენტიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა აღებული.

ამ მეთოდის არსი შემდეგია: ჩვეულებრივ, როგორც წესი ყოველი ფეთქადი ნივთიერება შეიცავს აზოტს, როგორც ნიტროგლიცერინის შემადგენელ კომპონენტს. აზოტის № 14 ბირთვების ნეიტრონებით დასხივებისას 15 და 16 რადიოაქტიური იზოტოპებად გარდაიქმნებიან, რომლებიც გარკვეულ ენერგიის გამა კვანტებს ასხივებენ. ამ კვანტების აღრიცხვა ადასტურებს სახიფათო ტვირთის არსებობას. გასინჯვა სწრაფად ხდება, რადგან კონვეიერზე, რომელსაც ჩემოდანი გადააქვს ნეიტრონების წყაროა მოთავსებული, ხოლო მოპირდაპირე მხარეს კი გამა-კვანტების დეტექტორი, რომელიც გამაფრთხილებელ სიგნალს იძლევა, თანაც „გასინჯვა“ არა ყოვნდება, რადგან აზოტის რადიოაქტიური იზოტოპის ნახევრადდაშლის პერიოდში მხოლოდ შვიდი წამია.

ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი ფიზიკური მეთოდი, გააცანით, რომლებიც ფიზიკის თანამედროვე მიღწევებს ემყარება და წარმატებით გამოიყენება კრიმინალისტიკის რთულ საქმიანობაში. ცხადია, საყურანლო სტატიაში შეუძლებელია ყველა არსებული ფიზიკური ხერხის სრულად აღწერა, რომლებიც იუარისპარულდენციას ემსახურება, მაგრამ ზემოდ მოყვანილი ნათლად გვიჩვენებს, რომ ფიზიკის მიღწევები ეფექტურად ემსახურება გამოძიებას.



გზა, ავტომოგზავნისკოვნი, კრიმინალი

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ავტოტრანსპორტის განვითარებას საზოგადოებისთვის დიდი სიკეთე მოაქვს, მაგრამ ის სერიოზული საფრთხის შემცველი არის, უპირველესად, საგზაო შემთხვევების წარდის თვალსაზრისით.

მივმართოთ სტატისტიკას. მთელს მსოფლიოში საავტომობილო კატასტროფის შედეგად ყოველდღიურად იღუპება სამასი ათასზე მეტი ადამიანი, რამდენიმე მილიონი მძიმედ ზიანდება. ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტომოტოტრანსპორტზე ავარიები ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში და მთლიანად კავშირის მასშტაბით ხშირია. მცირე არ არის აგრეთვე საგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულ და დასახიჩრებულ პირთა რიცხვი. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა იმ ნორმების სრულყოფა, რომლებიც აწესრიგებს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების დროს აღმოცენებულ ურთიერთობებს და საშუალებებს იძლევა აღმოფხვრათ, ან ყოველ შემთხვევაში შევამციროთ ზიანი, რაც მოსდევს სატრანსპორტო საშუალებათა უსწორო გამოყენებას.

ძალზე ხშირად ავტოავარია თვით დაზარალებულის — ფეხით მოსიარულის ბრალია, როცა ტექნიკური თვალსაზრისით მძღოლს არ შეუძლია თავიდან აიცილოს საგზაო შემთხვევა. ასეთ მაგალითად გამოდგება ქვეითად მოსიარულის ან ველოსიპედისტის უეცარი გამოჩენა სახიფათო ზონაში. კანონი მძღოლს სულაც არ აყენებს „მეისრის“ მდგომარეობაში, რომელიც ყოველთვის დამნაშავეა, მაგრამ მძღოლზე მაინც უაღრესად ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ავტოსატრანსპორტო დანაშაული უმეტესად მძღოლის მიერ დისციპლინის დარღვევის შედეგია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული უდიცნობიანობა ის არის, რომ მძღოლი ნახვამი მართავს საჭეს. მოქმედი კანონი მკაცრია. თუ წინათ ნახვამ მძღოლს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ ეკისრებოდა თუ საგზაო შემთხვევა მოხდებოდა, ახლა ნახვამის მიერ ტრანსპორტის მართვა თავისთავად უკვე დანაშაულია. პირველად მთვრალს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება, მეორე შემთხვევაში იგი სისხლისსამართლის წესით ისჯება.

მძღოლის პროფესია მეტად რთულია და მას ყველას ვერ ანდობ. თითოეული მძღო-

ლი უდიდეს პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს კანონისა და საზოგადოების წინაშე. ცხადია, რომ მძღოლის ბრალეულობისა და სახელის საკითხს საბოლოოდ სასამართლო წყვეტს, მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული ექსპერტის ცოდნაზე და გამოცდილებაზე. ექსპერტი სპეციალისტია, რომლის დასკვნას სასამართლო ეყრდნობა რა, კანონს აფასებს თავის შინაგანი რწმენით. მრავალ საქმეზე ექსპერტის დასკვნა არა თუ, ემარება სასამართლოს მტკიცებულებებსა შეფასებაში, არამედ სავალდებულოც არის მისი ჩატარება დანაშაულისა და მისი მიზეზების დასადგენად.

გამოძიებაში მეცნიერული მიღწევების გამოყენების ორი ძირითადი გზა არსებობს: სამეცნიერო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება თვით გამოძიებლის მიერ და მათი გამოყენება ექსპერტის მიერ იქ, სადაც საჭიროა აღმოჩენილ ობიექტთა პროფესიულ დონეზე გამოკვლევა, ექსპერტიზა ინიშნება, კვალიფიციურად გამოძიებული საქმე ექსპერტისა და გამოძიებლის ერთობლივი მუშაობის შედეგია. გამოძიებლები ხშირად მიმართავენ ხოლმე კომპლექსურ ექსპერტიზას, ექსპერტის ურთულეს სახეს, რომელშიც სხვადასხვა სახის სპეციალისტები იღებენ მონაწილეობას.

რას ადგენს ავტოტექნიკური ექსპერტიზა? იგი ადგენს: კონკრეტული საგზაო შემთხვევის დროს შექმლი თუ არა ამა თუ იმ ტრანსპორტის მძღოლს თავიდან აცილებინა დაჯახება, სატრანსპორტო საშუალებათა გადაბრუნება და სხვა.

ხშირად ტარდება ექსპერტიზა კრიმინალისტ-ტრასოლოგებთან და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებთან ერთად, ე.წ. კომპლექსური ექსპერტიზები, რომლითაც საგზაო შემთხვევის მიზეზი და ტრანსპორტის სახეობა ღვინდება.

ავტონიშნების პროფილაქტიკური მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო ორგანოების მუშაკებთან მათ განუწყვეტელ კავშირს. ექსპერტი ავტონიშნების, მონაწილეობენ რა ტრანსპორტის შემოწმებაში, ადგენენ საჭის, მუხრუჭის, საბურავების ტექნიკური ვარგისიანობის საკითხს და სხვა.

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება ორგანულად უკავშირდება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის სწორ ორგანიზაციას, კერძოდ, კომუნალური ტრ-

ნსპორტის მოძრაობის სწორ განალიზებას. ამ დროს გათვალისწინებულია ტრანსპორტით ხარჯებლით ხელსაყრელი ადგილი და მგზავრობის უზრუნველყოფა.

ავტორების ზრდის არსებითი მიზეზი მძღოლთა კვალიფიკაციის დაბალი დონეა. მძღოლთა შემადგენლობის მომზადების მოწყობისათვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის აუცილებელია შემუშავდეს მძღოლბრუნებისათვის მომზადების ერთიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ხაზობის გაზრდა მიდრავლეორი და მძღოლბრუნების მუხრუჭებით აღჭურვილი ავტომანქანების მართვის შემსწავლელთათვის.

ავტოტრანსპორტის შემთხვევების თავიხებურება ის არის რომ ისინი წარმოიქმნება ხუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შერწყმის ხაფუძველზე. ხუბიექტური ის ფაქტორებია, რომლებიც დამოკიდებულია პირზე, რომელიც ხარკებლობს ავტოტრანსპორტითა და ვხთა ვ. ა. ავტოტრანსპორტის (ავტომანქანის, მოტოციკლის, ტრაქტორების, ველოხობედების და ა. შ.) მძღოლზე, ქვეთად მოხიარულზე, ზოგჯერ ეს მგზავრებზეც. ობიექტურ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა, გზა, ხაფად მოხდა შემთხვევა და სხვა.

ჩვენი აზრით, ავტოტრანსპორტის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხაზოა შემთხვევების შესწავლა გადაიქცევა არამარტო კრიმინალისტიკისა და ხანელშიფიფა ავტონსპექციის თანამშრომელთა საქმედ, არამედ ყველა იმ ორგანიზაციის ხაერთო საქმედ, რომელიც დაკავშირებულია ავტოტრანსპორტთან — დაწყებული ხავტომობილო ტრანსპორტის ხამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან, დამთავრებული მძღოლების მოხამზადებელი სკოლებითა და კურხებით.

ავტოტრანსპორტის მოძრაობის უხაფრთხეობა ბევრ რამესთან არის დაკავშირებული, მაგრამ მათ შორის გადაწყვეტი ტოლი ეკუთვნის მძღოლის მომზადებას, მის პროფესიულ ოსტატობას, მანქანის მართვის ტექნიკას, მის თუ რამდენად არის იგი დაუფლებული ტრანსპორტს, რათა უზრუნველყოს მართვის და მანევრირების ამა თუ იმ ხერხის ზუსტად და სწრაფად გამოყენება.

მძღოლის სურვილი — გაძვრეს სხვა ავტომანქანებს შორის, დიდი ხიჩქარით აუქციოს გვერდი უყურადღებო ფეხით მოხიარულებს ან ველოსიპედისტს, გაიაროს დაბრკოლებათა ვიწრო კორიდორი, — ყოველთვის ართულებს მოძრაობას და უმთავრესად ხავალალო შედეგით მთავრდება.

ავტომანქანის ბავშვებზე დაჯახებისა მძღოლები ხშირად უღანაშუალონი არიან. კანონი მაშინ ამართლებს მათ, როდესაც ბავშვა მართლაც იმ დროს გადაიბინა ხავალ გზაზე, როცა დამუხრუჭება ნამდვილად შეუძლებელია. ახეთ შემთხვევაში ხათანლო ორგანოები გამომდინარე საქმის მახალებიდან ნაწილობრივ ან მთლიანად უხსნიან ბრალს მძღოლს. ამ საქმეებზე მძღოლის პასუხისმგებლობის დადგენისათვის ექსპერტის დასკვნას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ეს მოხდა გავაფხულის თბილ დღეს. ავტომანქანა გაზ 51 ნავთლულის მიმართულებით 20 კმ-ის ხიჩქარით მიდილოდა. ავტომანქანის მოძრაობის მიმართულებით მარცხნიდან მარჯვნივ ხკოლიდან გამოსულმა ორმა ბავშვა გადაიბინა მანქანის ხავალი გზა. ერთ-ერთმა მოახწრო ქუჩის გაღარბენს, ხლო მეორე ბავშვს ფეხი დაუტყურდა და წაიქცა. ბავშვს წამოღვომისას ავტომანქანა გაზ-51 დაეჯახა, რის შედეგადაც 8 წლის ბავშვი გარდაიცვლა.

გამოძიებაში მძღოლმა კ-მ თავი დამნაშავედ არ ხცნო. ის მოხხდარ ამბავს იბოთ, ხხნიდა რომ კრიტიკულ მომენტში ყველა დონე იხმარა ხაფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მდგომარეობა გამოუვალი იყო.

ახეა თუ არა ეს? შემთხვევის უფრო დაწვრილებითი ადღეენისათვის ჩატარდა ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომელმაც ნათელყო მძღოლის ჩვენების უხაფუძველობა. ექსპერტიზის დასკვნა შემდეგ გარემოებებს ეყრდნობოდა: 20 კმ-ის ხიჩქარით მოძრაობისას ავტომანქანა ყოველ წამში გაღის 5-5 მეტრს. დაჯახების მომენტში ბავშვა მძღოლის მხედველობის არეში დაჯახების ადგილამდე გაიბინა დაახლოებით მეტრი, რისთვისაც მ.27 წამი დასჭირდა.

აქედან გამომდინარე: იმ მომენტში, როდესაც ბავშვა დაიწყო ქუჩის გაღარბენა, ავტომანქანა ბავშვის მოძრაობის ადგილიდან დაშორებულ იყო დაახლოებით 18 მეტრით. ეს არის მანძილი, ხაიდანაც ავტომანქანა გაზ-51-ის მძღოლს უნდა დენახა ბავშვები. მძღოლის რეაქციისა და ხამუხრუჭო ხისტემების ამოქმედების დროის გათვალისწინებით, როცა ავტომანქანა გაზ-51 ხათში 20 კმ-ის ხიჩქარით მოძრაობს მისი გახიჩრებული მანძილი დაახლოებით 9 მეტრია. ამრიგად, ხკამარისი იყო მძღოლის მიერ მანქანის დროზე დამუხრუჭება, რომ უბედურთ შემთხვევა თავიდან ყოფილიყო აცილებული.

გ. ანაქინი,

სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი

ეს საკითხები უნდა მოგვარდეს

ჩემმა პროფესიამ, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ და იმ სიძნელეებმა, რომელთა გადალახვაც მიხდება, მიკარნახა გამოვთქვა მოსაზრებები სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის ზოგიერთ საკითხზე.

სასამართლოს დაკისრებული აქვს უმაღლესი მისია — განახორციელოს მართლმსაჯულება, გამოიტანოს განაჩენი, გადაწყვეტილება. განაჩენი (სამოქალაქო ნაწილში) და გადაწყვეტილება სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა აღასრულოს.

რა არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების არსი? ვინ არის სასამართლო აღმასრულებელი? რა ფუნქციები აკისრია მას? თუ არ ვცდები, ამ საკითხებზე არა თუ მონოგრაფია, არამედ საგაზეთო სტატიაც კი არ გამოქვეყნებულა. გაუგებრობაზეა აგებული ის, რომ სასამართლო აღმასრულებელს ზოგიერთი ტექნიკურ მუშაკად თვლის.

ამ წერილში მოვიყვან სამ საკავშირო ნორმატიულ აქტს, საიდანაც ნათლად ჩანს გადაწყვეტილების თუ განაჩენის აღსრულების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლების 55-ე მუხლში ჩაწერილია: — „სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის სსრ კავშირის ტერიტორიაზე“. ამის საფუძველზე სასამართლო უბრძანებს ყველა თანამდებობის პირს და მოქალაქეს ზუსტად და დროულად შეასრულოს სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები“.

როგორც ვხედავთ, სასამართლო აღმასრულებელს დიდი უფლებები აქვს.

სსრ კავშირის სასამართლო წყობილების საფუძვლების ამ ზოგადი დებულებიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ბევრი მუხლი აწესრიგებს აღსრულებას, განსაზღვრავს აღმასრულებლის უფლებამოვალეობას, მის კომპეტენციას.

აღმასრულებლისათვის სამაგიდო წიგნია სააღმსრულებლო ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მიერ. ინსტრუქციის ძირითადი დებულებები აგებულია „საფუძვლების“ და კოდექსების მიხედვით და შევსებულია სასამართლო პრაქტიკით თუ სხვა ნორმატიული აქტებით.

აღსრულების სირთულე ის არის, რომ გადაწყვეტილება ახლად გამოტანილია და მოპასუხე, ნაწილობრივ კი მოსარჩელე, მწვავედ განიცდიან მისი აღსრულების გარდუვალობას. ზოგს კი გადაწყვეტილების აღსრულების გარდუვალობა არ ესმის. აღმასრულებელს საქმე აქვს ჩვენი საზოგადოების ყველა

ფენასთან: მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ასაკის, სქესის, მსოფლმხედველობის, ეროვნების, რწმენისა და სარწმუნოების ადამიანებთან. ისინი მარტო მოპასუხენი კი არ არიან, არამედ — დაზარალებულნიც.

ცნობილია, რომ სასამართლოში სამოქალაქო საქმე გაცილებით მეტი განიხილება, ვიდრე სისხლის სამართლისა და ეს უკანასკნელიც, ჩემი აზრით, ხშირად მოუწესრიგებელი სამოქალაქო დავებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო ურთიერთობა-მოწესრიგება მინიმუმამდე ამცირებს დანაშაულს.

სასამართლოს მუშაკები, უპირველესად კი მოსამართლე და აღმასრულებელი, ყოველმხრივ განვითარებული იურისტები, ადამიანური ადამიანები, სპეციაკი, ობიექტური, მკაცრი და ამავე დროს ჰუმანური უნდა იყვნენ.

გადაწყვეტილება და აღსრულება მთლიანობაში მოსამართლისა და აღმასრულებლის პროფესიული, გონივრული, ობიექტური მოქმედებაა.

რა დახმარება ეწვევთ აღმასრულებლებს საქმის აღსრულებისას და რა პირობებში უხდებათ მათ მუშაობა?

არ არსებობს სხვა აზრი, რომ სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, მაგრამ ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი არ ასრულებს მას. სასამართლოს თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილია დაწეროს მკაცრი წარდგინება ასეთი პირის მიმართ, ზოგჯერ არ იყენებს მინიჭებულ უფლებებს, არ „აწყენინებს“ ამა თუ იმ თანამდებობის პირთ. ეს კი შეუწყნარებლად აჭიანურებს, ზოგჯერ ფუშავს გადაწყვეტილების აღსრულებას, ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს.

მილიცია ხომ სასამართლოს თანაშემწეა და უდავოდ დიდ დახმარებას უწევს მას. მაგრამ, მილიციის ზოგიერთი მუშაკი სასამართლოს, კერძოდ აღმასრულებლის მოთხოვნებს გულგრილად ექცევა, რასაც მოსდევს მოქალაქეთა სამართლიანი საჩივრები ზემდგომ ინსტანციებში. მილიციის განყოფილებამ ზუსტად და დროულად უნდა შეასრულოს სასამართლოს მოთხოვნები.

რადგან სასამართლოს აღმასრულებელს ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პასუხსაგები მისია აკისრია, მისი სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, მატერიალური დაინტერესებისათვის, მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის უნდა იზრუნოს იუსტიციის სამინისტრომ და ყველამ, ვისაც ეს ეხება. გენიალური მარქსის სიტყვებია: „საქმე ის კი არ არის, ვინ რა სამუშაოს ასრულებს, საქმე ის არის, ვინ როგორ ასრულებს ამ სამუშაოს!“ იუსტიციის სამინისტრომ უნდა იცოდეს ვინ როგორ მუშაობს, და არამარტო დასაჯოს, არამედ გამოავლინოს საუკეთესონი, წახალისოს, დააჯილდოვოს და დააწინაუროს კიდევ. აქვე შევნიშნავ — განა უცნაური არ არის, რომ არცერთი სასამართლო აღმასრულებელი არასოდეს არ წაუყენებიათ მოსამართლედ ასარჩევად, მაშინ როცა უმაღლესი განათლების მქონე აღმასრულებლების დიდი ნაწილი ამის ღირსია!

თბილისის I მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში ვინმე რომ შემოვიდეს, ნახავს, რომ აღმასრულებლებს მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ. ორ პატარა, უფანჯარო ოთახში ოთხ-ოთხი მუშაკი ზის. ამ ოთახებში ხდება მოქალაქის მიღება. სასამართლოს შვიდ აღმასრულებელს ტელეფო-

ნიც კი არა აქვს. იგივე მდგომარეობაა ოქტომბრისა და ლენინის რაიონების სახალხო სასამართლოებში.

და ბოლოს, როგორც სპეციალისტი და პრაქტიკოსი, ვაყენებ ერთ წინადადებას, რაც გააუმჯობესებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ქ. თბილისში. ეს არის აღსრულების ცენტრალიზაციისა და კოორდინაციის საკითხი. საჭიროა ქალაქის სასამართლოსთან შეიქმნას თბილისის სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობა.

ვფიქრობ, ეს საკითხები უნდა მოგვარდეს და რაც შეიძლება მალე.

მ. ბრეგვაძე,

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

რეზიუმე: სასამართლოს აღმასრულებლის — მ. ბრეგვაძის წერილში ბევრი საყურადღებო საკითხია წამოჭრილი. რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ წერილის თაობაზე იმსჯელებენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელმძღვანელები, აგრეთვე რაიონული სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეები და საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტას ალბათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩარევაც დასჭირდება.



წლისთავისათვის

ილია ჭავჭავაძის იურიდიული ნააზრევინი

1. ნაარაზრევინი

ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებების წარმოსადგენად გარკვეული მნიშვნელობა აქვს მის მოთხრობას — „სარჩობელაზედ“. მხედველობაშია მისაღები რომ ილიას მხატვრული ნაწარმოები სოციალური პროგრამით არანაკლებ არის დატვირთული, ვიდრე პუბლიცისტური.

ილიას მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა, სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ტკივილი. პოეტს სწამდა, რომ კაცობრიობა შესძლებდა თავის წინაშე დასმული დიდი სოციალური პრობლემის გადაწყვეტას, ილიას ახასიათებს ღრმა რწმენა ადამიანთა სიკეთისა. 1877 წელს დაწერილ ერთერთ ლექსში ილია წერდა:

„მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში და ლხინში წინ მიმიძღოდა“.

ილია ჭავჭავაძე იმ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როდესაც ქართველი ხალხი პოლიტიკურ თავისუფლებას იყო მოკლებული. იმ ხალხისათვის კი, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური თავისუფლება, ლიტერატურა იყო ერთადერთი ტრიბუნა, რომლის სიმაღლიდანაც მას შესაძლებლობა ჰქონდა მეტნაკლებად გამოეცვინა თავისი აღშფოთების ხმა და თავისი სინდისი, ფარული და საერთოვარი აზრები, რა თქმა უნდა იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მაშინდელი ცენზურა იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე იბრძოდა სოციალური სამართლიანობისათვის; ამასთანავე მისთვის ცხადი იყო, რომ სამართალი გულისხმობს უკვე არსებულ მართლწესრიგს, ხოლო სამართლიანობა აღირებს არა ყოველთვის არსებულს, არამედ, შესაძლოა, სასურველსაც და, უმრავლეს შემთხვევაში, — მხოლოდ სასურველს. სამართალი უკვე რეალური ყოფიერებაა; სამართლიანობა, როგორც წესი, სოციალური იდეალია. ის რაც დღეს სამართლიანობად ითვლება და მხოლოდ იდეალს წარმოადგენს ხვალ შეიძლება სამართლად გადა-

იქცეს. როგორც იურისტს, ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ სამართლიანობისა და სამართლის დაპირისპირება ის ფორმაა, რომლითაც ვლინდება იურიდიული იდეების ბრძოლა.


ამიტომ უმართებულად უნდა ჩაითვალოს შეხედულება თითქოს ილია ერთმანეთში ურევდა სამართალსა და სამართლიანობას. ის ოცნებობდა პროვინციისა და საზოგადოების ისეთ ობტიმალურ ურთიერთობაზე, როდესაც ინდივიდს თავისი ტალანტის და უნარის გამოვლენის სრული შესაძლებლობა ექნებოდა.

XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ილია ჭავჭავაძე, უკვე სრულიად მომწიფებული მოაზროვნე და მწერალი, მრავალჯერ უფიქრდება საზოგადოებისა და პროვინციის ურთიერთდამოკიდებულებების პრობლემას, დანაშაულისა და სასჯელის პრობლემას. 1879 წელს ილია წერს სანატრესო მოთხრობას „სარჩობელაზედ“.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, როდესაც ბურჟუაზია ევროპის მოწინავე ქვეყნებში რეაქციულ კლასად გადაიქცევა, დაიწყო ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული მენცნიერების საერთო მიბრუნება რეაქციისაკენ.

ამ დროს წარმოიშვა ე. წ. სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური სკოლა. იზრდებოდა დანაშაულობათა რიცხვი და ანთროპოლოგიური სკოლაც საქირო იყო ბურჟუაზიისათვის მათთან ბრძოლის დასასაბუთებლად.

ანთროპოლოგიური სკოლის უმთავრესმა წარმომადგენელმა ჩუარტე ლომბროზომ თავის ნაშრომებში განავითარა დებულება, რომ დანაშაული ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც დაბადება, ავადმყოფობა, სიკვდილი და სხვ. ლომბროზოს მიხედვით, დანაშაულობათა მიზეზი უნდა ვიქნებოთ თვით ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ბუნებაში. ლომბროზოს აზრით დანაშაული ბიოლოგიური მოვლენაა და არა სოციალური. ჩვენ არ ვიცით გაცნობილი იყო თუ არა ილია მოთხრობის წერის დროს ანთროპოლოგიური სკოლის მოძღვრებას, მაგრამ ერთი ცხადია,



მას არც მანამდე და არც შემდეგ არ გაუზიარებია ზემოხსენებული თეორიის დებულებები.

ილიას თანამედროვე იყო აგრეთვე ფრანსის გალტონი (1822-1911 წ.წ.) რომელიც საბოლოოდ მივიდა ევგენიკის შექმნამდე. მისი აზრით, ადამიანის საქციელი, მისი ინტელექტუალური მიღწევები წინასწარ განსაზღვრულია მემკვიდრეობით მიღებული ე. წ. გენეტიკური რესურსებით.

ვინ არის დამნაშავე, პიროვნება, რომელმაც არაღვგალური, კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ჩაიდინა, თუ ის სოციალური გარემო, რომელშიც მოხდა მისი ასეთი მოქმედება? — აი საკითხი, რომელიც დიდიხანია აღელვებდა საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს. იმისათვის, რომ დანაშაულობანი მოვსპოთ, საქირთა აღმოვფხვრათ ის ანტისოციალური გარემო, რომელიც მას ასაზრდოებს. საზოგადოება, რომელიც ცალკეულ დამნაშავეებს ებრძვის, მაგრამ ხელუხლებლად სთოვებს მის წარმომშობ მიზეზებს, ერთი მოაზროვნე ფრანგის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მკავს იმ გლენს, რომელიც ებრძვის მკბენარებს საკუთარ ტანზე, მაგრამ აბანოში წასვლაზე კი არ ფიქრობს.

ასეთი და მსგავსი დასკვნები უკვე XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის სშირად მეორდებოდა პროგრესულ მოაზროვნეთა ნაწარმოებებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ შეხედულებებს სასტიკად ებრძოდა ოფიციალური მეცნიერება.

დანაშაული ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უნაყოფო ფორმაა არსებული, გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობების წინააღმდეგ ერთეულების პროტესტისა.

ცნობილია, რომ დანაშაულია ის მოქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც ხელმოყვას გაბატონებულ კლასთა ინტერესების სასარგებლოდ დამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ცალკეული ადამიანები, რომლებიც ვერ მიმხვდარიან არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მიზეზს, ინდივიდუალისტურ, შეუგნებელ ამბოხებას აწყობენ ამ ურთიერთობათა წინააღმდეგ. ამ ამბოხების უკუღმართურ, ტლანქი და უნაყოფო ფორმაა დანაშაულობა.

ილია ქავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ — გატარებულია ის აზრი, რომ ოჯახური, საზოგადოებრივი გარემოა დანაშაულობათა წყარო.

მოთხრობის სიუჟეტის ქარგა ასეთია: დარბი აზნაურიშვილს ორი ვაჟიშვილი დაარჩა ობლად. ბავშვების დედა ჩქარა გათ-

ხოვდა სხვაზე. მამინაცვალმა ბავშვებს მამისაგან ღარჩინილი დედულ-მამული გაუნიავა. ბავშვების დედა და მამინაცვალი ქალაქში ცხოვრობენ, ხოლო ბავშვები უპატრონოდ მკავთ დაყრილი სოფელში. ქალაქიდან სოფელში დასასვენებლად ჩამოსული დედა და მამინაცვალი პატარებს ცემით ტყავს. ამრობდენ. უპატრონოდ დაყრილ ბავშვებს ყველა თავში უტყავუნებს მოსამსახურისა და წყებულის და მამინაცვალის გათავებული. მართალია, ბევრს უტყვოს ეცოდებოდა ტანჯვაში მყოფი ობლები, მაგრამ შველა არსად იყო.

როცა ბავშვები ცოტათი წამოიზარდნენ, მამინაცვალმა თავიდან მოსაშორებლად ისინი ერთ-ერთ სამხედრო სასწავლებელში მიიბარა. მაგრამ ოჯახურ გოგონებს მოშორებულმა ბავშვებმა ვერც სამხედრო სასწავლებელში გამეფებული სულის ამომრთმევე ცემატყებას, აუტანელ ლანძღვა-გინებას გაუძლეს და „სალდათის შკოლიდან“ გამოიქცნენ.

ყმაწვილებმა ძველ სახლს მიაშურეს, მაგრამ აქ მათ ერთი ღამეც არ გაათევიან.

ობლები უფულოდ, უბნაოდ, უნუგეშოდ, მარტომარტონი აღმოჩნდნენ, ქალაქისაკენ ბედის საძიებლად მიმავალი ყმაწვილებმა ლოქინის ხევის პირს მდგომ მეურმეებს გადაეყრებინან. მოხუცი გლეხი პეტრე გულლიად გაუბასხინძლდება ყმაწვილებს, მაგრამ მთელ საზოგადოებაზე გულაყრილნი, ისინი ვერ შედავენ მოხუცი გლეხის გულიხსნიერების კერძო ფაქტს და ერთ-ერთი მათგანი გლეხს ჯიბეებს დააჭრის.

ყმაწვილები ჩიდიან ქალაქში, იქ, სადაც „ცოდვაც და მადლიც უფრო ხალგათად დადის“, სადაც „ოროცეს დიდი შარა გზა აქვს“.

ყმაწვილებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს შური იძიონ საზოგადოებაზე და დაადგინნ ძარცვა-გლეჯის გზას. როგორც ერთ-ერთი მათგანი იგონებს. „მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ გაგვეძარცვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაწვევიანეთ“.

ერთ მიწვენიერ დღეს შურისძიების გრძობით გაუღწილი ყმაწვილები მამინაცვალს ესტუმრებიან და ჩხუბში შემოაკვდებათ. პოლიცია ხელში ჩაიგდებს ერთ-ერთ მათგანს და სასამართლოც მას ჩამოხრჩობას მიუხჯას იმ დღეს, როდესაც მამინაცვლის მკვლელობისა და სხვა დანაშაულობათა ჩადენისათვის უფროს ყმაწვილს საჭაროდ ჩამოხრჩობენ ავლადარის მოედანზე, მოხუცი მეურმე პეტრე შემთხვევით ამ სცენის მოწმე ხდება. აქვე თავისი ძმის ჩამოხრჩობას ესწრება უმცროსი ძმა, რომელიც პეტრეს იცნობს და წერილს გადასცემს, სადაც მოკლედ მოუთხრობს თა-

ვისი ცხოვრების ამბავს და თან ერთი ათად უბრუნებს, მის ფულს, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ უმაწვილებმა მოჰპარეს მოხუცს.

მოთხრობის სიუჟეტი, როგორც ვხედავთ, ისეა აგებული, რომ თითონ მითითებს დანაშაულობის წარმოშობის მიზეზებს — ცუდ ოჯახურ და საზოგადოებრივ გარემოზე. ცხადია, რომ კარგ ოჯახურ და საზოგადოებრივ წრეში მოთხრობის მთავარი გმირები — უმაწვილები ბეჟანი და მისი ძმა არავითარ შემთხვევაში არ გახდებოდნენ სისხლის სამართლის დამნაშავენი. მოთხრობის დედაპირი ის არის, რომ დანაშაული არ არის პიროვნების ინდივიდუალური, თავისუფალი ნების პროდუქტი. ინდივიდში კი არ უნდა ვეძებოთ დანაშაულობის მიზეზი, არამედ საზოგადოებრივ გარემოში, საზოგადოებაში.

მწერალმა გვაგრძობინა, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბავშვობისა და ყრმობის ხანა. თუ ბიოლოგიური ფაქტორების მოქმედება შესამჩნევად იჩენს თავს ბავშვის ცხოვრების ადრეულ საფეხურზე, ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში უკვე უმთავრესი მნიშვნელობისაა გარემოს გავლენა.

ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას განსაზღვრავს სოციალური პირობები, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება შეუძლებელია წინასწარ იყოს განსაზღვრული გენებით.

ილია ჭავჭავაძე ისეთ საზოგადოებაზე ოცნებობდა, სადაც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება აგებული იქნებოდა იმგვარად, რომ ერთს ეწირუნა უკუდანათვის და პირიქით. რა თქმა უნდა, XIX ს. 70-იანი წლების ქართული სინამდვილე შორს იყო ასეთი ურთიერთობისაგან. ამაშინდელი სოციალური სინამდვილე ნოყიერი ნიადაგი იყო დანაშაულობათა წარმოშობისათვის. ილიას მიერ დახატული ოჯახი ინდივიდთა მექანიკური ერთობაა. მამინაცვალი ძარცვავს ობლებს. მათ კანონიერ სამკვიდრო ქონებას ანადგურებს — და მთელ საზოგადოებაში კაცი არ აღმოჩნდა, რომ ხმა აღემადლებინა ასეთი უსინდისო მამინაცვლის წინააღმდეგ.

განა მამინაცვალმა მცირეწლოვან ობლებს მთელი სარჩო-საბადლებელი რომ წაართვა და დაუნდობლად გაყარა ხანლიდან, ამით თავის თავს სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანა?

ჭეშმარიტად მართალი იყო შექსპირი, როცა წერდა:

„ოქვენ მართმევთ სიცოცხლეს,

ოღეს მართმევთ საშუალებას, რომლითაც ცვსოვრობა“.

როდესაც მამინაცვალი უსინდისოდ ძარცვავდა, სასიკვდილოდ იმეტებდა თავის გერებს და ამით არღვევდა თვით შემამუღეთა და ბურჟუათა კლასის ნებით შექმნილ კანონებს, სახელმწიფო ხელისუფლებასა და მათ ორგანოებს კრინტიც არ დაუძრავთ, მაგრამ როდესაც უმაწვილებმა შური იძიეს მამინაცვალზე; მაშინ მართლმსაჯულების ნებით უფროს გერს, ბეჟანს, ყულფში გაყოფინეს თავი.

ილია იმგვარად გვიხატავს საქმის ვითარებას, რომ გგონია ეს-ეს არის იგი თომას მორის სიტყვებით მიმართავს ბურჟუაზიულ საზოგადოებასო:

„რას აკეთებთ! თქვენ ადამიანებს ქურდებად ხდით, რომ შემდეგ ისინი ჩამოახჩროთ“.

ბეჟანისა და მისი ძმის მიერ ჩადენილი დანაშაული სოციალურ-ეკონომიკური პირობების ბრალია. რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლოა შეებრძოლო ასეთ დანაშაულობებს სიკვდილით დასჯით. ამასთანავე, ილია შემდგომში სიკვდილით დასჯილ ბეჟანს მშვიდობის მტრედად როლი გვიხატავს. ბეჟანის უმარტივო სახე „იმისი სხარტი და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალით ხამხამი ცხადია ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხვო გულია დამალული“. თავისი უმცროსი ძმაც ხომ ბეჟანს ახასიათებს, როგორც უჯათს, თვითრჯულს და გულნამცეცას.

მაგრამ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, სრულიად არ ცვლის საქმის ძირითად შინაარსს. რა ვუყოთ, ეს ცნობილი ფაქტია. ჰეგელიც ხომ ამბობდა, რომ ბუნებითა და საზოგადოებით განსაზღვრულ ადამიანში არის რაღაც განუსაზღვრელიო. ადამიანიც სწორედ იმიტომ არის ადამიანი, რომ მასში რაღაც სუბიექტური უნდა იყოს. რაც არ უნდა იყოს, ბეჟანი არავითარ შემთხვევაში არ არის დაბადებული დამნაშავედ. სასურველი ოჯახური და სოციალური გარემო რომ შეხვედროდა, ის უთუოდ საზოგადოებრივი პროგრესის შეგნებული ელემენტი იქნებოდა.

ყოველი გაბატონებული კლასი სასჯელის ბერკეტით ებრძვის მისი ინტერესების დამრღვევ სუბიექტებს. ამ აზრით ამბობს მარქსი, რომ „...სასჯელი სხვა არაფერია, თუ არა საშუალება საზოგადოების თავდაცვისა მისი არსებობის პირობების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ“.

ადამიანი პასუხისმგებელია მისი გარემო-

ცველი საზოგადოების სიღამაშისა და გონივრულობისათვის. აქედან გამომდინარეობს ჰუმანიზმის პრინციპი. ჩვენ სხვა წყარობიდან რომ არ ვიცოდეთ, თუ რა კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო ილია ქავჭავაძე სიკვდილით დასჯისა, ამ დასჯენის გაცემაზე შეგვეძლო მისი მოთხრობიდან „სარჩობელა-ზედ“.

მსოფლიო ლირებატურაში, ვფიქრობთ, ბერია არ მოიძებნება დიდი მწერლების ნაკადმარი, სადაც ასე ბუნებრივად იყოს დახატული მოხუცი გულმართალი გლეხი, რომელმაც არაფერი იცის ბურჟუაზიული მემამულური სახელმწიფოს მექანიზმის ნამდვილი ბუნებისა.

მოსუც პეტრეს ვერა და ვერ წარმოუდგენია, რომ ავლარის მოედანზე საჯაროდ შეიძლება კაცის ჩამორჩობა, ალბათ ცირკის ჯამბაზები თვალმაქცობენო, ფიქრობს პეტრე, „თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა რა სანახავია? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია. კიდევ იმიტომ ამოდენა მანდილონის თავი აქ მოჰყარია. დედაკაცის თვალი მსუნავია თვალთმაქცობაზედ...“ პეტრეს ჰგონია, რომ მას, როგორც სოფელს, ქალაქელები აბრყვებენ, თორემ ნამდვილი ადამიანის ჩამორჩობა აბა როგორ შეიძლება. პეტრეს გული მოხდის, რომ მთელ ქალაქს მის მოსატყუებლად მოუტყუა. ჩინოვნიკი, წითელპერანაგა ჯალათი თუ მღვდელი პეტრეს ცირკის ჯამბაზი ჰგონია.

„— ე მღვდელი რაღას გაუგოებია, — ეუბნება თავის თავს პეტრე, — ტერტრა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ანაზ რად იქადრებდა. ის წითელპერანაგა ვინ უნდა იყოს? იქნება თავიდათავი ჯამბაზი ეს იყოს“.

ჯალათმა ბუყანი ჩამოაჩრო და პეტრეს მაინც ჰგონია, რომ კაცის მავიერ ჯამბაზებმა ტომარა ჩამოჰკიდეს.

როდესაც „ჩამორჩობის სცენის“ შემდეგ ხალხი ყაყანიით დაიშალა, პეტრე ფიქრობს: „ბიჭო და, იქნებ მართლა ჩამოაჩრეს!.. ნე-ჰაჰო მეკითხა, ეჰ, დამცინებდნენ... ჰა, ვინ იცის? ეს ხალხი ასე ქვიფის გუნებაზეა. მი-დის და ზიჟუნებს მხიარულად! ეს რომ მართლა ჯარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, იჯახაბაქეულები. ერთ ცვარ ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ, რაც არ უნდა იყოს ღვთის კერძი ადამიანია, კატა ხომ არ არის“, პეტრეს ვერ გაუფრო, როგორ შეიძლება, რომ ადამიანი ჩამოაჩრონ და ხალხი კი ხარხარებდაც. ძასთვის სრულებით გაუგებარია. სას-ჯელის დაწინაღობა ჩამორჩობა იყოს. ძნელია იმის თქმა, რამდენად რეალურია პეტ-

რეს სახე. რა თქმა უნდა, პეტრეს მსგავსი ჰუმანიზტები ქართველ გლეხთა შორის ნამდვილად იყვნენ. მაგრამ ძნელი წარმოხადგენია ადამიანი, რომელიც „ხალხთა საპრობი-ლეში“ დაბადებულა და დაბერებულა, და ვერ კი წარმოუდგენია, რომ ადამიანი შეიძლება ჩამოაჩრონ. ცხადია, ილიამ პეტრეს სახით მშრომელი სპეტაკი ადამიანის ჰუმანი-ზმის შეუდარებელი ძველი გამოაქანდაკა. საზოგადოებას, რომელიც გაღატაკებულ პიროვნებას აყენებს მკვლელობის, თვითმკვლელობის, ქურდობის ან შიმშილით სიკვდილის პრობლემის წინაშე, არა აქვს უფლება სასტიკი სასჯელით ებრძოლოს დამნაშავეებს ასეთია ილიას მოთხრობის დედააზრი.

მოთხრობის ობიექტური წინაარსი ის არის, რომ ბურჟუაზიულ-მემამულური საზოგადოების პირიბებში სრულიად შეუძლებელია ვიპოვოთ ჩიხიდან რაიმე გამოსახველი, შეუძლებელია მოვსპოთ დანაშაულობა, თუ ამავე საზოგადოების ნიდაგზე დავჩრებით; როგორც ფ. ენგელის ამბობს, ბურჟუაზიული საზოგადოების სინამდვილეში მშრომელი ადამიანი დამნაშავე ხდება იმავე აუცილებლობით, რომლითაც წყალი 80 გრადუსზე (რემპურით) თხევადიდან გაზისებურ მდგომარეობაში გადადის. „როდესაც ადამიანებს პირუტყვულ მდგომარეობაში აყენებენ, მათ სხვა არაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ ან ალხდენ ამის წინააღმდეგ, ანდა მართლაც პირუტყვად გადაიქცევიან“.


როგორც პისარემა შენიშნა, დოსტოვესკის რასკოლინიკოს სურდა ყველა დიდი ადამიანი სიხლის სამართლის დამნაშავედ ექცია და ყველა სიხლით სამართლის დამნაშავედ დიდ აღამიანად „Я принцип ушл“.

ამბობდა რასკოლინიკოვი და ამყავდა იმით, რომ მან თავის თავში ჩაქვალა ჰუმანიზმის პრინციპები.

ილიას გვირიც, ბუყანის უმცროსი ძმა, ცდილობს იხელმძღვანელოს მსგავსი პრინციპებით. „მე მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო“, — აცხადებს იგი. მაგრამ იგი მოსუცი პეტრეს წინაშე მაინც აღიარებს:

„შენმა გულგუთილობამ რომ ტკიბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამამორჩილა, აქამდის კიდევ გულში, მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვრდალი“.

ვფიქრობთ, მწერლის სანუჯვარი აზრი ის არის, რომ საზოგადოების მხოლოდ მაშინ აქვს თავისი წევრის დასჯის უფლება, როდესაც ის სხნებულ აქტამდე ახორციელებდა მისი უფლებების დაცვას, ზრუნავდა მასზე. სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ პი-



როვნების დასჯის უფლებას წინ უნდა უძღვდეს მისთვის ზრუნვის მოვალეობა.

მოსუც პეტრეს უკვრდა, ადამიანის „ამ პატარა გულში რომოდენა ცოდეა და მადლი ტრიალებსო“. უფრო გვიან, „მესამე დღესღებს“ არ გაუჭირდებოდა ახსნა ამ მოვლენისა არც თავისთვის და არც სხვებისთვის...

ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს სიკეთისა და ბოროტების მიღმა. საზოგადოებაში, სადაც კლასთა ბრძოლაა ცხოვრების მამოძრავებელი ბერკეტი, საჭიარისი აღარ არის პასუხი გულკეთილობა. საჭიროა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა. მოსუც პეტრეს შეეძლო გულის ამაჩუყებელი სიკეთე გამოეჩინა, მაგრამ იგი ძალზე სუსტი იყო, როგორც ბოროტების წინააღმდეგ შებრძოლი. ამიტომ სასვენით გასაგებია უდანაშაულოდ დამნაშავეს საყვედური პეტრეს მიმართ: „განაშენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამონაცვლისა! განა შენ კი არ დაირჩე ერთადერთი ძმა! განა შენ არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“ პეტრეს, როგორც საზოგადოების წევრს, მორალური პასუხისმგებლობა მაინც ეკისრება ადამიანის დაღუპვისათვის.

მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც განვითარებული საწარმოო ძალების ბაზაზე მოსპობა კერძო საკუთრება და ამით ადამიანის ყველა გრძნობა და თვისება ნამდვილად გათავისუფლდება როგორც სულიერი, ისე მატერიალური მუხრუჭებისაგან, მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება ადამიანი წარმოგვიდეს თავისი ნამდვილი სახით, მთელი სიდიდითა და ეპიური სილამაზით. მაშინ სოციალური ლექსიკონიდან ამოიშლება სიტყვები „დანაშაული“, „სასჯელი“. სიკვდილით დასჯაც, რა თქმა უნდა, არ იქნება საზოგადოების არსებობის პირობა, როცა ყველაფერი ეს სოციალურ რეალობად იქცევა, მხოლოდ მაშინ, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცობრიობის პროგრესი აღარ დაემსგავსება იმ სასიზღარ კერძს, რომელსაც არ სურდა ნექტარი სხვანაირად შეესვა, თუ არ მოკლულის თავის ქალიდან.

2. ილია ჭავჭავაძე ე. წ. „უკანონოდ შობილი“ ბავშვების უფლებების შესახებ.

ცნობილია, რომ ილიას მართლმსაჯულების სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მისი გონების ჰორიზონტი იმდენად

ფართო და ენციკლოპედიური იყო, რომ სრულიადაც არ არის მოულოდნელი, როდესაც ვიგებთ რომ, ილიამ 1898 წელს სოციალური წერილიც კი დასტამბა უკანონოდ-შობილთა უფლებების შესახებ.¹

რამდენიმე სიტყვა ექსპლუატატორულ საზოგადოებრივ ფორმაციებში უკანონოდ-შობილი ბავშვების მდგომარეობის შესახებ.

მონოგამიური ოჯახის წარმოშობა-განმტყიცების შემდეგ გარდა ქორწინებაში მყოფი მეთუღლებების მიერ გაჩენილი ბავშვისა, სხვებს „უკანონოდ შობილად“ აცხადებდნენ და მათს უფლებებს ყოველმხრივ ზღუდავდნენ.

შეზღუდული იყო უკანონოდ შობილთა უფლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოშიც. „ნაბიჭვარს“, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მამულში წილი არა აქვს. „ნაბიჭვარი“ უნდა ეყმოს „კანონიერად“ წარმოშობილ თავის ნახევარძმებს (მამის მხრით), ხოლო ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან, როგორც კანონმდებელი ამბობს, „ერთის ქმის ადგილს“ „არჩინონ“ იგი. „და თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, — განაგრძობს კანონმდებელი, — ამითან არაფერი წილი არა აქვს. ვისთანაც წავიდეს, ძმათა პასუხი არა აქვს“ (მ. 110).

პიროვნების პატივი და ღირსება ფეოდალურ ევროპასა და რუსეთში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ მამონდელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემასთან და არ იყო მკაცრად შეზღუდული მტკიცე იურიდიული ზღუდეებით.


პიროვნების ღირსება რთული და მრავალწახნაგოვანი ცნება იყო. ადამიანის პატივი და ღირსება დამოკიდებული იყო მის წარმოშობაზე კანონიერ თუ უკანონო ქორწინებიდან, აგრეთვე იმაზეც კი, ორივე მშობლები მაღალი წოდების წარმომადგენელი იყვნენ თუ არა.

და რაც უფრო წმინდათა-წმინდად აცხადებდნენ კანონმდებელი ოჯახსა და ქორწინებას, მით უფრო სავალალო იყო უქორწინოდ წარმოშობილ პირთა მდგომარეობა. ნაბიჭვრებს არა მარტო დიდ სახელმწიფო თანამდებობებზე, არამედ ხშირად ამქარშიც არ ღებულობდნენ.

1649 წლის ალექსი მიხეილის ძის სჯულდების მიხედვით (თავი X, 280) „ნაბიჭვრის“ უფლებრივი მდგომარეობა მეტად სავალალო იყო.

რამდენადმე ამსუბუქებდა ნაბიჭვრის მდგომარეობას ნოვგოროდის ფეოდალური

¹ ილია ჭავჭავაძე, ნაწარგების სრული კრებული ტ. VIII, ტფ. 1928 წ. პ. ინგოროყვანს და ალ. აბაშელის რედ. გვ. 295-304.



რესპუბლიკის კანონმდებლობა, რადგან აქ დაშვებული იყო უკანონო შვილების ლეგიტიმაცია.

ფეოდალურ საფრანგეთში უკანონდ შობილი არც დედის მემკვიდრეა, არც მამისა, იგი უოველგვარ სამემკვიდრეო უფლებას მოკლებულია. სახელმწიფო მას არავითარ ადამიანურ უფლებას არ ანიჭებს. სამაგიეროდ, თუ უკანონოდ შობილს რაიმე ქონება დარჩება სიკვდილის შემდეგ, სახელმწიფო ხდება ამ ქონების მემკვიდრე. ფეოდალურ საზოგადოებაში უკანონოდ შობილის უფლებო მდგომარეობამ ათქმევინა შექსპირის ერთ-ერთ გმირს:

„უკანონო! ღლაპო! ბუშო, ნაბიჭვარო! რაში შემფერის მე ამგვარი სახელწოდება, მე ვინც ჩამსახა უტკობესმა ვნებათ-ღელვამა და საიდუმლო ტრფიალებამ შთამბერა სული; მე, რომლისთვისაც თვით ბუნებას კრძალვით წარსტაცეს სულისა ღონე და სიტურფე თვალტანადობის?“

ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არსებითად იგივე დარჩა უკანონოდ შობილთა მდგომარეობა. ბურჟუაზიულმა კანონებმა უდანაშაულოდ დასაჯეს ათასობით და ასეთუ-ათასობით ადამიანი, რომელთაც მხოლოდ ის დააშვეს, რომ ისინი მშობლებს კანონის დოცვა-კურთხევით და ნებართვით არ გაუჩინათ.

ემანუელ კანტიც არ მოერიდა, რომ უკანონოდშობილთათვის ხელოვნური ნივთი ეწოდებინა და ისინი საზოგადოებრივი მწრუნველობის გარეშე დაეყენებინა. კანტის აზრით უკანონოდ დაბადებულ ბავშვს კანონი არ დაიცავს. იგი თითქოს შემოპარულია საზოგადოებაში, როგორც აკრძალული საქონელი. საზოგადოება უკანონოდ შობილისას არც არსებობას ამჩნევს და არც მისობას.

1898 წელს, ახალი კანონპროექტის მომზადებასთან დაკავშირებით, ილია გამოეხმაურა უკანონოდ შობილთა მდგომარეობას წერილით: „უკანონოდ შობილთა უფლება“. ილია აღნიშნავს, როგორც არანორმალურ მოვლენას, რომ უკანონოდ შობილთათვის „...არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამული, არც დედული ქონება, არც მამა-შვილური და დედა-შვილური განწყობილება. ერთის სიტყვით, რაც ქვეყანაზე ერთ სისხლ-ხორციობა, მამადედაშვილობა, ნათესავობა წილს უღებს ადამიანს, ამას უო-

ველფერის მოკლებულია, ვინც იბადება დაუქორწინებელ დედა-მამისაგან“.

ბურჟუაზიულ-მამამულიერი რუსეთის კანონების მიხედვით, „უკანონოდ შობილთ“ უნებლიეთ დააშვეს ის, რომ ქორწინების გარეშე კავშირიდან წარმოიშვნენ. ილიამ პუმანიშვის მაღალი პრინციპებიდან გამოდინარე, ხმა აღიმაღლა ამ უსამართლობის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ ეს უღმობლობა და გულუქვაობაა, ცოცხალ მკვდრად დამარხვა უდანაშაულო და უცოდველი ადამიანისა. „თუ დედამამის მოქმედება ამ შემთხვევაში, კანონის და საზოგადოების თვალთ, საზღაური დანაშაულობა და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დასაჯოს მათის ცოდვისა და დანაშაულობის გამო? მისი რა ბრალია, რომ დედა-მამამ უკანონოდ გააჩინა და ეს ამბავი დედა-მამისა საზღაურად რათ უნდა გაუხდეს შვილსა? მეტი რა სასჯელი, რა საზღაური! უოველივე პატივი და ღირსება, უოველივე კაცებური ურთიერთობა, რითაც კი წუთისოფელში ჰთამამობს და თავს იწონებს სხვა უოველი ადამიანი, უკანონოდ შობილს თვალის ახილებისასვე წართმეული და ჩამორთმეული აქვს“.

კაცობრიობის კულტურის უდიდესი მონაპოვარი იურიდიული კულტურის სფეროში ის პრინციპია, რომ ადამიანს შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მისი ინდივიდუალური ბრალისათვის, მხოლოდ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის თუ უმოქმედობისათვის განზრახვის თუ გაუფრთხილებლობის ფორმით. მართალია, ბურჟუაზიული კანონმდებლობებში წემოხსენებული პრინციპი აღიარებულია, მაგრამ „უკანონოდ“ შობილზე მსჯელობის შემთხვევაში ისინი უშვებენ გამოწკლისს და უბრუნდებიან წინაპრების ცოდვისათვის შთამომავლობის პასუხისმგებლობის ძველთაღქმისაულ პრინციპს.

რუსეთის იმპერიის კანონები დიდად არ წასულა უკანონოდ შობილთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე ვახტანგის კანონებთან შედარებით. რუსეთის იმპერიის კანონებით უკანონოდ შობა იწვევდა პირის *capitis deminutio*-ს. აზნაურად დაბადებული უკანონოდ შობის გამო იქცეოდა გლეხად ან მდაბიოდ. 1891 წლის 12 მარტამდე მამას თავისი უკანონო შვილის ლეგიტიმაციაც კი აკრძალული ჰქონდა. შთამომავლობით აზნაურს ხელმწიფობდა კანონიერად შობილი ნათესავი აეყვანა შვილად, ხოლო საკუთარი „უკანონო შვილი“ კი არა.

ილია ქავკავაძე სასტიკად ილაშქრებს „უკანონოდშობილთა“, ამ „უდანაშაულო და-

ნაშავეთა“ პასუხისმგებლობის წინააღმდეგ მათ მიერ ჩაუღუნელი დანაშაულისათვის. ილიას აზრით, საჭიროა, რომ საზოგადოება მეტი ღმობიერებით უყურებდეს „უკანონოდ“ შობილთა მშობლებსაც: „ცოდვა დედამისა ამ შემთხვევაში მოსაწონებელი, რასაკვირველია, არ არის, ცოდვას ცოდვის სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მადლია ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნდლოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მანც და მანც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებული ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თავისი ნაშობი წუალს მისცეს“.

ილიამ მშვენივრად იცის, თუ რა სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კანონს (სამართალს) ცხოვრებაზე და პირობით. იგი ამბობს: „აქ ერთმანეთის ზეგავლენა უქვეყნაა და აუცილებელია: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაც, ერსაცა“. ამიტომაც, თუნდაც არსებული წყობილების ფარგლებში, უაღრესად სერიოზული საქმეა უკეთესი კანონისათვის ბრძოლა.

ილია მიესალმება ახალ კანონპროექტს, რომელიც ივალისიწინებდა „უკანონოდ შობილთა“ უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და ოცნებობდა უფლებებში „კანონიერად“ შობილებთან მათს სრულ გათანაბრებას.

ილიამ იცის, რომ „უკანონოდ“ შობილთა მიმართ არსებული სასტიკი კანონები ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაყოფია. მას სწამს, რომ „ასეთი კაცთა შორის უსამართლო, უმადლო და უღმობიელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და უამს მოიჭამს და მარტო ისტორიაში-ღა თუ დარჩება კაცობრიობის არსასახელო სახსოვრად, ვითარცა საწუო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენის ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვისა“.

ის რაც ილია ჭავჭავაძისათვის სოციალური იდეალური იყო ზემოხსენებულთან დაკავშირებით, დღეს უკვე სინამდვილეა, საბჭოთა კანონმდებლობა არც იცნობს უკანონოდშობილის ცნებას.

ნ ა რ ე ვ ი

* * *


დასავლეთის ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, ავსტრალიაში ხშირად შეხვედებით მდიდარ ოჯახებს, რომლებსაც ერთი საერთო უბედურება სჭირთ — უშვილობა. გამოსავალს ისინი სხვისი ბავშვების შვილად აყვანაში ეძებენ. ბევრი მათგანი მზად არის საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადოს მშობლებს, რომლებსაც გაჭირვება აიძულებს დათმონ საკუთარი ბავშვები. ზოგიერთმა საქმოსანმა ეს გარემოება გამოიყენა და სარფიან ბიზნესს მიჰყო ხელი. ცოცხალი „საქონლის“ თითქმის დაუშრეტელ წყაროს წლების მანძილზე სამხრეთ ვიეტნამში წარმოადგენდა, სადაც ომმა მრავალი ათასი ბავშვი დააობლა და დედა დააქვრივა. მას შემდეგ, რაც ვიეტნამელმა ხალხმა ამერიკელი ინტერვენტები და მათი დამქაშები გამოაპანჩურა, ბავშვებით ვაჭრობის ცენტრმა სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის სხვა ქვეყნებში გადაინაცვლა.

ვაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა ტაილანდის სამხრეთ ნაწილში იმოგზაურა. აქ, პატარა დაბა ბან ჩეინგში მას გააცნეს ვინმე პიემი, რომელმაც მას ბავშვების დიდი არჩევანი შესთავაზა. ჯერ 450 დოლარად ღირებული 9 თვის ბიჭუნა ნიფატი ანახეს, მერე — მასზე ხუთი თვით უფროსი ჩამრავტი, რომლის ფასმა უკვე 1000 დოლარამდე აიწია. სულ „ვაჭარს“ სახელში შვიდი ბავშვი ჰყავდა.



პიემი არც მალავს თუ სად შოულობს ბავშვებს. „ისინი ყვითელი ვარდის ბარში არიან დაბადებულნი“, უთხრა მან კორესპონდენტს. დედებს ჩემთან მოპყავთ ისინი. მამები?“ მან მხრები აიჩეჩა.

სოფლიდან 10 კმ დაშორებით განლაგებულია უტაპაოს სამხედრო-საჰაერო ბაზა, სადაც ვიეტნამში ომის დროს მრავალი ათასი ამერიკელი სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე იყო დაბანაკებული. ბაზის გარშემო შხამიანი სოკოებივით მომრავლდა ბარები, დამის კლუბები, სართსკიპოები. როდესაც ტაილანდის მთავრობა იძულებული გახდა საზოგადოებრიობის ზეგავლენით წინადადება მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის ქვეყნიდან



ჯარის ნაწილების გაყვანის შესახებ. ავიაბაზა თანდათან დაცარიელდა. მრავალმა აქაურმა ქალმა არსებობის ერთადერთი წყარო დაკარგა. უმწუთ მდგომარეობაში ჩავარდნილი დედები ბავშვის შიმშილით დაღუპვას ხშირად მის გაყიდვას ამჯობინებენ. პიემისთანა გარეწრებმა კი მათი უბედურება იოლი შემოსავლის წყაროდ გაიხადეს.

საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოში მომზადებული ჰქონიათ სპეციალური სია მომრავლებული მუშტრებისათვის, თუ სადა და ვისგან შეიძლება შეიძინო ბავშვი. ამგვარი, მართლაც რომ შემადრწუნებელი ბიზნესის შედეგად, 1970 წელთან შედარებით 1974 წელს გაორკეცდა ობლების რაოდენობა, რომელთა ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოყვანაზე გაიცა ოფიციალური ნებართვა. საქმეს სულ უფრო ფართო გასაქანი ეძლევა: წინასწარი მონაცემებით 1975 წელს მათი რაოდენობა კვლავ ერთი-ორად გაიზარდა.

* * *


გ. წ. დეკემბრის დამლევს ქ. მაიამის (აშშ) ნავსადგურში შემოიყვანეს მცირე წყალწყვის 2 სათევზაო გემი. მაის ანძებზე ჰოლანდიის დროშები ფრიალებდა, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ჰოლანდიაში ეს გემები არ არის რეგისტრირებული. როდესაც სანაპირო დაცვის ხომალდებმა ისინი ბაჰამის კუნძულების სიახლოვეს დააკავეს, მათ ტრიუმფში აღმოჩნდა 90 ტონა მარიჰუნა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქების ქუჩებში 54 მილიონ დოლარად ფასობს. ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის შავბნელ საქმეში ეს თავისებური რეკორდია.

* * *

„თუ ელისეს მინდვრებზე ვინმე უცნობთაგანმა თქვენი კოცნა მოინდომა, გაუფრთხილდით საფულეს“, ასეთი სა-

ახალწლო გაფრთხილება გამოაქვეყნა პარიზის პოლიციამ.

ამ საქვეყნოდ ცნობილ გამზირზე ახალ წლის ღამეს მრავალი ათასი პარიზელი მეკვიდრი იკრიბება. არსებობს




ტრადიცია, რომლის თანახმად, როგორც კი საათის ზარი შუადამეს ჩამოჰკრავს, უცნობებიც კი ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან და ახალ წელს ულოცავენ.

შარშან 100-ზე მეტმა მოქალაქემ განუცხადა პოლიციას, ამგვარი კოცნახვევნისას ჯიბგირებმა ჯიბები დაგვიცარიელესო.

* * *

27 წლის მხატვარი ტომას ხელმსი ბედის საძიებლად ჰავაის კუნძულებიდან ნიუ ორკში ჩავიდა. დიდების ნაცვლად მას მწარე ხვედრი ხვდა წილად: უფულობა, შიმშილი, უბინაობა, ღამის თევამეტროში. სასოწარკვეთილმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა თავი მოეკლა და ცნობილი ცათამბჯენის „ემპაირ სტიიტ-ბილდინგის“ მწი-ე სართულიდან გადადგმოხტა. ძლიერმა ქარმა ხელმსი შენობის კედელს მიახეთქა და მწი-ე სართულის ერთი მეტრის სიგანის ფანჯრის ლავგარდანზე შეაგდო. ნახევარი საათის განმავლობაში საცოდავი ახალგაზრდა ნახევრად გონებადაკარგული იწვა. თან-



დათან იგი გონს მოვიდა, შეცვალა ერთად პურ-მარილს შექცეოდნენ და თავისი გადაწყვეტილება, დიდი ვაი-ვაგ-ცოტა შექვიფიანდნენ. მათ შორის წა-ლახით შექლო ფანჯრის გაღება და შექ-მოიჭრა კამათი, არსებობს თუ არა სი-ვრა შენობაში. ცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ქალმა გა-

* * *

შვეიცარიის ერთ-ერთმა სასამართლომ 2000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარი-მა კაცი, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა თავისი მთვრალი მეგობრის წვერს, რა-თა გამოელვიძებინა. დამნაშავეს აგრეთ-ვე 3 თვის პირობითი პატიმრობა მი-უსაჯეს.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატის ნიუ იორკის შტატის ქ. საუსკემპტონის კო-ლეჯის სტუდენტი 19 წლის მაიკლ უოლ-ში ხშირად ახალ-ახალი ავტომანქანებით მოდიოდა სასწავლებელში. შარშან დე-კემბერში პოლიციამ დააპატიმრა მ. უე-ლში. გამოიკვია, რომ იგი სისტემატუ-რად იტაცებდა დილაობით სხვის მან-ქანებს თავისი საცხოვრებელი სახლის მიდამოებში. მოპარულ მანქანებს კო-ლეჯის ახლოს ავტოსადგომზე ტოვებდა. ამ წესით მან სულ 30 მანქანა გაიტა-ცა. ერთ-ერთ მანქანაში მას კოლეჯის პირადობის მოწმობა დარჩა, რამაც წერ-ტილი დაუსვა მის „გატაცებას“.

* * *

კალიფორნიის (აშშ) ერთ-ერთ პა-ტარა ქალაქში მაკ-კორკილმი 33 წლის სტუდენტი მაკ კოსკილი და 28 წლის მიმტანი ქალი ჯუნ კამინგსი




ნაცხადა: „ჩემი ღრმა რწმენით, სიკვდი-ლის შემდეგ სიცოცხლეს რაღაც სხვა ფორმით დაფუბრუნდები“-ო. სტუდენტმა მიუგო: „თუ შენ გულწრფელად ლაპა-რაკობ, ალბათ უყოყმანოდ შეგიძლია მოიკლა თავი“-ო. ქალი დაეთანხმა. რესტორნიდან ისინი სახლში წავიდნენ და ვაჟმა ქალს თავისი პისტოლეტი მია-წოდა. ჯუნ კამინგსმა მიიღო იგი სა-ფეთქელთან და ჩახმასხს მოსწია.

მაკ კოსკილი დააპატიმრეს. მიმდი-ნარეობს გამოძიება: ხომ არ იყო მკვლე-ლობა? პოლიციამ განაცხადა, დამნაშა-ვე შესაძლებელია თვითმკვლელობაში ხელშეწყობისათვის გაასამართლონ.

კრიტიკა & ბიბლიოგრაფია

კაცხანია ქართულ მეცნიერთა ნაშრომებზე პოლონურ ჟურნალში*

1977 წელს გამოცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა კრებული, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. თ. გ. წერეთლის დაბადების 70-ე წლისთავს. კრებულში — „იურიდიული ძიებანი“ — გამოქვეყნებულია სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის) გამოჩენილი კრიმინოლოგების, აგრეთვე ქართველი სწავლული იურისტების — თინათინ წერეთლის კოლეგებისა და მოწაფეების სტატიები, რომლებშიც უმთავრესად გაშუქებულია სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები, არის წერილები სამართლის სხვა დარგებიდანაც კრებულს — „იურიდიული ძიებანი“ გამოცემას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის იურიდიული ჟურნალი „პანსტო ი პრაუო“ („სახელმწიფო და სამართალი“), რომელმაც მოათავსა პოლონეთის ერთ-ერთი გამოჩენილი კრიმინოლოგის, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის, სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზი-




დენტის იგორ ანდრევეის რეცენზია. მკითხველებს ვთავაზობთ ამ რეცენზიის თარგმანს.

1. საბჭოთა კრიმინოლოგებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს პროფესორ ქალს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თინათინ წერეთელს. იგი ავტორია მრავალრიცხოვანი ფუნდამენტური ნაშრომებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და სხვა ენებზე. თ. წერეთელი მრავალი წლის განმავლობაში იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდეგ სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ორგანიზებულ სამართლის სექტორს. მან აღზარდა და მეცნიერული მუშაობის ინტერესი შთაუწერა თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენაში; ამავე

დროს იგი პატივცემული საზოგადო მოღვაწეა. თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ცხოვრებაშიც. მისი კეთილშობილებით აღსავსე, ელევანტური სილუეტა ამშვენებდა სისხლის სამართლის საერთაშორისო მეათე კონგრესს რომში (1969), მეთერთმეტე კონგრესს ბუდაპეშტში (1974), ხოლო სოციალისტურ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პირველ სიმპოზიუმზე (ვარშავა-პოზნან, 1975) პროფესორი თ. წერეთელი საბჭოთა დელეგაციის მეთაური იყო.

2. პროფ. წერეთლის მეცნიერულ ნაშრომებს შორის ყველაზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია მისმა მონოგრაფიამ — „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“. დღევანდელი რეცენზია შესაძლებლობას მძლევს მო-

* იურიდიული ძიებანი. მეცნიერული წერილების კრებული, მიძღვნილი თინათინ წერეთლის დაბადების 70-ე წლისთავისადმი. თბილისი. 1977, გამოც. „მეცნიერება“, გვ. 257.
5. საბჭოთა სამართალი № 3.



კლედ შევეხო თეორიას, რომელიც მან ამ კონტრაფაში განავითარა.

ბუნებაში ან საზოგადოებაში რაიმე მოვლენის წარმოშობა მრავალი ფაქტორის ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთზემოქმედების შედეგია. ამიტომ მიზეზობრივი კავშირის გაგება მხოლოდ ამ ურთიერთზემოქმედების საფუძველზე შეიძლება. მიზეზი ყოველთვის არის იმ პირობათა ერთობლიობა, ურომლისოდაც მოვლენა — შედეგი არ განხორციელდებოდა. თითოეული ცალკეული მოვლენა აუცილებელია შედეგებისათვის, მისი *Conditio sine qua non* ჩართულია მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პირობა თანასწორფასოვანია. ყველა ფაქტორი ერთნაირ როლს როდი ასრულებს მოვლენა-შედეგის წარმოებაში. შედეგის განხორციელებაში მონაწილე მრავალრიცხოვანი პირობებიდან, კრიმინალიტს აინტერესებს მხოლოდ ადამიანის მოქმედება, მრავალრიცხოვანი შედეგებიდან კი — მართოდენ ისინი, რომლებიც გათვალისწინებულია კანონში როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შემცველები. იმის დამტკიცება, რომ ქმედობა შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ე. ი. რომ ქმედობა შედეგების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ე. ი. რომ ქმედობა მიზეზობრივი კავშირის იყო შედეგთან, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პასუხისმგებლობისათვის. მიზეზობრივი კავშირი პასუხისმგებლობის ერთადერთი ობიექტური წინაპირობაც კი არ არის. პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი მხოლოდ მაშინ არის დასაბუთებული, როდესაც მოქმედება, რომელმაც განაპირობა მავნე შედეგი, საზოგადოებრივად საშიში ხასიათისაა. თ. წერეთელი ანალიზს უკეთებს იმ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათს ერთობლიობაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის აღიარების დროს. ამ გარემოებათა შორის განსაზღვრულ როლს ასრულებს მავნე შედეგისათვის ხელის შეწყობის ხარისხი.

საზოგადოებრივი საშიშროების ამ გარემოებათა ანალიზის შედეგად თ. წერეთელი შემდეგ დასკვნამდე მიდის: თუ მოქმედების მონაწილეობა შედეგში იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი არ ქმნის შედეგის იმ გზით წარმოშობის რეალურ შესაძლებლობას, რა გზითაც

იგი ფაქტობრივად განხორციელდა, მოქმედება ვერ ჩაითლება საზოგადოებრივად საშიშად, თუნდაც იგი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყოს.

თ. წერეთელი ემხრობა უმოქმედობის მიზეზობრიობას. მისი აზრით, უმოქმედობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში არ ნიშნავს ლიტონ უარყოფასა და სიცარიელეს. პირი შეიძლება განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში მონაწილეობდეს და ამით ისეთ ვითარებაში იყოს ჩაყენებული, როდესაც შესაძლებლობა აქვს ზეგავლენა მოახდინოს იმ ძალებზე, რომლებიც გამოწვევის უფლებების შემთხვევაში ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენენ. თუ იმ ადამიანმა, ვინც ამ ძალებს აკავებს, აუშვა ისინი და შესაძლებლობა მისცა ამოქმედებისა, იგი თავისი უმოქმედობით განაპირობებს შედეგს.

ჩვენი რეცენზია თ. წერეთლის ნაშრომებს კი არ ეძღვნება, არამედ მისი მეგობრების წიგნს. ამიტომ მასში ვერ განვიხილავთ თ. წერეთლის ყველა შრომას, თუნდაც ისეთებს, რომლებიც გამოცემულია რეცენზენტისათვის მისაწვდომ ენებზე. აღვნიშნავ მხოლოდ მუქედებს: პრატ. წერეთელმა მონაწილეობა მიიღო დანაშაულის შემადგენლობის შესახებ გამართულ დისკუსიაში. შექმნა მონოგრაფიები დანაშაულებრივ ქმედობაზე და მის შედეგზე (1966), დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე (1961), თანამონაწილეობაზე (1965), იგი არის ავტორი „დანაშაულზე მოძღვრების“ ფუნდამენტური კურსის მრავალი კარისა ამ კურსის I ნაწილი გამოქვეყნდა 1968 წელს.

3. სარეცენზიო წიგნი თ. წერეთლის 70-ე წლისთავის გამო გამოვიდა. ეს *Iiber amictorum* შედეგაა მეცნიერული გამოკვლევებისაგან, რომლებიც შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: ა) ქართულ მეცნიერთა შრომები. ისინი ძირითადად გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე და დართული აქვს მოკლე რეზიუმე რუსულ ენაზე; ბ) სხვა საბჭოთა მეცნიერების შრომები და გ) უცხოელი (ბულგარელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონელი და უნგრელი) მეცნიერების შრომები.

პირველი ჯგუფის გამოკვლევები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმის გამოც, რომ წარმოდგენას იძლევა სისხლის სა-

¹ Por. A. S. Prangiz wili: Psychologia nastawienia, wyd. pol. Warszawa, 1969. O zastosowaniu teorii nastawienia w prawie karnym por. artykuł M. Król-Bogomilskicj: Psychologiczne przeslanki odpowiedzialności karnej za przestępstwa z zapomnienia, PiP nr. 12/1976, oraz jej recenzje ksiazki T. Szawgulidze, PiP nr. 8-9/1974.

მართლის ქართული სკოლის ძირითად მეცნიერულ ინტერესთა შესახებ, სკოლისა, რომელშიც მთავარი ადგილი თ. წერეთელს უჭირავს, ხოლო მნიშვნელოვან როლს მისი მოწაფეები ასრულებენ. მისი სკოლის ერთ-ერთი მიმართულება ეფუძვნება განწყობის თეორიას, რომელიც შეიმუშავა გამოჩენილმა ქართველმა ფსიქოლოგმა უზნაქემ. რამდენიმე სიტყვა ამ თეორიაზე. განწყობა პირვნების მზაობაა განსაზღვრული მოქმედებისადმი. იგი იმ კავშირის ფსიქოლოგიური არსია, რომელიც არსებობს მოთხოვნალებსა და ობიექტურ სინამდვილეს (სიტუაციას) შორის, რის საფუძველზეც წარმოიწმობა მოქმედება განსაზღვრული მიმართულებით.

თ. შავგულიძე, რომელიც შეიარაღებულია ამ თეორიით, იკვლევს ბრალის ფორმის კონცეფციას იმპულსური მოქმედების დროს, როდესაც მოქმედების მიმდინარეობისას არ არის მოტივაციისა და გადაწყვეტილების აქტის შეგნებული პროცესი. ასეთი, მაგალითად, მოქმედება, ჩადენილი ავექტის დროს, ძლიერი სიმთვრალისას ან ჩვეული ავტომატიზმის ზეგავლენით.

ვინაიდან ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების დასაბუთება ძნელია, ამან ზოგიერთი კრიმინალისტი აიძულა შეგნეთქვა ისეთი შეხედულება, თითქმის განზრახვასა და გაუფრთხილებლობასთან ერთად არსებობს ბრალის მესამე ფორმა. თ. შავგულიძე არ ეთანხმება ამ შეხედულებას. მისი აზრით, თუ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების „შეგნებისათვის“ აუცილებლად ჩავთვით ადამიანის მიერ თავისი მოქმედების „გაცნობიერებას“, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებამდე მოტივაციის, წინასწარ მოფიქრებისა და აწონდაწონის პროცესს, მაშინ იმპულსური მოქმედების დროს საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება და, მაშასადამე, განზრახვა არასდროს არ გვექნება, ვინაიდან ასეთ მოქმედებაში მისი ცალკეული ელემენტები გაცნობიერებული არ არის, მაგრამ თუ საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება გულისხმობს უბრალოდ იმის ცოდნას, თუ რას ახორციელებს პირი, მაშინ ასეთი ცოდნა არსებობს იმპულსური მოქმედების დროსაც. თუმცა იმპულსური მოქმედება „გაუცნობიერებლად“, ე. ი. მოტივაციის აწონდაწონისა და გადაწყვეტილების აქტის გაუცნობიერებლად ხორციელდება, — განწყობის წარმოშობის მეშვეობით ხდება ცოდნის იმ სფეროს აქტუალიზაცია, რაც ამ შემთხვევაში საკმარისია განწყობით წარმართული მიზნის განსახორციელებლად. თანაც ხდება აქტუალიზაცია არა მარტო ცოდნის იმ მხარისა, რომელიც საკ-

ნების, მოვლენების და მათი ურთიერთობის ფაქტობრივ მხარეს ეკუთვნის, არამედ აგრეთვე იმ ცოდნისა, რომელიც მათს შეფასებას შეეხება. ცოდნის ასეთი მინიმუმი იმპულსური ქცევის დროს საკმარისია, რომ დავასაბუთოდ საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებისა და, მაშასადამე, განზრახვის არსებობა. თუმცა პოლონეთის კანონმდებლობა არ სარგებლობს საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების კატეგორიით, მაგრამ თ. შავგულიძის მსჯელობა ქმედობის საშიშროების „ცოდნის“ აქტუალიზაციის შესაძლებლობის შესახებ, თუმცა მასში არის ნებელობითი პროცესის ზოგიერთი კომპონენტის „გაუცნობიერებლობა“, ჩვენთვის მაინც საინტერესოა.

მეორე ავტორი, მ. უგრეხელიძე იკვლევს დამნაშავეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას მართლწინააღმდეგობის მიმართ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს. ავტორი ასაბუთებს, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაული გულისხმობს ორმაგ მართლწინააღმდეგობას: ქცევის შეუსაბამობას წინდაზღვეულების ნორმასთან (პირველადი მართლწინააღმდეგობა) და მის შეუსაბამობას სისხლისსამართლებრივ ნორმასთან (სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა). დამნაშავეს მიერ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების შესაძლებლობა გაუფრთხილებლობითი ბრალის აუცილებელი ელემენტია. ეს შესაძლებლობა არ არსებობს, თუ არ არის პირველადი მართლწინააღმდეგობის შეგნება (ან ასეთი შეგნების შესაძლებლობა). როცა საქმე სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას ეხება, არ არის აუცილებელი მოვითხოვოთ მართლწინააღმდეგობის შეგნების შესაძლებლობა, რამდენადაც კანონმდებლობა არ გვაგვალებს სამართლის ცოდნას.

ორი ავტორი: გ. ტყეშელიაძე და ო. გამყრელიძე ეხებიან ზოგიერთ კონცეფციას დანაშაულის შესახებ მოძღვრებიდან.

გ. ტყეშელიაძე იძლევა დანაშაულის შემადგენლობის დახასიათებას ღირებულების თეორიის თვალსაზრისით. იმ გერმანულ ავტორთა კრატიკული ანალიზის შემდეგ, რომლებსაც დანაშაულის შემადგენლობა ესმოდათ, როგორც ყოველგვარ შეფასებას მოკლებული წმინდა ფაქტობრივ, აღწერილობით ნიშანთა ერთობლიობა, ავტორი ეკამათება შეხედულებას, რომლის თანახმად საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ნიშანია. როგორც ჩანს, ამ კონცეფციას არ დაუკარგავს აქტუ-

ლობა, რამდენადაც დისკუსია კვლავ გრძელდება.²

ემხრობა რა თ. წერეთელს, ავტორი თანმიმდევრულად უარყოფს დანაშაულის შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების კონცეფციას, აზუსტებს რა დანაშაულის შემადგენლობის ცნებას, ავტორს გამოაქვს ასეთი დასკვნა: „... იმ ქმედობის შეფასება, რომლის ნიშნები აღწერილია სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში, მოცემულია სწორედ შესაბამის სისხლის სამართლის ნორმაში და არა სასამართლოს მიერ. დანაშაულის შემადგენლობა შეფასების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო თვით შეფასება მოცემულია არა შემადგენლობის შიგნით, არამედ მასთან ერთად ნორმაში, რომელმაც იგი დაადგინა“ (გვ. 69).

ოთარ გამყრელიძე აკრიტიკებს შევიცარიონისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამედროვე სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებულ თეორიებს თანამონაწილეობის შესახებ, მათ შორის, თეორიას, რომელსაც თანამონაწილეობის არსად ამსრულებლის კორუფცია მიაჩნია. ავტორი იზიარებს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებას, რომ თუ მიზეზობრივი კავშირი არ არის, თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია.

სისხლისსამართლებრივი საკითხებისადმი მიძღვნილი წერილების გარდა კრებულში მოთავსებულია რამდენიმე ქართველი ავტორის წერილები სამართლის სხვა დარგებშიც. ეს ავტორები არიან: გ. უვანია („სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა მისი ორგანოს ქმედითობისათვის ultra vires“), ს. ჯორბენაძე („სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უფლებრივი სტატუსი“), ბ. ხარაზიშვილი („სამართალში ჭეშმარიტების ცნებისათვის“), თ. ლილუაშვილი („სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და ჭეშმარიტობის ურთიერთდამოკიდებულება“), დ. ფურცელაძე და ი. ფუტყარაძე (ეკლასობრივი ბრძოლის ანარქული ქართული სამართლის წიგნებში“).

4. წერილების მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები, რომელთა ავტორებიც არიან გამოჩენილი საბჭოთა თეორეტიკოსები. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს ამ კრებულს.

გ. კულრაივეცი თვის გამოკვლევას უძღვნის მიზეზობრიობას სამართალში, იგი განასხვავებს ოთხი ჯგუფის მიზეზობრივ კავშირს. ეყენია: ა) ადამიანთა მართლმორბიერი თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევის კავშირი მის სოციალურ (სასარგებლო ან მავნე) შედეგებთან, ბ) კავშირი, რომელიც თვით ადამიანის ქცევის გენეზისს შეეხება, გ) კავშირი სამართლის ნორმასა და ადამიანის ქცევას შორის (ანუ სამართლის მოქმედების „მექანიზმის“ პრობლემა), დ) თვით სამართლის ნორმის გენეზისი, სამართლის სოციალური განპირობებულობა მის მთლიანობაში. მიზეზობრიობა ზოგადი კატეგორიაა, მაგრამ საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროში, ავტორის აზრით, მას საკუთარი ნიშნები აქვს, ხოლო სამართლის სფეროშიც მას აქვს თავისი დამატებითი სპეციფიკური ნიშნები.


წინა გამოკვლევის თითქოსდა ერთგვარი გაგრძელებაა ნ. კუზნეცოვას ნაშრომი სისხლის სამართლის კანონის სოციალური განპირობებულობის შესახებ. ავტორი ეხება ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და მოჰყავს მეტად საინტერესო მაგალითები, როდესაც ზოგიერთი ნორმა არ არის ადევკატური სიტუაციის მიმართ. ავტორი ყურადღებას აქცევს კრიმინალიზაციის საფუძველებს, მიუთითებს, რომ ეს პრობლემა არ არის საკმარისად დამუშავებული.

მ. ბლუმე იკვლევს ახალი უფრო მსუბუქი კანონის შეფარდების პრობლემას კანონიერ ძალაში შესული იმ განაჩენის მიმართ, რომელიც გამოტანილი იყო გაუქმებული კანონის საფუძველზე.

მ. კოვალიოვა თავისი სტატია მიუძღვნა სასამართლო პრაქტიკაში რუსის-სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების ეფექტიანობას — (ამ მუხლის შინაარსი მეტად თუ ნაკლებად შეესაბამება პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლს). ავტორს წამოყენებული აქვს დებულება, რომ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს კერძო ბრალდების საქმეებზე.

ბ. დაველი ეხება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის პრობლემებს. იგი იძლევა ამ დანაშაულთა შემდეგ კლასიფიკაციას: ა) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ყოფაცხოვრების სფეროში, ჩადენილი ტექნიკურ საშუალებათა და მომეტებული საფრთხის

² ამ დისკუსიის თაობაზე, იხ. ჩემი მონოგრაფია: Rozpoznanie znamion przestepstwa, Warszawa, 1968, S. 12. აგრეთვე ჩემი რეცენზია ა. ტრაინინის მონოგრაფიაზე, «Советское государство и право», 1958, № 3.



სხვა წყაროს გარეშე; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული, ჩადენილი ტექნიკურ საშუალებათა და მომეტებული საფრთხის წყაროს სფეროში, გ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული, ჩადენილი წმინდა პროფესიულ სფეროში და დ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული, ჩადენილი სამსახურებრივი მმართველობითი ფუნქციის გამოყენების სფეროში.

მეუღლენი გ. ლ. და გ. ა. კრივერები იკვლევენ საბჭოთა სისხლის სამართალში თანამონაწილეობის აქტუალურ პრობლემებს.

თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტურ მხარეს ეხება თავის წერილში ვ. კირიჩენკო.

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ბ. ნიკიფოროვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის შესახებ.

5. უცხოელი ავტორების წერილებიდან აღსანიშნავია:

ჩემი წერილი — „დანაშაულთა დაყოფა მათ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით“ (პოლონეთი), ი. ნენოვისა — „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაციის შესახებ“ (ბულგარეთი), კ. ლუტოვისა — „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესახებ“ (ბულგარეთი), ტ. ხორვატისა, ევთანაზია — „მედვიცინის ეთიკისა და სისხლის სამართლის პრობლემა“ (უნგრეთი), ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ლ. ვიშკისა — „სატრანსპორტო დანაშაული“ (უნგრეთი) და ი. ლეჟანისა — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანები“ (გერ).

თითოეული ამ გამოკვლევებიდან მოვიხსენიებ ერთ დამახასიათებელ აზრს:

ი. ანდრევი: სოციალისტურ სახელმწიფოთა სისხლის სამართალში შეიმჩნევა შემობრუნება დანაშაულთა ძველი სამწვეროვანი ორწვეროვანი დაყოფისაკენ სანქციის მიხედვით.

ი. ნენოვი: ბულგარეთის სახალხო კრებამ 1973 წლის 20 ივნისს მიიღო დადგენილება, რომელიც შეიცავს დანაშაულობასთან ბრძოლის გაწილ პროგრამას გამოსაყენებელი სისხლისსამართლებრივი საშუალებების დიფერენციის საფუძველზე.

კ. ლუტოვი: პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია კონკრეტული დანაშაულის; კონკრეტული დამნაშავეს და კონკრეტული სიტუაციის მიმართ ბულგარეთის სისხლის სამართალში ხორციელდება სასჯელის გამასწორებელი მიზნების მნიშვნელობის ზრდის, სასჯელთან ერთად ზემოქმედების სხვა საშუალებათა გაფართოების პარალელურად. ამავე დროს ამას ხელს უწყობს ნდობის ზრდა სასამართლოებისა და სასჯელის შემფარდებელი ორგანოების მიმართ, რომელთაც ძალუძთ მართებულად და თანმიმდევრულად განახორციელონ სოციალისტური სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა.

ტ. ხორვატი: ევთანაზიის ლეგალიზაცია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგება სიცოცხლის დაცვის საერთო პრინციპს. იგი შეუთავსებელია აგრეთვე ექიმის პროფესიის საზოგადოებრივ ფუნქციასთან, სამედიცინო ეთიკის ნორმებთან.

ლ. ვიშკი: სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით სატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენი პირისათვის თავისუფლების აღკვეთის დანიშნვა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება იმსახურებს მკაცრ მსჯავრს, როდესაც მამასადაამე, შეიძლება რეალური იმედი ვიქონიოთ საზოგადოებრივ გაიციხვის ატმოსფეროს შექმნისა.

ი. ლეჟანის: გერმანიის სისხლის სამართლის მეცნიერება უარყოფს იდეოლოგიურ თანაარსებობას კაპიტალიზმისა და იდეალიზმის სისხლისსამართლებრივ დოქტრინებთან, მაგრამ ამავე დროს მას არ უპირავს ცალმხრივი ნეგატიური პოზიცია ძველი გერმანიის ისტორიის და მისი სისხლისსამართლებრივი დოქტრინების მიმართ.

როგორც დავინახეთ, სარეცენზიო წიგნი მეცნიერულ კვლევათა მეტად მდიდარი კრებულაა, რომელსაც ჩვენ მრავალჯერ დავუბრუნდებით, და ყოველთვის პროფ. თინათინ წერეთელზე ფიქრით, ვინაიდან სწორედ ამ განზრახვით უძღვნეს მას მეგობრებმა თავიანთი შრომები.

იპოპ ანდრევი,

ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, სისხლის სამართლის ხაერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

დ ა რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის საერთაშორეო უამრავი წესის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1978 წლის 1 აპრილიდან.
2. დავალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს საქართველოს

სსრ კანონს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

3. დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 29 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ

სსრ კავშირში, რომლის შემაღენლობაში შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორფლებიანობის საფუძველზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხალხის კუთვნილებაა. საბჭოთა სახელმწიფო, ხელმძღვანელობს რა კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ლენინური პრინციპებით, ყველა პირობას ქმნის კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის ძეგლების დაცვისა და ეფექტურად გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და კულტურის ძეგლები ასახავენ წინა თაობათა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ხალხის მასების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რევოლუციურ მოძრაობას, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ისტორიისა და კულტურის ძეგლებში ხორციელდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მნიშვნელოვანი მოვლენები, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლე-

ხობისა და ინტელიგენციის შრომითი გმირობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნისმის აშენებისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და კულტურის ძეგლები მსოფლიოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, მოწმობენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა უდიდეს წვლილს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

სსრ კავშირში ძეგლები ემსახურებიან მეცნიერების, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძობების ჩამოყალიბებას, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მიზნებს.

ძეგლების დაცვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის პატრიოტული მოვალეობა გაუფრთხილდეს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმის გაუმჯობესებას, ამ დარგში კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

I. წიგანდი დგუზღვანი

მუხლი 1. ისტორიისა და კულტურის ძეგლები.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებია ნაგებობანი, სამახსოვრო ადგილები და ნივთები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან ხალხის ცხოვრებაში და საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებასთან, მატერიალური და სულიერი შემოქმედების ნაწარმოებები, რომელთაც ისტორიული, სამეცნიერო, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულება აქვთ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ვანლაგებულ ისტორიისა და კულტურის ყველა ძეგლს სახელმწიფო იცავს.

მუხლი 2. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის ამოცანები

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების დარგში, რათა უზრუნველყოს მათი დაცვა აღსანიშნულ

ლი და მომავალი თაობებისათვის, აგრეთვე ძეგლთა ეფექტური გამოყენება მეცნიერული შესწავლისათვის და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ინტერესების მიზნით მათი პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შედგება „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, ამ კანონისაგან და ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 4. საკუთრება ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე

ისტორიისა და კულტურის ძეგლები წარმოადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას, აგრეთვე კოლმეურნოების, სხვა კოპერაციული ორგანიზაციების მათი გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას და მოქალაქეთა პირად საკუთრებას.


მიწაში, მის ზედაპირზე, წყალში, ძველ ნაგებობებში ან მათ ნაწილებში აღმოჩენილი ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული და სხვა კულტურული ღირებულების მქონე საგნება, რომელთა მესაკუთრის ვინაობა არ შეიძლება დადგინდეს იქნეს ან თუ მესაკუთრემ კანონის ძალით დაეკარგა მათზე უფლება, — წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, თუკი კანონი სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 5. ისტორიისა და კულტურის ძეგლების გასხვისების წესი

ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაყიდვა, გაჩუქება ან სხვა წესით გასხვისება დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისთვის აუცილებელი წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ძეგლების გაყიდვის შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შესყიდვის უპირატესი უფლება.

მუხლი 6. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სახეები

ისტორიისა და კულტურის ძეგლებს ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად მიეკუთვნება ისტორიის ძეგლები — შენობები, ნაგებობები, სამახსოვრო ადგილები და ნივთები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვ-



ლენებთან, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებასთან, რევოლუციურ მოძრაობასთან, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან, სამოქალაქო და დიდ სამამულო ომებთან, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობასთან, საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებასთან, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის, ხალხთა კულტურისა და ყოფის განვითარებასთან, გამოჩენილი პოლიტიკური, სახელმწიფო, სამხედრო მოღვაწეების, სახალხო გმირების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების ცხოვრებასთან;

არქეოლოგიის ძეგლები — ნაქალაქარები, ყორღანები, ძველი დასახლებების, ციხე-სიმაგრეების, საწარმოების, არხების, გზების ნაშთები, ძველი სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველებური ნივთები, ძველი დასახლებული პუნქტების ისტორიული უბნები და კულტურული ფენები;

ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლები — არქიტექტურული ანსამბლები და კომპლექსები, ისტორიული ცენტრები, კვარტალები, მოედნები, ქუჩები, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ძველი დავეგმარებისა და განაშენიანების ნაშთები; სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, საკულტო არქიტექტურის, ხალხური ხუროთმოძღვრების ნაგებობანი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი, ბალ-პარკის ხელოვნების ნაწარმოებები, ბუნებრივი ლანდშაფტები;

ხელოვნების ძეგლები — მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხელოვნების სხვა სახეობათა ნაწარმოებები;

დოკუმენტური ძეგლები — სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტები, სხვა წერილობითი და გრაფიკული დოკუმენტები, კინოფოტოდოკუმენტები და ხმის ჩანაწერები, აგრეთვე ძველი და სხვა ხელნაწერები და არქივები. ფოკლორისა და მუსიკის ჩანაწერები, იშვიათი ნაბეჭდი გამოცემები.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებს შეიძლება მიეკუთვნოს გამოქვაბულები, წყლის გადამცემი ნაგებობები, მეგალითური ნაგებობანი, ტრასები, საწინახლები, ღვინის საცავები (მარნები), ძველი საბრძოლო იარაღი, სამეურნეო იარაღები, კერამიკული ნაკეთობანი, ხეზე კვეთილობა, ნაქვი და ნაქსოვი ნაკეთობანი და სხვა ობიექტები, რომელთაც ისტორიული, მეცნიერული, მხატ-

ვრული თუ სხვა კულტურული ღირებულება აქვთ.

მუხლი 7. სახელმწიფო მართვა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში სახელმწიფო მართვას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთისა და აჭარის ასრ მინისტრთა საბჭოები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე ძეგლები დაცვის სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც აქვთ სპეციალური რწმუნებულებანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები დაცვისა და გამოყენების სპეციალურად რწმუნებულ სახელმწიფო ორგანოებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში წარმოადგენენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ხოლო დოკუმენტური ძეგლებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო და მათი ორგანოები ადგილებზე.

სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოების მითითებანი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების საკითხებზე სავალდებულოა ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის.

მუხლი 8. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენას, აღრიცხვას, დაცვასა და გამოყენებას, ჩააბამენ საზოგადოებრიობას ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენებისა და პროპაგანდის ღონისძიებათა ჩატარებაში, ორგანიზაციას უწყვენ ამ ძეგ-

ლების მიმართ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შეფობას, უზრუნველყოფენ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

მუხლი 9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კომპეტენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და მისი ორგანოები ადგილებზე მათი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო დაცვას, ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ-ში ძეგლების აღრიცხვის, დაცვის, რესტავრაციის, გამოყენებისა და პროპაგანდის საქმეს, ახორციელებენ ამ საქმის დაყენების კონტროლს რესპუბლიკაში.

მუხლი 10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო საქართველოს კომპეტენცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მუშაობას დოკუმენტური ძეგლების გამოვლენისა და შეგროვების საქმეში, სახელმწიფო არქივებში შენახული დოკუმენტური ძეგლების აღრიცხვას, დაცვას, რესტავრაციას, გამოყენებასა და პროპაგანდას, აგრეთვე აღრიცხავს ამ დოკუმენტური ძეგლებს, რომლებიც იმყოფება სხვა უწყებების განკარგულებაში ან წარმოადგენს მოქალაქეთა პირად საკუთრებას.

მუხლი 11. სახელმწიფო კონტროლი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებაზე

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა, უზრუნველყოს ყველა სამინისტროს, უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოს ორგანიზაციის, დაწესებულების და მოქალაქის მიერ ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის დადგენილი წესების შესრულება, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესების დაცვა.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულმდელი ორგანოები და საამისოდ სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლებთან დაკავშირებული გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ობიექტების დაცვა და გამოყენება

ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლებთან დაკავშირებული ბუნების ძეგლებისა და გარემომცველი ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების დაცვას და გამოყენებას უზრუნველყოფენ ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოები აუცილებელ შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტებთან და სხვა დინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 13. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპეტენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოფს მისი მიმდებარებულ დაწესებულებებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვას და გამოყენებას და ასრულებს აკადემიის წესდებითა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.


მუხლი 14. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მონაწილეობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

სახელმწიფო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები ხელს უწყობენ ძეგლების დაცვისა და გამოყენების ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენის, დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის ღონისძიებათა განხორციელებაში, მათ შესახებ ცოდნის გავრცელებაში.

საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს შეუძლიათ შეფობა დააწესონ ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე.

მუხლი 15. კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების ორგანოების ორგანოთა და დაწესებულებათა მონაწილეობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდასა და პოპულარიზაციაში

კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების ორგანოები და დაწესებულებები აქტიურად მონაწილეობენ მოსახლეობაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდასა და პოპულარიზაციის საქმეში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათ



შესახებ ცოდნის გავრცელებას ბავშვებსა და ახალგაზრდობას შორის, ხელს უწყობენ მოსახლეობის ჩაბმას ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში.

მუხლი 16. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები, შემოქმედებითი კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვის, რესტავრაციის და მათ შესახებ ცოდნის გავრცელების ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ისტორიისა და კულტურის ძეგლების შენახვის უზრუნველსაყოფად მიმართულ მუშაობაში ამ ორგანიზაციების წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცულობისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა მოვალეობაა.

სახელმწიფო ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში მოქალაქეები ხელს უწყობენ აუცილებელ სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმის გაუმჯობესების შესახებ წინადადებათა შეტანით და ძეგლების გამოყენებისა და დაცვის წესების მათთვის ცნობილ დარღვევათა შეტყობინებით.

მუხლი 17. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების მონაწილეობა ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენის, დაცვის, გამოყენების, აღრიცხვის და რესტავრაციის ღონისძიებათა განხორციელებასა და მათ შესახებ ცოდნის გავრცელებაში, ჩაბამს მოსახლეობის ფართო მასებს ძეგლების აქტიურად და უშუალოდ დაცვის საქმეში, ეწევა ძეგლების და მათი დაცვისა

და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის პროპაგანდას, ახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცულობასა და სწორად გამოყენებაზე, ეხმარება საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე შეფობის დაწესებაში.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება მონაწილეობს ისტორიისა და კულტურის ძეგლების შენახვის უზრუნველსაყოფად მიმართულ მუშაობაში თავისი წესდებისა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

II. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა

მუხლი 18. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვის ორგანიზაცია

ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მათი კუთვნილების მიუხედავად, ექვემდებარებიან სახელმწიფო აღრიცხვას.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.


მუხლი 19. ისტორიისა და კულტურის ძეგლების მიკუთვნება საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებსათვის

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის ორგანიზაციის მიხედვით უძრავი ძეგლები იყოფა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების მიკუთვნება საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური ან ადგილობრივი მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლებისათვის ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სია

რესპუბლიკური მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიას ამტკიცებს



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარდგენით.

ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურისა და ისტორიის ძეგლების სისამრევს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარდგენით, რაც შეთანხმებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან.

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიიდან ობიექტების ამოიციხვა დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

მუხლი 21. მუხუდებში, ბიბლიოთეკებსა და არქივებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად მუხუდებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, სხვა ორგანიზაციებში და დაწესებულებებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა წარმოებს სსრ კავშირის სამუხუდო და საარქივო ფონდის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22. მოქალაქეთა პირადი საკუთრების ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების ძველბურთი ნივთები, სახვითი და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ნაგებობები, ხელნაწერები, კოლექციები, იშვიათი ნაბეჭდი გამოცემები, სხვა ნივთები და დოკუმენტები, რომელთაც განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება აქვთ, ცხადდება ისტორიისა და კულტურის ძეგლებად და ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას ძეგლების უფრო სრული გამოვლენისა და მათი დაცვის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობის მიზნით.

მოქალაქეები, რომელთაც პირად საკუთრებად აქვთ ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მოვალენი არიან დაცვან ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესები.

III. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა. ძეგლების გამოყენების წესი და პირობები

მუხლი 23. ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენება

ისტორიისა და კულტურის ძეგლები გამოიყენება მეცნიერების, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების, პატრიოტული, იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მიზნით.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენება სამეურნეო და სხვა მიზნით დაშვება, თუ ეს ზიანს არ აყენებს ძეგლების დაცვას და არ ვნებს მათ ისტორიულ-მხატვრულ ღირებულებას.

მუხლი 24. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სარგებლობისათვის გადაცემის წესი

სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს და პირებს სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტული და სხვა მიზნებით სარგებლობისათვის ისტორიისა და კულტურის ძეგლები გადაეცემა იმ წესით და პირობების დაცვით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.


საარბნო გადასახადის განაკვეთებს იმ ძეგლებთან და ნაგებობებთან სარგებლობისათვის, რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს განეკუთვნებიან, ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 25. ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებით მიღებული სახსრების ხარჯვის წესი

ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებით მიღებული ფულადი სახსრები, აგრეთვე ამ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად მიღებული სახსრები, დადგენილი წესით ჩაირიცხება ძეგლების დაცვის იმ სახელმწიფო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, რომელთა გამგებლობაში ძეგლები და მონუმენტები მხოლოდ ძეგლების დაცვის, რესტავრაციის, კონსერვაციისა და რემონტის ღონისძიებებს.

მუხლი 26. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოვალეობები, რომელთა საკუთრებაში ან სარგებლობაშია ისტორიისა და კულტურის ძეგლები

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა საკუთრებაში ან სარგებლობაშია ისტორიისა და კულტურის ძეგლები, პასუხს აგებენ მათი დაცვისათვის და მოვალენი არიან შეასრულონ ძეგლებს დაც-



ვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესები.

მუხლი 27. ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენებისა და რესტავრაციის წესების დადგენა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენებისა და რესტავრაციის წესები განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 28. ისტორიისა და კულტურის ძეგლების ჩამორთმევა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის

ისტორიისა და კულტურის ძეგლები, რომლებსაც იყენებენ არა მათი ხასიათისა და დანიშნულების შესაბამისად და ექმნებათ განადგურების ან გაფუჭების საფრთხე, შეიძლება ჩამოერთვას საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. მოქალაქეთა კუთვნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლების ჩამორთმევის წესი

თუ მოქალაქე ვერ უზრუნველყოფს მასი კუთვნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლის დაცულობას, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად მას სასამართლო წესით შეიძლება ჩამოერთვას ეს ძეგლი სათანადო ანაზღაურებით.

თუ მოქალაქე ისტორიისა და კულტურის ძეგლებს სისტემატურად იყენებს არაპრომითი შემოსავლის მისაღებად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად მას შეიძლება უსასყიდლოდ ჩამოერთვას ეს ძეგლი სასამართლო წესით.

მუხლი 30. სარგებლობისათვის გადაცემულ მიწებზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები მოვალენი არიან უზრუნველყონ მათ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთებზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცულობა.

მუხლი 31. ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია, კონსერვაცია და რემონტი

ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია, კონსერვაცია და რემონტი ხორციელდება მხოლოდ ძეგლების დაცვის

სახელმწიფო ორგანოების ნებართვით და მათი კონტროლით.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაციის, კონსერვაციისა და რემონტის პროექტები შეთანხმებულ უნდა იქნეს ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან.

ძეგლების რესტავრაცია, კონსერვაცია და რემონტი წარმოებს ძეგლების მოსარგებლეთა ან მესაკუთრეთა ხარჯზე, აგრეთვე ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოების ხარჯზე.

მუხლი 32. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონები

ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქმშენებლობის და არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით წესდება დაცვის ზონები, განაშენიანების რეგულირების ზონები და დაცული ბუნებრივი ლანდშაფტის ზონები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონები და მათი მოვლის რეჟიმი წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონები შეაქვთ დასახლებული პუნქტების გენერალურ გეგმებში, დეტალური დაგეგმარების, რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პროექტებში.

აკრძალულია ამ ზონების ფარგლებში მიწის, სამშენებლო და სხვა სამუშაოების წარმოება, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობა სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ძეგლების დაცვის შესაბამისი ორგანოების ნებართვის გარეშე.

მუხლი 33. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის მიზნით სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ორგანიზაცია

თუ ისტორიისა და კულტურის ძეგლებთან მიმდებარე გზებზე ან იმ გზებზე, რომლებიც მათი დაცვის ზონებზე გადიან, სატრანსპორტო საშუალებების, თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა საფრთხეს უქმნის ძეგლების არსებობას, სახალხო დემუკრატია შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სატრანსპორტო საშუალებების, თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა ასეთ გზებზე შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს.

მუხლი 34. ისტორიულ-კულტურული ნაკრძალების დაცვა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავში-

რის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული, ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე ისტორიის და კულტურის ძეგლების ანსამბლები და კომპლექსები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს ისტორიულ-კულტურული ნაქრძალად, რომელთა დაცვა ხორციელდება თითოეული მათგანის შესახებ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

დებულება იმ ისტორიულ-კულტურული ნაქრძალის შესახებ, რომელიც ასეთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოაცხადა, მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 35. ისტორიისა და კულტურის ახლად გამოვლენილი ძეგლების დაცვა ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე ახლად გამოვლენილი ობიექტები, მათი, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანის საკითხის გადაწყვეტამდე, დაცული უნდა იქნეს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ისტორიისა და კულტურის ახლად გამოვლენილი ძეგლების დროებითი დაცვის რეჟიმს განსაზღვრავს ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოები.

საფინანსო ორგანოები, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებები, რომლებსაც გადაეცა ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე ახლად გამოვლენილი განძი და სხვა ობიექტები, მოვალენი არიან აცნობონ ამის შესახებ ძეგლების დაცვის შესაბამის ორგანოს, რომელიც დადგენილი წესით გადაწყვეტს საკითხს მათი, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანისა და შემდგომი გამოყენების შესახებ.

იმ პირებს, რომლებმაც იპოვნეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე განძი, მიეცემა ჯილდო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 36. ისტორიისა და კულტურის ძეგლების მქონე ქალაქების და სხვა დასახლებულ პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმება ძეგლების დაცვის ორგანოებთან

იმ ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის პროექტები, რომელთაც აქვთ ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობის და არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლები, შეთანხმებულ უნდა იქნეს ძეგლების დაცვის შესაბამის ორგანოებთან.

მუხლი 37. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დანგრევის, გადაადგილების, გადაკეთების აკრძალვა

აკრძალულია ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლის დანგრევა, გადაადგილება და გადაკეთება. „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად გამოწვევის ამ წესიდან შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო ნებართვით — საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ძეგლების მიმართ, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგანგებო ნებართვით — რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლების მიმართ.

საწარმოო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელმაც ასეთი ნებართვა მიიღო, ძეგლის დანგრევისას, გადაადგილებისას ან გადაკეთებისას მოვალეა უზრუნველყოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვა, ხოლო ძეგლების დაცვის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო მოვალეა ჩაატაროს ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და ფიქსაციის სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება იმ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის, რომელმაც მიიღო ძეგლის დანგრევის, გადაადგილების ან გადაკეთების ნებართვა.

მუხლი 38. სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოებისას ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა.

სამშენებლო, მელიორაციული, საგზაო და სხვა სამუშაოები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ან შეარბიროს მათი მხატვრული ღირებულება, წარმოებს მხოლოდ ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით და ძეგლების შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ. იმ სამუშაოთა წარმოება, რომლებსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას არქეოლოგიის ძეგლების არსებობას, აგრეთვე



უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასაც.

სამშენებლო, მელიორაციული, საგზაო და სხვა სამუშაოების პროექტებში უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძეგლების დაცვის და ამასთან ეს პროექტები უნდა შეთანხმებულ იქნეს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან. ამ ღონისძიებებში შედის ძეგლების გამოვლენა, მათი გამოკვლევა და ფიქსაცია, გადაადგილება წარმოებულ სამუშაოთა ზონის ფარგლებს გარეთ, ნივთიერი ნაპოვნის გადაცემა მუზეუმისათვის ან სპეციალური საცავისათვის და სხვა სახის სამუშაოები ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოების მიზნით.

აღნიშნულ ღონისძიებათა დაფინანსება ხდება იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომლებიც ასრულებენ სამშენებლო, მელიორაციულ, საგზაო და სხვა სამუშაოებს.

სამუშაოების წარმოების პროცესში ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე არქეოლოგიური ან სხვა ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში ისწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან აცნობონ ამის შესახებ ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებს და შეაჩერონ სამუშაოთა წარმოება.

მუხლი 39. ისტორიისა და კულტურის ძეგლებისათვის საშიში სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების შეჩერება

ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ სამშენებლო, მელიორაციული, საგზაო და სხვა სამუშაოების წარმოება, თუ სამუშაოების წარმოების დროს საფრთხე ექმნება ისტორიისა და კულტურის ძეგლებს ან ირღვევა მათი დაცვის წესები.

აღნიშნულ სამუშაოთა წარმოების განახლება დაიშვება მხოლოდ იმ ორგანოს ნებართვით, რომელმაც მიიღო მათი შეჩერების გადაწყვეტილება.

მუხლი 40. არქეოლოგიის ძეგლების გათხრების და დაზვერვის წარმოება

არქეოლოგიის ძეგლების გათხრებისა და დაზვერვის წარმოება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნებართვა (ლია ფურცელი), რომელიც გაცემული და რეგისტრირებულია დადგენილი წესით.

გათხრისა და დაზვერვის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დადგენილი

წესით აცნობონ გათხრისა და დაზვერვის შედეგები და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გადასცენ ისტორიისა და კულტურის აღმოჩენილი ძეგლები.

ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც აწარმოებენ არქეოლოგიურ სამუშაოებს, მოვალენი არიან უზრუნველყონ ძეგლების დაცულობა.

სახალხო დემუკრატია ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელს უწყობენ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაში, ისტორიისა და კულტურის აღმოჩენილი ძეგლების დაცულობის უზრუნველყოფაში.

მუხლი 41. ისტორიისა და კულტურის ძეგლების შეკრება

ძველებური დოკუმენტური ძეგლების, ძველებური ფერწერისა და ძველებური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შეკრება ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ აქვთ დადგენილი წესით გაცემული და რეგისტრირებული სპეციალური ნებართვა.

მუხლი 42. ისტორიისა და კულტურის ძეგლების შეკრებისათვის სპეციალური ნებართვის გაცემა და რეგისტრაცია


საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ძველი ფერწერისა და ძველი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შეკრებისათვის ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს სპეციალური ნებართვის აძლევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და ამ ნებართვის რეგისტრაცია ხდება კულტურის შესაბამის ადგილობრივ ორგანოში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ძველი დოკუმენტური ძეგლების შეკრებისათვის ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს სპეციალური ნებართვის აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო და ამ ნებართვის რეგისტრაცია ხდება შესაბამის ადგილობრივ საარქივო ორგანოში.

მუხლი 43. ისტორიის და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ გატანის აკრძალვა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ გატანა აკრძალულია.

ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებული ნებართვით, რომელიც გაციმა



სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 44. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დროებით გატანის წესი

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად საერთაშორისო კულტურული გაცვლის განვითარების მიზნით ნებადართულია ისტორიისა და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დროებით გატანა იმ წესებისა და პირობების დაცვით, რომელთაც თითოეულ შემთხვევაში სპეციალურად აღგენს სსრ კავშირის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 45. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დროებით შემოტანილი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა

შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, კულტურული გაცვლის მიზნით, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დროებით შემოტანილ უცხოეთის სახელმწიფოების, ორგანიზაციებისა და პირების კუთვნილ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს სახელმწიფო იცავს.

ციული, ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 47. ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენა და ზარალის ანაზღაურება ძეგლის დაზიანების შემთხვევაში

საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება და მოქალაქე, რომელმაც დაზიანა ისტორიისა და კულტურის ძეგლი ან მისი დაცვის ზონა, მოვალეა წინანდელ მდგომარეობაში აღადგინოს ძეგლი ან მისი დაცვის ზონა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ანაზღაუროს მიყენებული ზარალი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად. ძეგლის ან მისი დაცვის ზონის აღდგენა ხორციელდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაციის დადგენილი წესების დაცვით.

თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა მიზეზით საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზარალები გაიღეს, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

IV. პასუხისმგებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

V. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 46. პასუხისმგებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესების შეუსრულებლობაში, მათი დაცვის ზონების რეჟიმის დარღვევაში, აგრეთვე ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებში, ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, ან სხვა სახის პასუხისმგებლობა დადგენილი წესებით.

მუხლი 48. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესახებ

თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონმდებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **პ. გილაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1977 წლის 29 დეკემბერი.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 29-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

52-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი და ამასთან დაკავშირებით ამ მუხლის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებად;

53-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ის პირნი, რომლებიც სასჯელს იხდიან

შრომა-გასწორების კოლონიებში და საპყრობილეებში, მათზე დარიცხული ხელფასიდან ანაზღაურებენ კვებისა და ტანსაცმლის ღირებულებას, გარდა სპეცტანსაცმლისა და სპეციალური კვების ღირებულებისა. ამ ხარჯების ანაზღაურების შემდეგ დარიცხული ხელფასიდან წარმოებს დაქვითვები აღმასრულებელი ფურცლებით და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით იმ წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 434-438 მუხლებით. როგორც გამოწვევისადმი ამ წესიდან, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის გადასახდელი ალიმენტები გამოიანგარიშება მსჯავრდებულის მიერ გამოშვებულ მთელი თანხიდან, შრომა-გასწორების დაწესებულებათა ხარჯების ასანაზღაურებელი ნაწილის ჩათვლით და დაეკავებათ ამ ხარჯების ანაზღაურებამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **მ. ლაშქარაშვილი**

თბილისი
1978 წლის 17 თებერვალი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოქალაქეების მიერ სამეურნეო და სახელოსნო-სამშენობლო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ დადგენილი ნებართვის ან სათანადოდ დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა პროექტისაგან არსებითი გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით მოქალაქის მიერ აგებული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობა და ნაგებობა სახალხო დებუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად უნდა დაანგრიოს თვითნებურად აშენებულმა მოქალაქემ, ან იგი დანგრეულ უნდა იქნეს მის ხარჯზე.

2. დაწესდეს, რომ მოქალაქე, რომელსაც ბრალი მიუძღვის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობის და ნაგებობის თვითნებურ მშენებლობაში, თუ ეს ქედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით, დაჯარიმდება აღმინისტრაციული წესით თანხით 50 მანეთამდე სახალხო დებუტატთა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სიდაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული აღმინისტრაციული კომისიების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **პ. გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **მ. ლაშქარაშვილი**

თბილისი.
1978 წლის 23 თებერვალი.

რ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს შემსახვე

საკოორდინაციო საბჭო იქმნება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ძალისა და საშუალებების გაერთიანებისა და მათი საქმიანობის კოორდინირებისათვის ამ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან: რესპუბლიკის პროკურორი (თავმჯდომარე), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი.

კოორდინაციის ძირითადი ამოცანაა ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებათა განხორციელების გზით უზრუნველყოფილ იქნას სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი აცილების ღონისძიებათა ეფექტურობა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება.

კოორდინაციის განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ყველა შემთხვევაში ხდება კოორდინირება მხოლოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციისა, რაც ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საერთოა. ის სპეციფიკური ფუნქციები, რომლებსაც, მართალია, კავშირი აქვს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მაგრამ ცალკეულ ადმინისტრაციულ ორგანოთა განსაკუთრებული კომპეტენციაა (პროკურორების ზედამხედველობა კანონების შესრულების მიმართ, სასამართლოების მიერ კონკრეტული საქმეების განხილვა, შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის ტაქტიკა და მეთოდოლოგია ა. შ.) კოორდინაციას არ ექვემდებარება.

საბჭოს ამოცანაა ხელი შეუწყოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ყველა საშუალებებისა და მეთოდის უკეთ გამოყენებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის, აღკვეთოს დუბლირება მათსა საქმიანობაში და ებრძოდეს ისეთი ვი-

თარების შექმნას, როცა საუწყებო ინტერესებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებსაც საკოორდინაციო საბჭო პრაქტიკულად ახორციელებს, შემდეგია:

— დამნაშავეობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ერთობლივი შესწავლა;

— ერთობლივი გასვლა ადგილებზე შემოწმებისა და პრაქტიკული დახმარებისათვის;


— სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეულ პერიოდში ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შედეგების პერიოდული განხილვა.

— შესაბამისი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციების განხილვა ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებებისა და კოორდინაციის ორგანიზაციის საკითხებზე.

— დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებათა კოორდინაციის გამოცდილების შესწავლა-განზოგადება და მათსა საქმიანობაში ერთობლივი მოქმედების ორგანიზაციის უფრო თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების, ასევე, მუშაობის გამოცდილების დაწერვა;

— სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე საერთო წინადადებების და ინფორმაციების შემუშავება პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში შესატანად;

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კატეგორიის დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლის სასამართლო-საპროკურორო პრაქტიკის ერთობლივი შესწავლა-განზოგადება, საჭირო შემთხვევებში ცალკეული მნიშვნელოვანი საქმეების ერთობლივი განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება მათი გამოყენებისა და სრულყოფილი გამოძიების უზრუნველსაყოფად;



— ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მუშაობა ერთობლივი სწავლებისა და ერთობლივი თათბირ-სემინარებისათვის პროგრამებისა და თემატიკის შემუშავება;

— საკოორდინაციო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ორგანიზაციული პრინციპებით:

— ურთიერთშეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელებისას კანონიერების მკაცრად დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება;

— მოქმედებათა შეთანხმებულობა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საერთოა.

— ყოველი ორგანოს ინიციატივა აქტუალური საკითხების დასაში ერთობლივი განხილვა-გადაწყვეტისათვის;

— საბჭოს ყველა წევრის თანასწორობა საკითხების განხილვისა და რეკომენდაციების შემუშავებაში;

— ყოველი ორგანოს დამოუკიდებლობა მიღებულ რეკომენდაციათა განხორციელებაში;

— ერთი ორგანოს ჩაუტრევლობა მეორის განსაკუთრებულ კომპეტენციაში;

საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელებისას, როგორც რესპუბლიკაში მთლიანად, ისე ადგილებზე, ყველაზე ძირითად მიმართულებად, საითყენაც უნდა წარიმართოს ადმინისტრაციული ორგანოების ყველა შესაძლებლობა, მიჩნეულ იქნეს:

ა) პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების აქტიური პროფესიონალური საქმიანობა სამართალდარღვევების, მათი მიზეზებისა და ხელშემწყობ გარემოებათა აცილებისათვის.

ბ) სოციალისტური საკუთრების დაცვების, სახელმწიფოს მოტყუების, მიწრების, უყაირათობისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

გ) ურთიერთშეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელება არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და მათ ხელისშემწყობ გარემოებათა აღსაკვეთავად.

დ) ბრძოლის კვლავ გაძლიერება ლოთო-

ბასა და მუქთახობობასთან, ხულოგნობის და იმ სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობს დამნაშავეობის ზრდას.

საკოორდინაციო საბჭოს, რესპუბლიკასა და მის ცალკეულ რეგიონებში შექმნილი ობერატიული ვითარების მიხედვით, შეუქმლია შემდგომი და განახორციელოს ერთობლივი ღონისძიებები სხვა აქტუალური პრიბლე-მების გადასაწყვეტად.

საბჭოს წევრები აწარმოებენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ამ საქმეში თანა-ვიანთი მნიშვნელოვანი ღონისძიების თაობაზე.

საკოორდინაციო საბჭო პერსპექტიული წლიური გეგმის შესაბამისად მუშაობს და კვარტალში ერთხელ ატარებს სხდომებს. საკითხების განხილვის შედეგებზე და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საბჭო დაქვემდებარებულ ორგანოებს უგზავნის ერთობლივ წერილებს, რეკომენდაციებს, ასევე ვანზოვადებებსა და მიმოხილვებს სასამართლო-საპროკურორო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ყოველი ორგანოს ხაზით დამატებით ღონისძიებათა გატარების აუცილებლობის შესახებ, ახორციელებს კონტროლს დასახულ ღონისძიებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმართ.

თავისი სხდომებისათვის მასალების მოსამზადებლად და მუდმივი ურთიერთკავშირისათვის საკოორდინაციო საბჭო ქმნის სამუშაო გჯგუხს ოთხივე ორგანოს წარმომადგენლებისაგან; დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკეული პრობლემების შესწავლა-დამუშავებისას, საჭირო შემთხვევებში იწვევს სათანადო სპეციალისტებს;

საკოორდინაციო საბჭოს მთელ საქმიანობას სათავეში უდგას და წარმართავს თავმჯდომარე, რომელიც ამტკიცებს საბჭოს სხდომის ოქმს.

საბჭოს მდივანი ორგანიზაციის უკეთეს საკითხების ერთობლივ მომზადებასა და სხდომების მოწვევას, გეგმებისა და ღონისძიებების შემუშავებას და სხვა პრაქტიკულ მუშაობას, აფორმებს სხდომის ოქმს, რომელიც ეგზავნება საბჭოს ყველა წევრს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

ქვეყნის

საპარტიო სსრ იუსტიციის სამინისტროს აქტივის კრება

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს აქტივზე, რომელმაც განიხილა საკითხი „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მოთხოვნათა, სკვპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების, საქართველოს კომპარტიის VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ“ — სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების ამოცანების შესახებ“, მოწვეულ იყვნენ აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროების, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სასამართლოების თავმჯდომარეები, მოსამართლეები, აღმასრულებლები, ნოტარიუსები, იურიდიული სამსახურისა და მმჩის ორგანოების წარმომადგენლები, კანცელარიის მუშაკები.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ნ. მსმტრძვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ბ. ბმბტბქ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ბბბბბქ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მინისტრი ბ. შშშბბბშვილი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ბ. ბბბბბქ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ზ. რბბბბნი, ბ. ბბბბბქ და ბ. ბბბბბშვილი.

მოსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ბ. შშშბბბშვილი.

შარშანდელი წელიწადი — თქვა მომხსენებელმა — განსაკუთრებული იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. შარშან ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესამოცე წელი, 1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ იქნა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, კიდევ უფრო მყარი და სამიერო გახდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, შესამჩნევად გაუმჯობესდა საბჭოთა აღმშენებლის ცხოვრების პირობები.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკვპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენი-

ლება თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ შეურატებელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ დამახინჯებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებიდან გადახვევას, რასაც ფართოდ ჰქონდა ფენი მოკიდებულია წლების მანძილზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ უკვე გვაქვს პირველი წარმატებები, იგრძნობა წინსვლა, გაუმჯობესდა შორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, გადახალისდა კადრები.

შარშან დეკემბერში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი, რომელმაც დიდი ყურადღება დაეთმო იმ ამოცანების გადაწყვეტას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული კანონიერებისა და შრომითი დისციპლინის შემდგომ განმტკიცებასთან. პლენუმმა რესპუბლიკის აღმინისტრაციულ ორგანოებს დაავალა 1978 წლის ბოლოს ანგარიში ჩაბარონ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ.

ასეთი დიდი და პასუხსაგები ამოცანის წინაშე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო არასოდეს მდგარა. ბუნებრივია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პირნათლად წარვსდგეთ ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ეს იქნება არა მარტო სამინისტროს ხელმძღვანელობის, არამედ მთელი სისტემის, იუსტიციის ორგანოების თვითეული მუშაკის ანგარიში.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რასაც რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოებმა ბოლო ხანს მიადწიეს, მოყვანა კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობა, ამაღლდა გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, გამოცოცხლდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი მულმივოქმედი კურსების საქმიანობა და სხვა.

თვითეული მოსამართლე, ნოტარიუსი, დევკატი თუ იუსტიციის ორგანოების სხვა მუშაკი — განაგრძობს ა. შუშანაშვილი —



ფართოდ ერუდირებული, კვალიფიციური და ამავე დროს კულტურული ადამიანი უნდა იყოს. საქიროა იგი არა მარტო სამართლებრივ საკითხებში ერკვეოდეს, არამედ ზედმიწევნით იცოდეს თავისი რაიონისა თუ ქალაქის ეკონომიკა და სამეურნეო გეგმები, დანაშაულობათა დინამიკა, ყველაფერი, რაც დამახასიათებელია იმ კუთხისათვის, სადაც უკამოღაწეობს. სამწუხაროდ, რამდენიმე მოსამართლესთან გასაუბრებამ იმაში იუგავარქმუნა, რომ აღნიშნული მონაცემები კი არა, მათ ის მთავარი საკითხებიც არ იციან, რომლებიც მოსამართლეთა პირდაპირი მოვალეობაა.

ეს ფრიალ დამაფიქრებელია. ალბათ ყველა მოსამართლეს, ნოტარიუსს, ადვოკატს, იურიდიული სამსახურისა თუ იუსტიციის ორგანოების სხვა მუშაკს მოუწევს იმაზე ზრუნვა, რომ ყოველდღიურად აიმაღლოს პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონე, იცოდეს, თუ რა ხდება მის ირგვლივ, გაბედულად ჩიებას საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ცალკეული სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობაზე, ანალიზი გაუკეთა მათ მიერ 1977 წელს გაწეულ საქმიანობას და ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჭერ კიდევ არის აპარატის მუშაობაში.

კანონპროექტების, სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის მომზადების სამმართველოს უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით მომზადდა დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, მზად არის, აგრეთვე საქართველოს სსრ ტყის კოდექსის პროექტი, რუსულ და ქართულ ენებზე გამოვიდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, სულ მალე გამოვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამავე დროს, გამოსაცემად მზადდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები.

დღეისათვის მეტად საბასუხისმგებლო ამოცანა დგას იუსტიციის სამინისტროს წინაშე. ახალი კონსტიტუციის შესაბამისად უნდა გაიხიზოს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები და განისაზღვროს მათი მოქმედების არე. ჩვენვე უნდა მოვაშალოთ დასახლებით 40 ახალი ნორმატიული აქტი. იგი მეტად შრომატევადი სამუშაოა და სამმართველომ უნდა გაითვალისწინოს ეს.

დიდა ყურადღება ექცევა მოქმედი კანონმდებლობის კრებულების დასაბეჭდად მომზადებას და გამოცემას. ამ საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობს რესპუბლიკის ბევრი გა-

მოჩენილი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტი. ზემდგომი ორგანოების ყურადღებისა და მხარდაჭერის შედეგად უკვე გამოვიდა მოქმედი კანონების პირველი ორი ტომი, ხოლო მალე ხელისმომწერები ამ კრებულის მომდევნო ტომებსაც მიიღებენ.

ახალ კონსტიტუციაში — განაგრძობს მომხსენებელი — სპეციალური თავი დაეთმო სასამართლოს, არბიტრაჟს. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება კონსტიტუციურ რანგადღა აყვანილი. ეს კი სამინისტროს პასუხისმგებლობასაც ზრდის, რამდენადაც სახალხო სასამართლოებისადმი საერთო ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სწორედ ჩვენ გვაკისრია.

სასამართლოების მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყოველ საქმეზე გამოიტანოს კანონიერი განჩენი და გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, სწორედ აქ სცოდავენ ჩვენი სახალხო მოსამართლეები, რომელთა მუშაობაშიც უფრო დიდი ნაკლი არ შეიძლება იყოს, ვიდრე უკანონო განჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანა. ასეთი ფაქტები კი იშვიათი როდია. ამაზე მეტყველებს განჩენითა სწორი გაუქმება და შეცვლა, რაზედაც პასუხს მკაცრად არავინ აგებს. უფრო მეტიც, სასამართლო ორგანოების სამმართველო ღრმად და ბოლომდე არ სწავლობს რა იწვევს აქას. საქმე იქამდე მიდის, რომ აღვილებზე თვით სახალხო სასამართლოები არ განიხილვენ იმ მიზეზებს, რამაც მათი განჩენის თუ გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა გამოიწვია.

გასულ წელს სამინისტრომ შეისწავლა უკანასკნელი ხუთი წლის დასჯითი პრაქტიკა. გამოირკვა, რომ ამ მხრივაც არ გვაქვს კარგი საერთო მაჩვენებლები, თუმცა, სტატისტიკის მიხედვით ზოგან გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ, მაგრამ საქმე სტატისტიკაში როდია. საქიროა თვითთულმა განმარტულმა შემთხვევამ დროზე ჰპოვოს თავისი კანონიერი დასასრული, რადგან დამნაშავეისათვის სამართლიანი ან ლმობიერი სასჯელის დანიშვნას სწრაფად იგებს მოსახლეობა და მას ათასნაირი მითქმა-მოთქმა მოსდევს. მოსამართლეებს უნდა შესწევდეთ იმის უნარი, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უზუსტად, კანონის უმკაცრესი დაცვით გამოიტანონ განჩენები. სამწუხაროდ, არის იმის ფაქტები, როდესაც მოსამართლენი ერთი და იგივე სახის დანაშაულისათვის მკაცრად სჯიან დამნაშავეს, ზოგჯერ კი პირიქით, უფარდებენ ყოვლად გაუმართლებელ, ლმობიერ სასჯელსაც. მოვრალმა მწარააშვილმა, რომელიც სასჯელს იხდიდა ადრე ჩადენილი

ქურდობისათვის, უხეშად დაარღვია ქუჩაში მოძრაობის წესები, გადავიდა გზიდან და დაეჯახა მგზავრს. ვითომ დახმარების აღმოჩენის მიზნით მძღოლმა მანქანაში ჩაისვა გონწასული დაზარალებული, მაგრამ შემთხვევის აღგლიდან სამსიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, როდესაც ქუჩაში გადააგდო ქალი, რომელიც აღვიწვევ ვარდიცვალა.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ამ მძიმე დანაშაულისათვის მწარააშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამავე სასამართლოს განაჩენით ძელურს, რომელმაც ავტოავარიის დროს სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა მოქალაქეს, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ასეთი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, კიდევ შეიძლება. ცხადია, როცა ხალხი ამას ხედავს, მათი დამოკიდებულებაც სასამართლოებისადმი იცვლება, ნაკლებად სჭედათ, რომ სასამართლოები დროულად და ხარისხიანად დაიცავენ მათს კანონიერ უფლებებს.

მინისტრი ვრცლად შეჩერდა სასამართლო პროცესების ჩატარების და სასამართლო დოკუმენტების შედგენის კულტურაზე, საპროცესო ნორმების დაცვაზე, პროცესებში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობაზე. აქვე აღნიშნა, რომ ზოგან დამკვიდრებულია მცდარი პრაქტიკა, როდესაც ჰყავთ ეგრეთწოდებული მუდმივი საზოგადოებრივი დამცველები და ბრალმდებლები. მართალია, კერძო განჩინებები გამოაქვთ, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა მათს აღსრულებას და სხვა.


მომხსენებელი ცალკე შეჩერდა ადვოკატურის, ნოტარიატის და მმართველობის სამმართველოს მუშაობაზე.

ყოველწლიურად რესპუბლიკაში სრულდება ერთ მილიონზე მეტი სანოტარო მოქმედება, რეგისტრაცია უკეთდება 800 ათასზე მეტ სამოქალაქო სამართლის ნორმატიული ხასიათის საბუთებს, ადვოკატები იურიდიულ მომსახურებას უწევენ 15 ათასამდე კაცს, შრომატევადია მმართველობის მუშაკთა საქმიანობაც. ცხადია, ასეთი მომსახურება დაძაბულ შრომას მოითხოვს. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუჭოლებსა სანოტარო კანტორებისა და მმართველობის საბუთო პირობები. ამ უბნებზე სამუშაოდ გაიზარდნენ გამოცდილი და კვალიფიციური კადრები, მაგრამ ნაკლი მაინც ბევრია. დღევანდელი მოთხოვნილებების დონეზე არ დავს

ყველა სანოტარო კანტორისა და ნოტარიუსის მუშაობის კულტურა, დაბალია მოსახლეობის მომსახურების დონე, ვხვდებით ფაქტებს, როდესაც უხეშად ირღვევა სანოტარო მოქმედებათა ნორმები და სხვა. ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს ადვოკატურის, ნოტარიატის და მმართველობის სამმართველომ და გააუმჯობესოს როგორც თავისი, ისე დაქვემდებარებული დაწესებულებების მუშაობა.

მომხსენების დასასრულს ა. შუშანაშვილმა მიმოიხილა იუსტიციის სამინისტროს სხვა სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობა, აღნიშნა მათი წარმატებები და ნაკლოვანებები, მოიყვანა სათანადო კონკრეტული მაგალითები და გამოთქვა რწმენა, რომ მთელი კოლექტივი დაუღალავად იშრომებს, რათა პირნათლად შესრულდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დაწესებულებები, გამოსწორდეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

მომხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრმა ბ. სიმონიძემ აქტივის მონაწილეებს გააცნო სასამართლოს, პროპაგანდის, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის, ნოტარიატისა და მმართველობის საზოგადოებრივი მუშაობა და აღნიშნა, რომ აფხაზეთის სასამართლო და იუსტიციის ორგანოებმა, რომლებიც თავიანთ მუშაობას წარმართავენ ზემდგომი ორგანოების მითითებების საფუძველზე, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლოვანებები არა გვაქვს. ორატორმა აკაკიტიკა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო, რომელთა მუშაობები სწორად, თითქმის სისტემატურად არიან აღვიღებზე შესამოწმებლად, მაგრამ ძირითადად მხოლოდ ფაქტების ფიქსაციით კმაყოფილდებიან. საჭირო კია ახალგაზრდა მუშაკებს აღმოუფინოთ პრაქტიკული და ქმედითი დახმარება, ჩვეუტაროთ კვალიფიციური კონსულტაციები იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის კონკრეტული საკითხი. სწორედ ასეთ დახმარებას მოვლიან აფხაზეთის სასამართლოები ზემდგომი ორგანოებთან და ვფიქრობთ, შემოწმებასაც მხოლოდ მაშინ ექნება აზრი და შედეგი. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ უფრო დახვეწოს ურთიერთშორის გაჩაღებული სოც-შეჭიბრის ფორმები, დაწეროს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება სამართლებრივი პროპაგანდის, ნოტარიატის, აღმასრულებლების და იუსტიციის ორგანოების სხვა დას-



გების წარმომადგენელთა შორის, ხშირად მოაწყოს მოწინავეთა დაჯილდოვება და წახალისება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოები — თქვა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ დ. თამაზაშვილმა — გარკვეულ მუშაობას ეწევიან დანაშაულობასთან ბრძოლის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, ადამიანთა კომუნისტური სულისკვთებით აღზრდის საქმეში. ეს საქმიანობა ხორციელდება ერთიანი გეგმით, რომელიც დამტკიცებულია პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად აჭარაში შეინაშნება დანაშაულობათა შემცირების ტენდენცია, მაგრამ მისი საერთო დონე მაინც მაღალია. ამას ის უწყობს ხელს, რომ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ზერეულ დამოკიდებულებას იჩენენ სახელმწიფო ქონების შენახვისადმი.

უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდა ჩვენს ავტონომიური რესპუბლიკას სასამართლო ორგანოთა საქმიანობა, მაგრამ ნაკლოვანებები მაინც გვაქვს. ჯერ კიდევ არა ვართ დაზღვეული ფორმალისმიანობაზე, ჩატარებული ღონისძიებები ყოველთვის არაა სათანადოდ ორგანიზებული, დაბალია მათი თეორიული დონეც. სასამართლოთა მიერ გამოტანილი კერძო განჩინებები ხშირად ინფორმაციული ხასიათისაა, ხოლო თუ როგორ ხდება მათზე რეაგირება, ეს საკითხი უკონტროლოდ არის დარჩენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. მანხარაძემ თავისი გამოხვლა მიუძღვნა იმ სიძნელეებს, რასაც ისინი ყოველდღიურად ხვდებიან.

1977 წელს ქალაქის სასამართლომ შეისწავლა რამდენიმე კატეგორიის საქმეთა სასამართლო პრაქტიკა. გამოირკვა, რომ სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს ქ. თბილისში ერთიანი პრაქტიკა არ არის და კანონიც ადვილად ირღვევა. დღეს, როდესაც ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ შეუძრავი ბრძოლაა გაჩაღებული, თბილისის სახალხო სასამართლოებში და მათთან ერთად საქალაქო სასამართლოს მუშაკებთან, ერთგვარად შეასუსტეს ყურადღება ისეთი საქმეების სწორად გადაწყვეტისადმი, როგორცაა დანაშაული სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

განსაკუთრებულ გვაწუხებს რაიონული აღმასკომების საჩივართა განხილვის საკითხი. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოირკვა, რომ ვახშირდა იმის მცდელობა, როდესაც უნდათ უკანონოდ ჩაიგდონ ხელში კომპერათიული თუ კომუნალური ბინები. ამ საკითხების გადაწყვეტისას შეცდომებს უშვებენ აღმასკომის მუშაკები, მაგრამ ყოველად შეუწყნარებელია, როცა სასამართლოები ბინების გამანაწილებლის როლში გამოდიან, ან პირიქით აერთიანებენ ორ ბინას ერთად. ამის უფლება სასამართლოს არა აქვს.

ქალაქის სასამართლო, თბილისის სახალხო სასამართლოებთან ერთად — თქვა შ. მანხარაძემ — ბევრი პრობლემატური საკითხის წინაშე დგას. მათ გადასაწყვეტად და იმისათვის რომ პირნათლად შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა, დაუღალავი მუშაობა მოგვეწიგნოს.

სიტყვა ეძლევა სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ვ. შარბახტაძეს. ოლქის სასამართლო ორგანოებში — თქვა მან — პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობისა და ყურადღების შედეგად მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. ავტონომიური ოლქის სახალხო სასამართლოები დაეყვით ზონებად და თვითნებურ მათგანს მოვამატეთ საოლქო სასამართლოს წევრები. ამან კი საშუალება მოგვცა უშუალოდ ადგილებზე შეგვესწავლა სახალხო მოსამართლეთა კვალიფიკაცია და გაგვეტარებინა ქმედითი ღონისძიებანი მათი პრაქტიკული დახმარებისათვის. უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენი ოლქის სასამართლო ორგანოებში სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა.

კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე რუსთავის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. მანხარაძემ, ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს სხდომის მდივანი დ. ვაჟაშვილი, ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლე ტ. დამთაშვილი, ქ. სოხუმის ნოტარიუსი ბ. ჯინჯოლაძე, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების გამგე ბ. თამაზაშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი ი. ჩიკვაძე და სხვები.

აქტივზე ვრცელად სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ნ. ოსმინოვმა.

ბ. არსენაშვილი.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის

ჩატარდა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორებისა და პროკურატურების პარტორგანოების მდივნების მონაწილეობით.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. ი. გვეტაძე, სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრი, საკონტროლო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი ლ. თ. რემნევი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი ბ. ი. გორდევი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის, უმაღლესი სასამართლოს მუშაკები.

კოლეგიამ მოისმინა საქართველოს სსრ პროკურორის ლ. გ. თალაკვაძის მოხსენება — რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების 1977 წლის მუშაობის შედეგების და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანების შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ ცკ მისის, ოქტომბრისა და დეკემბრის (1977 წლის) პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცკ გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებათა და გამოსვლათა დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: აფხაზეთის ასსრ პროკურორმა ვ. ვ. ვარდიამ, აჭარის ასსრ პროკურორმა გ. გ. ბორჩხაძემ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა ვ. მ. კვიციანიამ, გორის რაიპროკურორმა ე. გ. ბაღრაძემ, თერჯოლის რაიპროკურორმა გ. ე. ვაჭარაძემ, სამტრედიის ტრანსპორტის პროკურორმა მ. ა. მანაშაძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა ვ. მ. ბუხტურმა, ქ. თბილისის პროკურატურის პარტიბუროს მდივანმა გ. ფ. ნადაურეშვილმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბირველმა მოადგილემ ვ. ი. შაღურმა, სსრ კავშირის პროკურატურის საკონტროლო-საინსპექტორო განყოფილების უფროსმა ლ. თ. რემნევმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. ი. გვეტაძემ.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ პროკურატურის ორგანოების მთელი საქმიანობის ძირითადი არსი — ეს არის პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც მიმართულია სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

გამახვილებულ იქნა ყურადღება საპროკურორო ზედამხედველობის დონისა და ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობაზე, მის გავლენაზე სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაზე, სამართალდაცვით და სახალხო კონტროლის ორგანოებთან კოორდინაციის გაუმჯობესების, საზოგადოებასთან კავშირის განმტკიცების შესახებ.


მნიშვნელოვანი დონისძიებები ხორციელდება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროპაგანდის, საბჭოთა კანონებისა და ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის განმარტების მიზნით.

პროკურატურის ყურადღების ცენტრშია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების, უყაირათობის, მფლანგველობის, სახელმწიფოს მოტყუების, შრომათი და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მკაცრად დაცვის საკითხები.

გასულ წელს საპროკურორო ზედამხედველობა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულებაზე უფრო აქტიურად და მზანდისასხულად ხორციელდებოდა, პროკურორები უფრო პრინციპულად ახდენდნენ რეაგირებას კანონების გამოვლენილ დარღვევებზე, უფრო ფართოდ იყენებდნენ სამართლებრივ საშუალებებს სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით.

ამაღლა პროკურატურის საგამოძიებო აპარატის როლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებების საქმეთა გამოძიებაში. ლაგოდების, გარღბნის, ზუგდილისა და სხვა რაიონებში გამოვლენილ იქნა სახალხო დოვლათის გამტაცებელთა ჯგუფები.

ამასთან, აღინიშნა, რომ ყველგან არ იღებდნენ ზომებს საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტურობის ძირეულად ამაღლების მიზნით, კანონიერების დარღვევების აღსკვე-



თად და აღმოსაფხვრელად. კრიტიკული შე-
ნიშვნები გამოითქვა თეორიწყაროს, ჩოხატა-
ურის, წულუკიძის, წაღვისა და ზოგი სხვა
რაიონის პროკურატურის მისამართით.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა,
რომ საჭიროა უფრო მწვავედ მოხდეს რეაგირება
მმართველობის ორგანოების თანამდებობის
პირთა მხრივ შრომის დაცვის, გაც-
დნებთან ბრძოლის, უკანონო დათხოვების,
შრომის კანონმდებლობის სხვა დარღვევების
საღმე უპასუხისმგებლო დამოკიდებულების
ფაქტებზე.

ხაზი გაესვა, რომ საპროკურორო ზედამ-
ხედველობის ქმედითობა განისაზღვრება
უნარიით, მიიყვანო საქმე ბოლომდე. ეს არის
პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხი,
რომელსაც უნდა დაეთმოს შეუწყნებელი ყუ-
რადღება.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმ-
ტკიცების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწი-
ლად კვლავ რჩება სამართალდარღვევათა თა-
ვიდან აცილება არასრულწლოვანთა შორის.
პარტია და მთავრობა იღებენ ზომებს, რომ
ყველა არსებული მასალა, სოციალურ-კულ-
ტურული და სხვა შესაძლებლობები გამოიყე-
ნებულ იქნეს მოზარდთა აღზრდისა და გან-
ვითარებისათვის. ბევრი პროკურორი დიდ
ყურადღებას უთმობს შესაბამისი კანონმდებ-
ლობის შესრულებაზე ზედამხედველობას.
ამასთან, ამ ხაზით მუშაობის ორგანიზაციაში
ჭერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები.
ყველგან არ არის დამყარებული საქმიანი
კავშირი სხვა სახელმწიფოებრივ ორგანოებსა
და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ხში-
რად არ იღებენ ზომებს არასრულწლოვნების
მიერ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელ-
შემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად, მათ
თავიდან ასაცილებლად. ზოგიერთი პროკურო-
ტურის ხელმძღვანელმა ვერ უზრუნველყო
სსრ კავშირის გენერალური პროკურორის
1977 წლის № 15 ბრძანების მოთხოვნათა
შესრულება. არასრულწლოვანთა საქმეებზე
მუშაობის ორგანიზაციის დონის ყოველშრი-
ვ ამოღება თითოეული პროკურატურის
ხელმძღვანელის მოვალეობაა.

მოხსენებასა და გამოსვლებში მნიშვნე-
ლოვანი ადგილი დაეთმო დამნაშავეობის
მდგომარეობის ანალიზს, პროკურატურის მუ-
შაობას დანაშაულთა თავიდან აცილების,
გახსნისა და გამოძიების საქმეში, მოკვლევა-
სა და გამოძიებაზე საპროკურორო ზედამ-
ხედველობას.

პარტიის თანმიმდევრულმა კურსმა კანონ-
ების დაცვისათვის, სისტემატურმა და მრ-

ვალმხრივმა მუშაობამ მოქალაქეთა კანონ-
საღმე პატივისცემის სულისკვეთებით აღზ-
რდისათვის, რესპუბლიკის ბევრ ქალაქში, რა-
იონსა და დასახლებულ პუნქტში განმტკიც-
და საზოგადოებრივი წესრიგი.

მიგრამ ზოგან გაიზარდა რაოდენობა ისეთი
მძიმე დანაშაულებისა, როგორცაა განზრახ
მკვლელობა, გაუბატურება, ყაჩაღობა, ძარ-
ცვა. ბევრი დანაშაულია ჩადენილი იმ პირთა
მიერ, რომლებიც იმყოფებოდნენ მთვრალ
მდგომარეობაში, ეწეოდნენ პარასიტულ
ცხოვრებას, ადრე ნასამართლევნი იყვნენ.

ყველგან არ არის უზრუნველყოფილი ყუ-
ველი ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის
გარღვევალობის პრინციპი. დანაშაულის შესა-
ხებ შეტყობინებებზე არადროული რეაგირების,
შემთხვევის ადგილის ზერელ დათვა-
ლიერებისა და სხვა სერიოზული დარღვევების
შედევად მოკვლევისა და გამოძიების მსვლე-
ლობის დროს ერთი ნაწილი დანაშაულები-
სა, მათ შორის მძიმე დანაშაულებსა, არ
იხსნება. ამასთან დაკავშირებით ხაზი გაეს-
ვა, რომ დანაშაულების გახსნაზე ზედამხედ-
ველობა ყველა რგოლის პროკურორის უპირ-
ველეს მოვალეობად რჩება. აუცილებელია
დროული და პრინციპული რეაგირება დანა-
შაულის შესახებ ყოველ განცხადებასა და
შეტყობინებაზე, გადაჭრით უნდა აღიკვეთოს
ანგარიშებში დანაშაულის დაფარვის მავნე
პრაქტიკა.

კოლეგიის სხდომაზე გაანალიზებულ იქნა
ლოთობასთან და ხულიგნობასთან ბრძოლის
შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე საპ-
როკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა.
რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში
იჩენენ მიმნებლობას ბოროტი ხულიგნების
მიმართ, გავრცელებულია მათი სისხლის სა-
მართლის პასუხისმგებლობისგან უსაფუძ-
ვლოდ განთავისუფლების შემთხვევები. მითი-
თებულები იყო, რომ ხულიგნობასა და ლო-
თობასთან ბრძოლა უნდა იყოს შეუწყნე-
ბელი და საყოველთაო.

დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და თა-
ვიდან აცილების საქმეში მნიშვნელოვან მუ-
შაობას ეწევა პროკურატურის ორგანოების
საკამოპიებო აპარატი. მიგრამ ზოგჯერ გამო-
ძიებაზე ხელმძღვანელობა და მასზე ზედამ-
ხედველობა მიღიანად ვერ პასუხობს ვაზ-
რდელ მოთხოვნებს. საქმეების ზერელე გავო-
ძიების, ვაკიანურების, საპროცესო კანონის
დარღვევის, მოკვლევისა და გამოძიებაზე
სუსტი ზედამხედველობისათვის გაკრიტიკე-
ბულ იქნენ მარნეულისა და თერჯოლის პრო-
კურატურები.

იმის გათვალისწინებით, რომ უქანასკნელ ხანებში პროკურატურის ორგანოები შეივსო ახალგაზრდა სპეციალისტების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომლებსაც არ გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება, დიდი მნიშვნელობა აქვს გამომძიებლების სწავლებისა და აღზრდის, მათთვის შრომისა და ცხოვრების სათანადო პირობების შექმნისათვის ზრუნვის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა მოკვლევითი და წინასწარი გამოძიების პროცესში კანონიერების განუზრგელი და უცილობელი დაცვის მნიშვნელობა, ამ საკითხში საპროკურორო ზედამხედველობის, როგორც ერთ-ერთი საკონსტიტუციო გარანტიის როლი. აუცილებელია მთლიანად აღიკვეთოს უქანონო დაპატიმრებების, მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უსაფუძვლოდ მიამცემის შემთხვევები.

პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში, მართლმსაჯულებაში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოების მიერ კანონიერი გადაწყვეტილებების გამოტანას, სასამართლო შეცდომების დროულად აღმოფხვრას. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა — ეს არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 და 15 თებერვლის ბრძანებულებების ზუსტად შესრულებაზე მუდმივი ზედამხედველობა, სასჯელის ზომების ეფექტურობის ამაღლება, მათი პროფილაქტიკური, აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერება. საპროკურორო ზედამხედველობის საშუალებები და მეთოდები უფრო სრულად უნდა გამოიყენებოდეს განმეორებითი დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით. შეუწელებელი ყურადღება უნდა დაეთმოს კანონების შესრულებას პირობითი მსჯავრდებულებისა და სახალხო მეურნეობის მშენებლობებზე (საწარმოებში) მიმავრებით პირობით განთავსდებულთა მიერ სასჯელის მოხდის წესის შესახებ, აგრეთვე არასრულწლოვნების, რომლებსაც განუვადდათ განაჩენის ასრულება, მოქმედების კონტროლის შესახებ.

უფრო შემტვი და პრინციპული უნდა გახდეს ზედამხედველობა კანონიერებაზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება რეციდიული დანაშაულის თავიდან აცილებაში აღმინისტრაციული ზედამხედველობის როლის ასამაღლებლად.

საპროკურორო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარეა მოქალაქეთა წერილების, სა-


ჩივრებისა და განცხადებების განხილვა. ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 აპრილის დადგენილებას „სკკპ X XV ყრილობის შეუწე მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. და სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნებს, პროკურორები იღებენ ზომებს კანონიერების დარღვევის აღმოსაფხვრელად, მოქალაქეთა შრომის, საბინაო, საოჯახო და სხვა დარღვეული უფლებების აღსადგენად, ეწევიან მუშაობას მმართველობის ორგანოებში მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობის ხაზით.

ამასთან აღნიშნული იყო მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში ფორმალისმის, ვაჭიანურობის, არამოტივირებული პასუხის ვაჭიანის მრავალი შემთხვევა. ყოველთვის არ ეძლევა პრინციპული შეფასება კანონიერების დარღვევას, არ აყენებენ საკითხს დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველივე ეს იწვევს განმეორებით საჩივრებს, მათ შორის ცენტრალურ ორგანოებში.

გასულ წელს მიღებულ იქნა ზომები მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, ხელმძღვანელობისა და კინტროლის ვაუმჯობესების მიზნით. ამასთან აღინიშნა, რომ დარღვევები ზედამხედველობაში აიხსნება სწორედ ნაკლოვანებებით მუშაობის ორგანიზაციაში. დონისძიებათა ეფექტურობაზე უარყოფითად მოქმედებს ქალაქლომანია, გატაკება სდლომებით—ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობის საზიანოდ. საქმის ვაქტიურ შესრულებაზე კონტროლს ხშირად ცელის ვანმეორებითი ვადაწყვეტილების მიღება, სხვადასხვა ცნობებისა და მონაცემების ვამოთხოვა. როგ შემთხვევაში დრმად არ წვდებიან საქმის არსს ადგილებზე, არ ახდენენ სათანადო ზეგავლენას ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების საქმიანობის დონეზე.

ხელმძღვანელის ვალია თვითკრიტიკულად შეფასოს მუშაობის მდგომარეობა, პირადად ჩაწვდეს შედარებით მნიშვნელოვანი და რთული საკითხების ვადაწყვეტას, აჩვენოს პროკურორზე კანონით დავისრებული მოვალეობების პროფესიული შესრულების მავალით.

მოხსენებასა და ვამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო კადრების შერჩევის, ვანაწილებისა და აღზრდის საკითხებს, მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებას. ბევრი რამ ვაყეთდა პროკურატუ-



რის ორგანოებისა და ახლადორგანიზებული ტრანსპორტის პროკურატურების კადრებით დაკომპლექტების მიზნით, დამატებით გამოყოფილ საშტატო ერთეულებთან დაკავშირებით. ამასთან აღინიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია კადრებთან მუშაობაში. სუსტი კონტროლისა და აღზრდაში დაშვებული ხარვეზების შედეგად ცალკეული პროკურორები და გამოძიებლები არღვევენ დისციპლინას, უპასუხისმგებლად ეკიდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ამორალურად იქცევიან. ხაზი გაესვა, რომ კადრების პატივისცემა გულისხმობს მინდობილი საქმისთვის მომთხვენლობისა და პირადი პასუხისმგებლობის მუდმივ ზრდას, მუშაობის ნებისმიერ უბანზე კანონიერების მკაცრად დაცვის უზრუნველყოფას.

„ახალმა კონსტიტუციამ უნდა მიგვიყვანოს ყველა იმ ორგანოს მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებამდე, რომლებსაც ევალებათ საბჭოთა კანონების მოთხოვნათა მკაცრი დაცვა. მე ვლაპარაკობ პროკურატურის, სასამართლოს, არბიტრაჟის, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, სახალხო კონტროლის შესახებ. პარტია ყველა ამ ორგანოსგან ელის კიდევ უფრო მეტ ინიციატივას, პრინციპულობას, შეურიგებლობას საბჭოთა მართლწესრიგის ნებისმიერ დარღვევასთან ბრძოლაში“.

კოლეგიის სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ პროკურატურის მუშაობი ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის დასახული ამოცანების შესასრულებლად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტის მისის (1977 წლის) პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევი თქვა:

ი. ხიონიძე

**საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების
საკომპლენსიო საბჭოები**

1977 წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გააქტიურდა რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობა.

საკოორდინაციო საბჭომ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი ერთობლივი ღონისძიება დასახა და განახორციელა. ადგილებზე ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის უკეთ ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად დაქვემდებარებულ ორგანოებს გაეგზავნათ ერთობლივი წერილები.

ერთობლივად იქნა შესწავლილი და საბჭოს სხდომაზე განხილული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხები, კერძოდ, სოციალისტური საკუთრების გატაცების, მექრთამეობის, ხულიგნობის, ავტოსატრანსპორტო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და სხვა.

საბჭომ თავის სხდომაზე ა. წ. 9 მარტს დაამტკიცა სამუშაო გეგმა 1978 წლისათვის და საკოორდინაციო საბჭოს დებულება, რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენი ჟურნალის 81 და 82 გვერდებზე.

ქურსების მსხველმძებრობა და კომპლენსიო მუშაობა მსხველმძებრობაში

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელები (იულისკონსულტები) შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს.

სურველია გამართოს აზრთა ურთიერთგაზიარება იურიდიული სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით საარბიტრაჟო დავებისა და საარბიტრაჟო პროცესის საკითხებზე.

კურსების წარმომადგენელმა პროფ. ნ. წყურთელმა თავის გამოსვლაში თქვა რომ სა-

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ვ. მაისურაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იურიდიული სამსახურის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ საკითხს მიეძღვნა სპეციალური დადგენილებები 1970 წელს და 1977 წელს, რომლებსაც პროგრამული მნიშვნელობა აქვთ და რომელთა საფუძველზედაც მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებები. ე. მაისურაძემ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იურიდიული სამსახურის საქმიანობის დონის ამაღლების აუცილებლობაზე, იურისკონსულტების როლზე სახელმწიფო და სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცების საქმეში, უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან კურსების მსმენელებს გააცნო რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობა.

სახელმწიფო არბიტრაჟის განყოფილების გამგე თ. დადიანი, არბიტრები გ. ალაბიშვილი, ლ. კორძაია, ვ. ჯღამაძე და ა. სულხანიშვილი მსმენელებს ესაუბრენ არბიტრაჟში საქმეების წარმოებაში მიღებისა და საზედამხედველო საჩივრების შეტანის წესების შესახებ. მოიყვანეს მაგალითები, თუ ზოგჯერ რაოდენ უწიგნურად, სამეურნეო კანონმდებლობის გვერდის ახვევით დგება საარბიტრაჟო ძიებისა ან შეპასუხების დოკუმენტები. თავის მხრივ, კურსების მსმენელებმა დააყენეს მთელი რიგი საინტერესო საკითხები, რაც დაეხმარება იწვევს პრაქტიკაში და გამოთქვას მოსაზრებანი სახელმწიფო არბიტრაჟში საქმეთა განხილვის ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ლ. კორძაია,
სახელმწიფო არბიტრი

საქართველო მუხრანის შერეულ „პრაკოვედნიუს“ სარედაქციო კოლეგიის შეიქმნალობა

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებით ქუთაისში „პრაკოვედნიუს“ შემადგენლობაში სხვა გამოჩენილ საბჭოთა სწავლულ იურისტებთან ერთად შეყვანილი არი-

ან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. ვ. წერეთელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ს. მ. ჯორბენაძე.

მირიან მიხაილის-ძე მაჭავარიანი

საქართველოს იურიდიულმა საზოგადოებრიობამ კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა დღევანდელი იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მირიან მიხაილის ძე მაჭავარიანი. რაღაც შვიდიოდე თვეში ქართველ იურისტთა კორპორაციას ზედიზედ ჩამოსცილდნენ მეტად საამაყო პიროვნებები, სახელოვანი მოღვაწეები — მიხეილ ყარამანის ძე ლომიძე, ბიძინა არჩილის ძე ბარათაშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ზურაბ იოსელიანი და აი, ახლა — ბატონი მირიანი. საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მათი ერთმანეთის გვერდ-გვერდით დაკრძალვაც ნიშანდობლივია.

პატივცემული მირიანი იურისტთა იმ შესანიშნავ პლევადას ეკუთვნოდა, რომელნიც პირველი წყების სპეციალისტებად აღიზარდნენ თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის კედლებში, ჩვენი დიდი განმანათლებლების და სპეციაკი ზნეობის მქადაგებლების — ლ. ანდრონიკაშვილის, შ. ნუცუბიძის, ალ. ვაჩიშვილის, ირ. ტატიშვილის და სხვათა თავმდგმურობით და ხელმძღვანელობით.

მ. მაჭავარიანი დაიბადა 1905 წელს ბორჯომში. 1928 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ამ დროიდან იწყება მისი შრომითი მოღვაწეობა. სხვადასხვა პერიოდში იგი მუშაობდა პედაგოგად, რესპუბლიკის უწყებებსა და სახალხო კომისარიატებში იურისკონსულტად. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მ. მაჭავარიანი საბჭოთა არმიის რიგებშია და 1950 წლამდე მსახურობდა სამხედრო პროკურატურის ორგანოებში გამომძიებლად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის თანაშემწედ; 1950-1953 წლებში განაგებდა სამხედრო-იურიდიული აკადემიის თბილისის ფილიალს; 1954-1962 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტად, საქართველო სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს იურიდიული ბიუროს გამგედ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული ბიუროს გამგედ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის განყოფილების გამგედ და კომისიის წევრად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროს რეფერენტად, ხოლო 1962 წლიდან 1978 წლამდე — აქვე იურიდიული განყოფილების გამგედ. უკანასკნელ ხანს, გარდაცვალებამდე იგი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის კრებულების პრეზიდიუმის რედაქციას ხელმძღვანელობდა.

მაღალი პარტიულობა, პრინციპულობა, მომთხროვნელობა, კეთილშობილება, მოქალაქეობრივი ზნეობა და უარესი ადამიანურობა — აი მ. მაჭავარიანის დამახასიათებელი თვისებები. იგი ფართო ერუდიციის სპეციალისტი იყო და თავის ღრმა ცოდნას პრაქტიკის მიერ წამოჭრილ რთული საკითხების გადასაწყვეტად იყენებდა. მირიან მაჭავარიანს ყველა იცნობდა როგორც დიდად განსწავლულ იურისტს, იურიდიული კონსტრუქციების ჩამოყალიბების ჩინებულ ოსტატს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი თავისი შემოქმედებითი აზროვნებისა და იურიდიული აზროვნების წყალობით, ურთულესი საკითხებისადმი სკურპულიოზური მიდგომით უკა-



ნასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ყველა ღონეს ხმარობდა, რათა რესპუბლიკაში ნორმატიული აქტები უნაკლოდ შემუშავებულიყო. გამოჩენილი იურისტი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების შექმნაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დედაწლი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების, აგრეთვე საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მომზადებაში. მ. მაჭავარიანი ბევრი პოპულარული ბროშურისა და სტატიის ავტორი იყო. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას არასოდეს უღალატია კანონისა და სამართლიანობის იდეისათვის, შორს იდგა კანონის აზრის მიზანშეწონილობითი გაგებისაგან.

აღამიანებთან ურთიერთობაში მირიან მაჭავარიანი — ზედმიწევნით სასიამოვნო და საინტერესო პიროვნება, — მოკრძალებულობის ნიშნებს, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. საოცრად ზრდილი და დახვეწილი ინტელიგენტი გახლდათ. მუდამ თავისუფალ ვითარებას ქმნიდა სჯა-ბაასისა და პაექრობისათვის. კამათში საწინააღმდეგო მოსაზრებასაც კი მეტად ფაქიზად, ოპონენტის თავმოყვარეობის შეუღალად გამოთქვამდა. თუ კი ვინმეს წილად ხვდომია ინტიმურ გარემოში მასთან საუბარი, ალბათ აუცილებლად აღეძვრებოდა სურვილი, რომ მრავალი გვეყოლოდა მისი მსგავსი მამულიშვილი. დალოცვილი, რა ჯავარიანი მოქართულე იყო, რუსული ენის რა ბრწყინვალედ მცოდნე!

მასსოვს ერთხელ რა მორიდებულ გულისწყრომას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზოგჯერ ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი ნიმუშის თარგმანი არც ენობრივი და არც მხატვრული თვალსაზრისით სათანადოდ არ სრულდება.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს მ. მაჭავარიანის ნაყოფიერი მოღვაწეობა იუსტიციის დარგში. მას წინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

განსვენებულმა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში სულ რაღაც ორი თვე იმოღვაწევა და ეს ხანმოკლე პერიოდიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ კოლექტივს მთელი სისასხით შეეგრძნო მისი თანამყოფობა და გულწრფელად დამწუხრებულიყო მისი ასე თვალდახელშუა, უცაბედი განშორებით. ღირსეული კაცის, მირიან მაჭავარიანის ნათელი ძსოვნა მუდამ დარჩება საქართველოს იურისტთა და მის მეგობართა შორის.

ზურაბ რაბიანი

ვახვანგ სიმონის-ძე შანიძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი სასამართლო მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ სიმონის ძე შანიძე.

ვ. ს. შანიძე დაიბადა 1913 წელს სოფელ მარტოთუბანში, ზესტაფონის რაიონში, რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ჭიათურის ათწლიან შრომის სკოლაში. სწავლასთან ერთად იგი რამდენიმე წელი მუშაობდა დაზვიან მუშად ჭიათურის შავი ქვის ტრესტის გამამდიდრებელ ქარხანაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. შანიძე შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო-პროფილაქტიკურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1935 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა მედიცინის მეცნიერებისადმი მიდრეკილება, იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრის აქტიური მონაწილე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. შანიძე დატოვებულ იქნა საშუალო პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრაზე, სადაც მუშაობდა ჯერ ლაბორანტად, ხოლო 1937 წლიდან ასისტენტად; პარალელურად ჩაირიცხა ასპირანტად სასამართლო მედიცინის ხაზით. 1940 წელს ვ. შანიძემ დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ამ ხანებში იგი აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტშიც.

1942 წელს ვ. შანიძე არჩულ იქნა სასამართლო მედიცინის კათედრის დოცენტის, ხოლო 1959 წელს — კათედრის გამგის თანამდებობაზე. 1962 წელს მან დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად და 1964 წელს დამტკიცებულ იქნა პროფესორად.

პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ვ. შანიძე ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას. 1936—1940 წლებში ბავშვთა პირველი საავადმყოფოს პროზექტორად მუშაობდა; 1937 წ. დაინიშნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის თანამდებობაზე და ამ პოსტზე იმყოფებოდა 1946 წლამდე. 1959 წლიდან კვლავ ამ თანამდებობაზე ინიშნება და ამ მოვალეობას ასრულებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მრავალმხრივი იყო ვ. შანიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1954 წლიდან იგი საქართველოს სასამართლო მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მთადგილეთა, ხოლო 1959 წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარე; 1966 წელს არჩეულ იქნა საკავშირო ჟურნალ „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის“ სარედაქციო საბჭოს წევრად; 1969 წლიდან საბჭოთა კავშირის სასამართლო მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრია, ხოლო უკანასკნელ წლებში იგი დამტკიცებული იქნა საბჭოთა კავშირის დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სასამართლო მედიცინის განყოფილების რედაქტორად.

ვ. შანიძე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოების ცხოვრებაში. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრი. ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდა საინტერესო წერილებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის აქტუალურ საპრობლემო საკითხებზე, კითხვლობდა ლექციებს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაკებისათვის.

ვ. შანიძე სასამართლო მედიცინის და პათოლოგიური ანატომიის დარგში 70-ზე მეტი გამოკვლევისა და ნაშრომის ავტორია. მისი შრომები ეხება სასამართლო მედიცინის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ენაზე პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო — „სასამართლო მედიცინა“ და ათი მონოგრაფია სასამართლო მედიცინის საკვანძო საკითხებზე.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის ვ. შანიძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

შესანიშნავი სპეციალისტის, გულისხმიერი ადამიანის და სამაგალითო მოქალაქის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამშრომლების, ამხანაგების და ნაცნობების გულში.

რამაზ გვიტაია

ცნობები ავტორთა შესახებ

ბრიგოლ არტაშის ძე მარამიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა სამართლისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 67 შრომისა და მათ შორის 36 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ჯამალთ ბიორგის ძე ბაბილაშვილი — საგარეჯოს რაიონის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 17 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

პახტანვ სიმონის ძე შანიძე — გარდაცვალებამდე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 70 შრომისა და 10 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ბიორგი ბაიოჯის ძე ნიუნანიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ლევან დიმიტრის ძე გუდუზანიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ფიზიკის კათედრის დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 60 შრომის, მათ შორის ერთი სახელმძღვანელოს და 18 სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის ავტორი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ბარიკ არაშის ძე ბვაჰიანი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი, 14 შრომის ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ბიორგი ნესტორის ძე ნადარეიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, 50 შრომისა და 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ივანე პავლეს ძე ანდრეაძე — ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსსრის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი. მრავალი ნაშრომისა და წიგნის ავტორი. ორი სტატია აქვს გამოქვეყნებული ჩვენს ჟურნალში.





გარეკანის მხატვარი ი. ჯინჭინაშვილი

«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 3, 1978 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფანო 50 კპპ.

ИНДЕКС 70185